დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ თბილისის 171-ე საჯარო სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა ტუკვაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

1. თამთა კამკამიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. ია ვარდოსანიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
3. დავით ბოლქვაძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
4. გვანცა მოლაშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
5. ნინო ბერიშვილი -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
6. მაკა აფრიამაშვილი -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
7. ელისო ვადაქარია -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
8. მზია დადვანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
9. ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
10. ქეთევან ცირეკიძე-
    ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N171 საჯარო სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	204889219

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	თბილისი, ნუცუბიძის მე-3 პლატო,მე-2 კვარტალი,ძოწენიძის ქ.N 3
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ნუცუბიძის მე-3 პლატო,მე-2 კვარტალი,ძოწენიძის ქ.N 3
საფოსტო ინდექსი	0186
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi171@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	2 31 60 51

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება-MES 2 23 0001032213; 24/08/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	16-17 ოქტომბერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	თბილისი, ნუცუბიძის მე-3 პლატო,მე-2 კვარტალი,ძოწენიძის ქ.N 3
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	თბილისი, ნუცუბიძის მე-3 პლატო,მე-2 კვარტალი,ძოწენიძის ქ.N 3
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	თბილისი, ნუცუბიძის მე-3 პლატო,მე-2 კვარტალი,ძოწენიძის ქ.N 3

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2023 წლის 16 და 17 ოქტომბერს სსიპ ქალაქ თბილისის 171-ე საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა სკოლის ინფრასტრუქტურა. მათ შორის კომპიუტერული კლასი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები (ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის). საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა.

ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება: დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს. ინტერვიუირების პროცესში, საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები კურიკულუმის დანერგვის პროცესებთან მიმართებით.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
---	---	---

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

სკოლა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება „ბავშვთა სოფლის“ აღსაზრდელების ადაპტაციას პროცესს. სკოლასთან და მოსწავლეებთან ადაპტაციაში აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის ფსიქოლოგის სამსახური, დამრიგებლები და ადმინისტრაცია. ამის ნათელი მაგალითია „ბავშვთა სოფლისა“ და სასკოლო საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობა, რის შედეგადაც სკოლაში პერიოდულად ეწყობა „ბავშვთა სოფლის“ აღსაზრდელების ხელნაკეთი და სხვა გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების პერსონალური გამოფენები.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის [illegible] ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1200	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

1. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა ---- სრულ შესაბამისობაშია
2. ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა--სრულ შესაბამისობაშია
3. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრმა--- სრულ შესაბამისობაშია

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოები დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი	სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით განსაზღვრულ პერიოდში: ➢ 30.04.2024 -მდე მოიპოვოს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.

[1] გარდ მეორე სტანდარტის ნაილზივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	დახმარების აღმოჩენას;	➢ 20.06.2024-მდე უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეათანხმოს საგანგებო მართვის გეგმა. ➢ 15.12.2023-მდე უზრუნველყოს სამშენობლო ნარჩენების უსაფრთხოდ დასაწყობება. ➢ 16.06.2024-მდე უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიის დაცვა უცხო პირთა გადაადგილებისგან (იხ. 3.4.1.1 ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი 3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით განსაზღვრულ პერიოდში, 10.11.2024 -მდე, უზრუნველყოს სკოლის შიდა სივრცეე ადაპტირება. კერძოდ, სართულებზე გადსაადგილებლად პანდუსების ან ლიფტის მოწყობა.
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლას ეძლევა რჩევა: მკაფიო და ნათლად ჩამოაყალიბოს სტრატეგიული მიზნები, რომლებიც იქნება კონკრეტული, რეალისტური და მოქმედებაზე ორიენტირებული. (იხ. 1.2.1.2 ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სკოლამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის რესურსების ნაწილის გამჭირვალეობა. კერძოდ, დაზუსტდეს კონკრეტული აქტივობების განხორციელება რომელი რესურსითაა შესაძლებელი: ადამიანური, ფინანსური თუ მატერიალურით.
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	სკოლა ეძლევა რჩევა, დროულად მოახდინოს სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში ჩარჩენილი ძალადაკარგული საკონონმდებლო აქტების ჩასწორება. (იხ. ინდიკატორი 3.1.2.1 აღწერა)
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების	1.მიზანშეწონილია სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში. 2. სასურველია სკოლას ემსახურებოდეს ორი ექიმი.
ინდიკატორი 3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	მიზანშეწონილია პირადი საქმეების ინახებოდეს დახურელ კარადებში. (იხ. ინდიკატორი 3.6.2.1 აღწერა)
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N.4.2.2.1	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;	სასურველია, ადაპტაციის მექანიზმებში გაიწეროსს სსსმ მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ღონისძიებები.

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი, საბაზო და საშუალოო საფეხურები	*რჩევა*
ინდიკატორი N.2.2.2.4	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სასურველია დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსწავლეთა შეფასების უფრო მრავალფეროვანი მეთოდები, მაგ; მასწავლებლებმა იზრუნონ მოსწავლეთა პორტფოლიოების შექმნაზე, უფრო აქტიურად იქნას გამოყენებული მოსწავლეთა თვითშეფასების აქტიური ფორმები
ინდიკატორი 2.3.2.3	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ? მონიტორინგის და შეფასების პროცესში, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს და შეფასებას.
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	*რჩევა*
ინდიკატორი .2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი	მათემატიკის კათედრას მიეცა რჩევა, მეექვსე კლასში გამიჯნონ თემები მაგალითად, რიცხვების თემატურ ბლოკშ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	ჩამოყალიბდეს სამ თემად

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზირებს სკოლის არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას და დოკუმენტებს, რაც გახდა 3.4.1.1 და 3.5.1.3 ინდიკატორების შეფასების ცვლილების საფუძველი. აღნიშნული ინდიკატორები საბოლოოდ შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლა, მისიით იღებს ვალდებულებას სასკოლო საზოგადოებასთან ერთად აღზარდოს ისეთი თაობა, რომლებიც მზად იქნებიან მომავალი გამოწვევებისთვის. სკოლის ხედვით განსაზღვრული გზა უზრუნველყოფს მისიით დეკლარირებული მიზნების განხორციელებას. კერძოდ, არაფორმალური განათლების გაძლიერებით მოახდენს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნება და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება.

   ინდიკატორი 1. 1. 1. 1. დაკმაყოფილებულია
2. სკოლა, მისიით და ხედვით დეკლარირებული მიზნების განხორციელებას უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და უსაფრთხო, ეფექტური, ინკლუზიური სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნით. ამისათვის სკოლაში არსებობს ორგანიზაციული სტრუქტურა და შიდა სასკოლო დოკუმენტაცია. კერძოდ, სკოლის ერთწლიან და სტრატეგიულ გეგმებში გაწერილი სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და აქტივობები მიმართულია სკოლის გაცხადებული მიზნების განხორციელებისკენ. სასკოლო სასწავლო გეგმა და სადამრიგებლო პროგრამით დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები ემსახურება მოზარდის პიროვნულ განვითარებას. სასკოლო სივრცეში გამოფენილი მოსწავლეების მიერ შესრულებული პროექტები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: ბულინგი, ადამიანის უფლებები, გამოხატვის თავისუფლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ხელს უწყობს ტოლერანტი, საზოგადოებრივად აქტიური, დემოკრატიული პრინციპების მქონე თაობის აღზრდას, რომელიც პატივს სცემს სხვა ადამიანების უფლებებს.

   ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა განსაზღვრულია სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით. კერძოდ, დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-4 მუხლი ეხება სკოლის ფილოსოფიის შემუშავება/გადახედვა/დახვეწას, სადაც აღნიშნულია, რომ სიტუაციური ანალიზზე დაყრდნობით ხდება არსებული მიზნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გადახედვა/დახვეწა, პროცესის სრულყოფილად წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექცია, რომელიც აკადემიურ პერსონალთან, დასაქმებულებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების შედეგად აყალიბებს მისიის, ხედვის და ღირებულებების საბოლოო რედაქციას. მეთოდოლოგიის შესაბამისად სასკოლო საზოაგდოების გამოკითხვის საფუძველზე მოხდა სიტუაციური ანალიზის მომზადება. სკოლის დირექტორმა გასუბრების დროს აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესის მზადებასთან დაკავშირებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. აღნიშნულმა ჯგუფმა ასევე იმუშავა მისია, ხედვა და ღირებულებების გადახედვა/შემუშავებაზეც. დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, შეისწავლა სასკოლო საზოგადოების ინტერესები კითხვარების, სამუშაო შეხვედრების გზით და სწორედ მათი ანალიზის საფუძველზე მოხდა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტის ჩამოყალიბება. გარდა ამისა, პროექტის განხილვის ეტაპზე მონაწილეობდა სკოლის პედაგოგიური საბჭოც, რომელმაც საბოლოო სახით მოახდინა სკოლის ფილოსოფიის პროექტის ფორმირება. დამრიგებლები დახურული მესინჯერჯგუფების საშუალებით უზრუნველყოფდნენ მოსწავლეების და მშობლების ჩართვას სკოლის ფილოსოფიის გადახედვა/შემუსავების პროცესში. საბოლოო სახით ჩამოყალიბებული სკოლის ფილოსოფია გახდა სასკოლო სასწავლო გეგმისა და სტრატეგიული გეგმის ნაწილი.

ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლის ფილოსოფიის შემუშავება/გადახედვა/დახვეწის პროცესში მნიშვნელოვანია ჩართული მხარეების კონსულტაციების შედეგად მიღებული უკუკავშირების გათვალისწინება. ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა Forms-ის კითხვარი, რომელიც ეხებოდა შემუშავებული სკოლის ფილოსოფიის პირველადი ვერსიის გაზიარებას. შევსებული კითხვარების ანგარიშიდან, ჩანს რომ სასკოლო საზოგდეობისთვის მისაღებია შემუშავებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. საბოლოო სახით ფორლირებული სკოლის ფილოსოფია აისახა სტრატეგიული გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში.

ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, იგი განთავსებულია სკოლის ოფიციალური ვებგვერდზე და გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს და განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული შესაბამისი ბრძანებით - „სსიპ თბილისი 171-ე საჯარო სკოლა“. რაც, ასევე დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან და საგადასახადო რეგისტრაციის დოკუმენტაციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის 171-ე საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- 2023-2030 სტრატეგიული გეგმა
- ბრ.2-98 სამუშაო ჯგუფის შექმნაზე
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი
- შემუშავებული კითხვარე და ანგარიში
- სკოლის ვებგვერდი
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: N 882016029224; 25/01/2016
- საგადასახადო რეგისტრაციის დოკუმენტი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა ,,სსიპ თბილისის 171-ე საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს: ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, მისიის, ხედვის და მიზნების შემუშავება/გადახედვა/დახვეწა, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება, სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესრულების მონიტორინგი. დაგეგმვის პირველ ეტაპი ,,ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი“ მოიცავს სკოლის პერსონალის, მშობლების, მოსწავლეების და სხვა დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვებას დაწესებულების შიდა პროცესების და დამოკიდებულებების შესახებ. ინფორმაციის შეგროვებისათვის გამოიყენება თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (სასწავლო პროცესის მონაწილეთა გამოკითხვა, ინტერვიუ, და სხვა). ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე სკოლის დირექტორი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოებასა და სამეურვეო საბჭოსთან, ისმენს მათ შენიშვნებს. უკუკავშირის საფუძველზე ხდება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების საბოლოო რედაქციის შემუშავება, რომლის საფუძველზეც ხდება პრიორიტეტების იდენტიფიცირება და სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიის ფორმირება. სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიის ფორმირებაში ჩართულია ყველა ის პირი, რომელიც პასუხისმგებელია გეგმაში ასახული ამოცანის განხორციელებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგენა სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული, სსიპ თბილისის 171-ე საჯარო სკოლის შვიდწლიანი (2023-2030 წლები) განვითარების სტრატეგიული გეგმა. სტრატეგიული განვითრების გეგმა მოიცავს: პრეამბულას, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებებს და 8 სტრატეგიულ მიზანს (პროგრამულ მიმართულება), რომლებიც თავის მხრივ ჩაშლილია ამოცანება. სტრატეგიული გეგმის ბოლოს ცხრილის სახით წარმოდგენილია 7 წელზე გაწერილი პროგრამული მიმართულებები, შესაბამისი ამოცანებით და პასუხისმგებელი პირების მითითებით. სტრატეგიული გეგმიდან, ჩანს რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მიზნები და ამოცანები გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და ხედვიდან. კერძოს, სკოლის მისიით და ხედვით განსაზღვრული მთავარი პრიორიტეტები ,,სასკოლო საზოგადოების ჩართულობით დემოკრატიული პრინციპების მქონე მოსწავლეების მომზადება მომავალი გამოწვევებისათვის, ასევე არაფომალური კომპონენტის გაძლიერებით სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნება და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება“ ასახულია როგორც პროგრამულ მიმართულებებში (სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში; უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა; მასტიმულირებელი ბერკეტები სწავლებისა და აღზრდის საქმეში) ასევე, ამოცანებში (კლუბური მუშაობის დახვეწა. მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი დამატებითი საგნმანათლებლო მომსახურების შეთავაზება; მნიშვნელოვანი იდეების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც მასწავლებელს დაეხმარება საინტერესოდ და ინოვაციურად წარმართოს გაკვეთილი, გაამრავალფეროვნოს სკოლის სასკოლო ცხოვრება და მოსწავლეებს სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების დადებითი მუხტი შესძინოს; სკოლის მიერ მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა შეხედულებების გათვალისწინება მიღწევების და დადგენილი სტანდარტების შეფასებისას; ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია; ღონისძიებების სისტემატიური ჩატარება, რომელთა ორგანიზებაში უშუალოდ ჩაერთვებიან მშობლები და სხვა). თუმცა, სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმა საჭიროებს დახვეწას. რამდენადაც წარმოდგენილი ზოგიერთი მიზანი ერთი და იგივე შინაარსისაა და შესაძლებელია გამსხვილდეს. კერძოდ, ,,სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით“, ემსახურე სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, აღნიშნული სახით სკოლას განსაზღვრული აქვს ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნი ,,მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება“. ასევე, ზოგიერთი მიზანი ფორმულირებულია იმგვარად, რომ აქვს ამოცანის სახე. მაგალითად, ,,უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა“ (აღნიშნული მიზანი სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია, როგორც ,,უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა“). წარმოდგენილი ზოგიერთი ამოცანა უფრო რუტინული სახის აქტივობაა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ვიდრე სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანა. მაგალითად, მოსწავლეთა მშობლებთან ხელშეკრულებების გაფორმება; სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონაცემთა ბაზის განახლება; მასწავლებლების მიერ გაკვეთილების ჩატარების ხარისხის შემოწმება და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, **სკოლას ეძლევა რჩევა: უზრუნველყოს მკაფიო და ნათლად ჩამოაყალიბოს სტრატეგიული მიზნები, რომლებიც იქნება კონკრეტული, რეალისტური და მოქმედებაზე ორიენტირებული.**

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმიდან და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებიდან გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა დგება ერთწლიანი პერიოდისათვის, მისი მიზანია ხელი შეუწყოს სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებული მიზნების განხორციელებას. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმით წარმოდგენილი სტრატეგიული მიზნები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, არის კონკრეტული და მოქმედებააზე ორიენტირებული, რაც არ გვხვდებოდა სტრატეგიულ გეგმაში(იხ. 1.2.1.2 ინდიკატორის აღწერა). სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესწავლით დგინდება, რომ სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას. სამოქმედო გეგმაში ასახულია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული 7 სტრატეგიული მიზანი, თუმცა ზოგიერთი მიზნი ფორმურილებულია სხვაგვარად.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის სამოქმედო გეგმა მოიცავს 7 სტრატეგიული მიზანს. თითოეული სტრატეგიული მიმართლებისთვის წარმოდგენილია ცხრილი, რომელიც მოიცავს სტრატეგიული მიზნების შესაბამის ამოცანებს და აქტივობებს. გეგმაში ასევე გათვალისწინებულია შესრულების ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმით წარმოდგენილ ინდიკატორებს უმეტეს შემთხვევაში მტკიცებულებების ფორმა აქვს. კერძოდ, ოქმები, ანგარიშები, ფოტო მასალა, პორტფოლიოები და სხვა. ასევე რესურსების ნაწილში არ არის დაზუსტებული კონკრეტული აქტივობების განხორციელება რომელი რესურსითაა უზრუნველყოფილი: ადამიანური, ფინანსური თუ მატერიალურით.

რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს რესურსების ნაწილის გამჭირვალეობა. კერძოდ, დაზუსტდეს კონკრეტული აქტივობების განხორციელება რომელი რესურსითაა შესაძლებელი: ადამიანური, ფინანსური თუ მატერიალურით.

ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის 171-ე საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- 2023-2030 წ.წ სტრატეგიული გეგმა
- 2023-2024 წ. სამოქმედო გეგმა
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 8; 2023 წლის 7 სექტემბერი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-10 და მე-12 მუხლებით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების მონიტორინგის და შეფასების საკითხები. პროცესების განმხორციელებელი პასუხისმგებელი ორგანოა სამეურვეო საბჭო ან ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, თუმცა, მეთოდოლოგიის მე-7 მუხლით მონიტორინგის პროცესს ახორციელებს ორგანიზაციის დირექცია. საჭიროების შემთხვევაში დირექტორი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს კომპეტენციის შესაბამისად, რომლებიც შეისწავლიან საკითხს, დაკვირვებისა და შეფასების მეთოდით. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. სასურველია მეთოდოლოგიით ასევე განისაზღვროს მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობა. რაც შეეხება სამოქმედო გეგმის მონიტორინგს, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ შეჯამდება სამოქმედო გეგმაში მითითებული აქტივობების შესრულება და შეფასდება გეგმის განხორციელების შედეგები სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული მიმართულების მიხედვით. მონიტორინგის და შეფასების საბოლოო შედეგებზე სკოლის დირექტორი ამზადებს ანგარიშს და წარუდგენს სამეურეო საბჭოს. ვიზიტის დროს დაზუსტდა მეთოდოლოგიაში გაწერილი გარკვეული შეუსაბამობები. კერძოდ, სტრატეგიული გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხანგრძლივობასთან (რამდენიმე ადგილზე აღნიშნული იყო ექვსწლიანი გეგმა) და მონიტორინგის განმხორციელებელი ორგანოსთან დაკავშირებით. სკოლის განმარტებით აღნიშნული ხარვეზები ტექნიკურია ხასიათისაა.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის დაგეგმვის მეთოდოლოგიით სკოლა აცხადებს მზაობა, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირისა და ინტერების გათვალისწინებით, შეაფასოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები. რამდენადაც, სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასების პროცესი ჯერ არ დამდგარა. შესაბამისად **ინდიკატორიც ამ ეტაპზე ვერ ფასდება.**

3.სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გასაჯაროების მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის დაგეგმვის მეთოდოლოგიით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები **ვერ ექნებათ გასაჯაროებული.**

4. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, სკოლა შეადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც მოხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. SWOT ანალიზის საფუძველზე განხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. ამრიგად, განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს გამოიყენებს დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის. რამდენადაც, სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, არ დამდგარის პროცესების პირობებში, **ინდიკატორი ვერ ფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგი
- 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. დაწესებულებამ საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა წარმოადგინა გრაფიკული სახით, შემუშავებულია სტრუქტურული ერთეულების/ პირების თანამდებობრივი ინსტრუქციები და საშტატო განრიგი. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლის სტრუქტურა მოიცავს: დირექციას, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინური კომიტეტის. სკოლაში ასევე არის მანდატურის სამსახური და მრჩეველთა საბჭო. სკოლის დირექცია შედგება: დირექტორის, მისი მოადგილის და ბუღალტრისგან. საშტატო განრიგით სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი: მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, სკოლის ექიმი, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ჯგუფი (ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი და ორი სსსმ პირის ასისტენტი) დარაჯი-2, დამლაგებელი-3. თითოეული სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია სკოლის მიერ დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში და სკოლაში დასაქმებულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებიდან და გრაფიკული სახით წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურიდან ნათლად ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს ანგარიშვალდებულების სისტემა, განსაზღვრულია ვინ ვის ექვემდებარება და ვის წინაშეა უშუალოდ ანგარიშვალდებული. დაკისრებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რამდენად ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, შეიძლება დადგინდეს სტრუქტურული ერთეულების/პირების მუშაობის შეფასებით. ამ მიზნით სკოლა შემუშავებული აქვს ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, სადაც ნათქვამია, რომ სკოლაში დასაქმებული პირების შეფასებისთვის დანერგილია ობიექტური და გამჭირვალე შეფასების სისტემა. კერძოდ, პერიოდულად ხდება დასაქმებული მიერ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი. წარმოდგენილ მექანიზმში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მასწავლებლის შეფასებაზე. სკოლას შემუშავებული აქვს ,,ხარისხის განვითრების და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის დებულება“, რომელიც არეგულირებს მასწავლებლის შეფასების წესებს და პირობებს. სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებიდან ნათლად ჩანს, რომ კონკრეტული მიზნების, ამოცანების და აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი სტრუქტურები/პირები და დაკისრებული ფუნქციები მათი პოზიციების შესაბამისია.

თანამდებობრივი ინსტრუქციები, სკოლის სტრუქტურა, საშტატო განრიგი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სკოლის სამოქმედო გეგმა და დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა (ორგანოგრამა)
- სსიპ თბილისის 171-ე საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები
- სსიპ თბილისის 171-ე საჯარო სკოლის ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“
- ,,ხარისხის განვითრების და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის დებულება“
- საშტატო განრიგი
- 2023-2024 წწ სამოქმედო გეგმა
- სტრატეგიული განვიტარების გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ხარისხის განვითრების და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის დებულება
- ხარისხის განვითრების და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის სხდომის ოქმი N 3

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური მართვის წესი. აღნიშული წესი განსაზღვრავს, სსიპ თბილისის 171-ე საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას. პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს, სტრატეგიას, ამოცანებს, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის როლს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას, პერსონალის გადამზადებას, განვითარებას და შეფასებას. პოლიტიკის დოკუმენტში სქემის სახით წარმოდგენილია ადამიაური რესურსების პოლიტიკის განვითარების ეტაპები.

პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. კერძოდ, დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების დროს გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კოდექსი. სკოლის პედაგოგების შერჩევის მიზნით ვაკანსიის გამოცხადება ხდება, საქართველოს განათლების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით"დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ხორციელდება მოქმედი ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის" შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია სქემით განსაზღვრული სტატუსის მასწავლებლები. პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის ნორმებსა და წესებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს პერსონალთა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილის, რომელზეც ხელმოწერით დასტურდება დასაქმებულის მიერ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი. თუმცა საყურადღებოა სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში ჩარჩენილი ზოგიერთი ჩანაწერი ძალადაკარგულ საკანონმდებლი აქტებთან მიმართებით. კერძოდ, ადამინური რესურსების მართვის წესის მე-7 მუხლის თანახმად, ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემას " არეგულირებს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილება, რომელიც ძალადაკარგულია. ასევეა სკოლის შინაგანაწესის მე-8 მუხლში არსებული ჩანაწერი შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო", სადაც მითითებული ძალადაკარკული საკანონმდებლო აქტი „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესის" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/ნ ბრძანება.

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, სკოლის შინაგანაწესით და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით დასტურდება, რომ სკოლას დადგენილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის წესები და პირობები. პროცესები ხორციელდება მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისად, თუმცა სკოლა ეძლევა რჩევა, დროულად მოახდინოს სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში ჩარჩენილი ძალადაკარგული საკონონმდებლო აქტების ჩასწორება.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული ღონისძიებების გატარებას. კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის წესით განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებული პირების საქმიანობის შეფასება, რაც ითვალისწინებს დასაქმებულის საჭიროების დადგენას, შესაძლებლობების გამოვლენას, სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას და მათი გამოსწორების გზების დასახვას. სკოლა პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგებს და საკონსულტაციო შეხვედრებს. სკოლის დირექტორი განმარტებით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დირექცია აანალიზებს მომავალი სასწავლო წლისთვის რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრების შერჩევა და წინასწარ აცხადებს კონკურსს. სკოლის შინაგანაწესთ განსაზღვრულია, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი, სადაც გაწერილია სამსახურში არ გამოცხადების შემთხვევაში შეტყობინების ვადები. ამ რეგულაციით სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მყისიერი ზომების მიღებას, მასწავლებლის არ ყოფნის შემთხვევაში ჩაანაცვლოს შესაბამისი კათედრის მასწავლებლით, რაც დასტურდება სკოლის დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათით ,,მასწავლებელთა დასწრებისა და გაცდენის შესახებ ინფორმაცია".

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. ადამიანური რესურსების მართვის წესის თანახმად, მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, სკოლის მაღალკვაკიფიციური კადრების მიზიდვისათვის ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა. სკოლას შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელიც მოიცავს სკოლაში არსებული ყველა პოზიციის შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმება ხდება კონკურსით. მასწავლებლის დასაქმების დროს გათვალისწინებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის" მოთხოვნები. ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა გერმანულის მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დოკუმენტაცია, სადაც ჩანს, რომ ვაკანტურ ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი გამჭირვალეობის პრინციპის დაცვით მიმდინარეობს. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია კონკურსის ვადები, პირობები, კონკრეტული პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შექმნილია საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიები, წარმოდგენილია კომისიის სხდომის ოქმები, განაცხადი გამოქვეყნებულია საჯაროდ, მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე. სკოლამ, ასევე წარმოადგინა კანონმდებლობის შესაბამისი ცნობები: ,,ნასამართლეობის", ,,უფლების ჩამორთმევის" და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ".

ადამიანური რესურსების მართვის წესით, საკომკურსო მასალებით და კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობებით დგინდება, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. eSchool ბაზა მონაცემებით, სკოლაში დასაქმებულია 62 თანამშრომელი, მათ შორის 50 მასწავლებელია, აქედან 35 უფროსი, 14 წამყვანი და ერთი სპეც. მასწავლებლია. მასწავლებლები შერჩეული არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალისთვის სკოლას დადგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დასაქმებულთა პირადი საქმეები მოიცავს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს. პერსონალის პირადი საქმეებისა და eSchool ბაზა მონაცემების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. ადამიანური რესურსების მართვის წესით განსაზღვრულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს იმგვარი გარემოს შექმნა, სადაც შესაძლებელია დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართული იყო კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდებოდა გამოცდილების გაზიარება, ერთად იგეგმება სასკოლო პროექტებს. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს სკოლის სივრცეში გამოფენილი განხორციელებული პროექტები. დირექტორმა აღნიშნა, რომ თავისი კოპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების კითხვარის შემუშავებაში, რაც დასტურდება დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფით. სკოლაში, კეთილმოწყობილი საზიარო სივრცეების არსებობა (სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია,) ხელს უწყობს თანამშრომლობით და გუნდური მუშაობის გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია დასაქმებული პირების საქმიანობის შეფასება. შეფასება შესაძლებელია გახდეს თანამშრომელთა წახალისების საფუძველი. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების სახეები და გამოყენების წესი. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი იყო წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება პედაგოგთა შორის. ინტერვიუსა და კათედრის ოქმის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკა.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი.
- თანამშრომელთა პირადი საქმეები
- შრომითი ხელშეკრულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სსიპ თბილისის 171-ე საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები
- სსიპ თბილისი 171-ე საჯარო სკოლის ,,ადამიანური რესურსების წესი“
- კათედრის სხდომის ოქმები
- საკონკურსო მასალები
- ბრ.2-98 სამუშაო ჯგუფის შექმნაზე.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის წესში გაწერილია პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა. კერძოდ, მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება. თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენა განხორციელდება შესრულებული სამუშაოს ანალიზის საფუძველზე. სკოლაში მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებას ახდენს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. მასწავლებლის ირიბი შეფასება ხორციელდება მოსწავლეთა პროგრესის ანალიზით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა დაგეგმავს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. მაგალითად, პროფესიული განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგების, საკონსულტაციო შეხვედრებს, სემინარებს. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმა მოიცავს ადამიანური რესუსრსების განვითარების ამოცანებს (ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება) და აქტივობებს (თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა, სხვადასხვა აქტივობების განხორციელება და განვითარების მუდმივი კონტროლი, ტრენინგებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა, მაძიებლობის სტატუსის მქონე მასწავლებლებთან ტუტორების აქტიური მუშაობა დასაჭიროებისშემთხვევაში შიდასასკოლო კონსულტაციების გამართვა). მიზანშეწონილია, რესურსების ნაწილში დაზუსტდეს, კომკრეტულად რომელი რესურსებით იქნება უზრუნველყოფილი ადამიანური რესურსების განვითარება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანური რესურსების მართვის წესით, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის ჯგუფის დებულებით და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებული.

2. როგორც აღვნიშნეთ, ადამიანური რესურსების მართვის წესით სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის განვითარების მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაოს ანალიზის საფუძველზე გამოვლენილ საჭიროებებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტარტეგიული გეგმიდან ჩანს, რომ ,,სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება“ პირდაპირ კავშირშია მასწაველებელთა პროფესიულ განვითარებასთან. ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია ადამიანური რესურსების განვითარების ამოცანები და აქტივობები.

ადამიანური რესურსების მართვის წესით, სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით, სკოლა აცხადებს მზაობას პერსონალის განვითარება განახორციელოს გამოვლენილი საჭიროებების და წინასწარ განსაზღვრული აქტივობების შესაბამისად.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებული.

3. ადამიანური რესურსების მართვის წესით, მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა. მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს “მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა”. სკოლაში არსებული მასწავლებელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ეხმარება მასწავლებლებს პროფესიულ ზრდაში. კერძოდ მასწავლებლები თვითშეფასების საფუძველზე გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასავითარებლად, ხარისხის ჯგუფის დახმარებით, დაგეგმავენ თავიანთ პროფესიულ განვითარებას. მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით განსაზღვრულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის და კარიერული წინსვლისთვის საჭირო აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, ე.წ. „კრიტიკული მეგობრის“ ფორმატი, სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება და მასწავლებელთა საჭიროებების მიხედვით გადამზადების უზრუნველყოფა.

ადამიანური რესურსების მართვის წესი, მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, მხარდამჭერი ჯგუფისა და კათედრის ოქმები გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლას შემშავებული აქვს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ინსტრუქციები, რომელიც წარმოდგენილია ცხრილის სახით და მოიცავს ადაპტაციისთვის დაგეგმილ აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს და ადაპტაციის პეროიდს. ინსტრუქციის თანახმად, სამუშაოს დაწყებამდე სკოლის საქმისმწარმოებელი ახალ თანამშრომელს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, შემდეგ სკოლის დირექცია/ ადმინისტრაცია წარადგენს სკოლის კოლექტივთან. აცნობს ყველა იმ საჭირო ორიენტირს, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის ჯეროვანი შესრულებისთვის. კომუნიკაციის გამარტივების მიზნით ახალ თანამშრომლებს ეგზავნებათ სამსახურებრივი მეილის შესახებ ინფორმაცია და სხვა საკონტაქტო მონაცემები. სკოლის თანამშრომლებს ასევე, ეგზავნებათ ახალი თანამშრომლების საკონტაქტო მონაცემები, ხდება ახალი თანაშრომლების გაწევრიანება სკოლის მიერ სოცილურ ქსელში შექმნილ ჯგუფებში, სადაც ქვეყნდება სიახლეები. სკოლის ადმინისტრაცია/ კათედრის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პერიოდულ პროფესიულ დიალოგს სირთულეების პრევენციის მიზნით და სხვა .

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა გეგმას სხვადასხვა ღონისძიებებს. შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლებისთვის მადლობის გამოცხადების აქტები რაიონილ/ რესპუბლიკურ ოლიმპიადებში და სასკოლო/საკლასო ღონისძიებებში მონაზილეობაზე. ასევე მოსწავლის ეროვნულ ოლიმპიადაში სამივე ტურში გამარჯვებაში შეტანილი წვლილისთვის.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის წესი
- სკოლის შინაგანაწესი
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ინსტრუქციები
- მადლობის გამოცხადების აქტები
- თანამშრომელთა სერტიფიკატები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. აღნიშნული პროცესები განხილულია სკოლის ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“ და მოიცავს: ხარისხის უზრუნველყოფის წესს, შიდა და გარე შეფასებას; სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასებას და შემდგომ გაუმჯობესებას, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას და განვითარებას, სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. ყოველივე ამის განხორციელებისათვის სკოლას განსაზღვრული აქვს შიდა და გარე შეფასების სისტემა. შიდა შეფასების სისტემა მოიცავს 4 ციკლს: 1. დაგეგმე, 2. განახორციელე, 3. შეამოწმე, 4. განავითარე. გარე შეფასების სისტემა მოიცავს გარე კონტროლის სისტემას სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პერიოდულ მონიტორინგს.

ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში, კერძოდ, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა აღწერს საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად პროცესებს. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით, ხარისხის უზრუნველყოფაზე მექანიზმებით. ხოლო დამხმარე პროცესები აღწერილია: ადამიანური რესურსების მართვის წესით, ბიბლიოთეკის დებულებით, საქმისწარმოების წესით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიებით და სხვა დოკუმმენტებით.

ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. კერძოდ, შემუსავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებულია სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურათა ინსტრუქციები, რომელიც მოიცავს: საჩივრების ეფექტური სისტემის მუშაობის პრინციპები (წამოჭრილი პრობლემების არაფორმალური მოგვერების მხადაჭერა, ხელმისაწვდომობა და საჯაროობა, საჩივრების პროცედურათა სიმარტივე, გონივრული და მკაფიოდ განსაზღვრული დროის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფარგლები), საჩივრების განხილვის ორგანო და გადაწყვეტილების მიღების ვადები. დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი ვინ და როგორ შეუძლია შეიტანონ სკოლაში საჩივარი/ განცხადება აუცილებელი რეკვიზიტების მითითებით. საჩივრების განხილვისას გათვალისწინებული პერსონალური მონაცემების დაცვის წესები და პირობები კანონმდებლობის შესაბამისად. დოკუმენტს დანართის სახით აქვს ცხრილი, სადაც კლასიფიცირებულია განმცხადებლის მიერ საჩივრის რეგისტრირების პროცედურები და ვადები.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და გამოკრულია სკოლაში საინფორმაციო დაფაზე, რაც უზრუნველყოფს სკოლაში დადგენილი შიდა მარეგულირებელი წესების საჯაროდ ხელმისაწვდომობას. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც დეტალურადაა გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის მიერ შემუშავებული ,,განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურათა ინსტრუქციებით" უზრუნველყოფილია თანამშრომლების, მოსწავლის მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება. დამრიგებლის დებულების საფუძველზე, თითოეული დამრიგებელი ქმნის სადამრიგებლო პროგრამას, რომლის ერთ-ერთ საკითხს, მშობელთა ჩართულობა წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია მშობლებისთვის მათი უფლებებისა და მოვალეობების გავნობა, რასაც იტვალისწინებს სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვა მარებულირებელი დოკუმენტები. ასევე წარმოდგენილი მე-4 კლასის მშობელთა კრების ოქმიდან ჩანს, რომ მშობელს აქვს უფლება არჩევანი გააკეთოს მეორე უცხოენის სწავლასთან მიმართების.

ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის მართვის მექანიზმები
- სკოლის შინაგანაწესი
- განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურათა ინსტრუქციები
- დამრიგებლის დებულება/სადმრიგებლო პეოგრამა
- დასაქმებულთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- მშობელთა კრების ოქმები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. კერძოს, სკოლის ვებ გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ: სტრუქტურა, შინაგანაწესი, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები. მითითებულია სკოლის მისამართი, ელ. ფოსტა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა, სწავლების ენა და საგანმანათლებლო სტატუსი. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის ასევე გამოიყენება სოციალური ქსელი, რომლის საშუალებით გაზიარებულია სკოლაში მიმდინარე სიახლეები. ფეისბუქგვერდის საშუალების შესაძლებელია დაინტერესებულმა პირმა წერილი მიწეროს სკოლას და მიიღოს პასუხი. სკოლა საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებს მესინჯერ ჯგუფებს, მშობელთა კრებებს და გამოკითხვის მეთოდს. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა სკოლაში კვების ბლოკის არსებობის აუცილებლობა, რაზედაც სკოლას აქვს კომუნიკაცია შესაბამის უწყებეთან.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2.სტრუქტურიდან ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობი, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია თანამდებობრივი ინსტრუქციებით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის: მასწავლებლის, მშობლის და მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანი სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობა.

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ/გვერდი
- სკოლის სტრუქტურა
- სკოლის ფეისბუქგვერდი
- თანამდებობრივი ინსტრუქციები
- მშობელთა კრების ოქმი N3; 28/04/2023

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ფიზიკურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფის მექანიზმებს. კერძოდ, სახანძრო უსაფრთხოებას. ამ მიზნოთ სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირები. როგორც დასკვნის პროექტში აღვნიშნეთ ,,**სკოლას არა აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა.** რაც შეეხება სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნას, სკოლამ, დეტალური სახანძრო-ტექნიკრი შემოწმების მიზნით, 2023 წლის 6 ივლისის N 832592 წერილის საფუძველზე მოიწვია საგანგებო სიტუაციციების მართვის სამსახური. აღნიშნული სამსახურის მიერ გაიცა სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის N 237 მიწერილობა, სადაც გაწერილია ვადები და ღონისძიებები, რომელთა შესრულება სავალდებულოა შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დასაკმაყოფილებლად. წარმოდგენილი მიწერილობით, 2024 წლის თებერვლის ბოლომდე სკოლამ უნდა უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაკმაყოფილება. საგანგებო მართვის გეგმისა და სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დასაკმაყოფილებლად განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებისა მიზნით დაფინანსების თაობაზე, სკოლამ მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს. წერილიდან (MES 3 23 0001298797; 04/10/2023) ასევე ჩანს, რომ დაფინანსების საჭიროებაა სკოლის მდგრადობის დასკვნის მოსაპოვებლად. ამ ეტაპზე **სკოლა არა არქვს დასკვნა შენობის მდგრაგობის შესახებ**. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში არის მანდატურის სამსახური, მრჩეველთა საბჭო, დასაქმებულია ორი დარაჯი, შემოღობილია სკოლის პერიმეტრი. თუმცა, **სკოლის ტერიტორია უცხო პირთა გადაადგილებისგან არ არის დაცული.** სკოლას დამატებითი სახსრების მოსაზიდად, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით იჯარით გაცემული აქვს გარკვეული ფართები. იჯარით გაცემულია სკოლის ეზოში არსებული 495 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთზე მოწყობილი ფრენბურთის მოედანი. იჯარის ხელშეკრულების მიხედვით აღნიშნული ფართით სარგებლობა შესაძლებელია ორშაბათიდან კვირის ჩათვლით და არ არის მითითებული კონკრეტული დრო. რაც ართულებს სასწავლო პროცესის დროს სკოლის ტერიროტიაზე უცხო პირთა შემოსვლის კონტროლს. იჯარითაა გაცემული დამხმარე ორსართულიან შენობაში არსებული ფართების ნაწილიც (საცურაო აუზი, ქართული ცეკვა და კარატე), წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულებებიდან მხოლოდ 61,75 კვ.მ ფართზე (ცეკვა) გაფორმებული ხელშეკრულება განსაზღვრავს ფართით სარგებლობის დღეებს (სამი) და საათებს (14:00-15:00), თუცა სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესი ორ ცვლაში განახორციელოს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც რომ, სპორტული დარბაზი მდებარეობს დამხმარე შენობაში, რომელიც ძირითად სასწავლო კორპუსს უკავშირდება გადასასვლელი ხიდით. მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციით გადასასვლელ ხიდზე არსებობს მასწავლებლების მორიგეობა და სპორტის მასწავლებლებს დაევალათ უზრუნველყონ მოსწავლეების დარბაზში გადაყვანა და სასწავლო კორპუსში დროულად დაბრუნება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ვიზიტის დროს, **უსაფრთხოების ზომები არ იყო გათვალისწინებული სამშენობლო ნარჩენების დასაწყობებისას, კერძოდ სამშენებლო ნარჩენების ადგილზე არ იყო დამცავი ბადე.** როგორც სკოლის დირექტორმა განმარტა, სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრების შემდეგ, მოხდა ნარჩენების განთავსება ერთ ადგილზე და ელოდებიან შესაბამისი სამსახურს ნარჩენების გასატანად.“ **აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია ხარვეზის გამოსასწორებელი აქტივობების ჩამონათვალი: შენობის მდგრადობის დასკვნის მოპოვება; საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან; სამშენებლო ნარჩენების უსაფრთხოდ დასაწყობების უზრუნველყოფა და სკოლის ტერიტორიის დაცვა უცხოპირთა გადაადგილებისგან. თითოეული აქტივობების შესასრულებლად განსაზღვრულია დროის პერიოდი (30.04.2024-მდე-შენობის მდგრადობის დასკვნა; 20.06.2024-საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმება; 15.12.2023-სამშენებლო ნარჩენების უსაფრთხოდ დასაწყობება; 16.06.2024-სკოლის ტერიტორიის დაცვა უცხო პირთა გადაადგილებისგან). მტკიცებულებად წარმოდგინილია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში გაგზავნილი წერილი დაფინანსების თაობაზე, კერძოდ, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების და მდგრადობის დასკვნის მომზადების მიზნით დაფინანსების გამოყოფაზე. რაც შეეხება სამშენებლო ნარჩენების უსაფრთხოდ დასაწყობებას და სკოლის ტერიტორიის დაცვას უცხოპირთა გადაადგილებისგან სკოლა უზრუნველყოფს საკუთარი ბიუჯეტით და რისკების დადგომის ალბათობა არის 0%. წარმოდგენილი დოკუმენტები გახდა ინდიკატორის საბოლოო შეფასების ცვლილების საფუძველი.**

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, მისი მიზანია განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის ჯანმრთელობა. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლის პირველ სართულზე ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი, რომელიც სკოლაში დასაქმებულია 2020 წელს. სკოლის ექიმს აქვს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტორ მიერ გაცემული „შინაგანი მედიცინის“ლიცენზია. პროფესიული განვითარების მიზნით გავლილი აქვს ტრეინინგები და ფლობს სერთიფიკატებს: ,,გადაუდებელი თერაპია-ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი“; დიაგნოსტიკა და პირველადი დახმარება მწვავე მოწამვლების დროს- თბილისის სამკურნალო აკადემია“; რეფერალური დახმარების ცენტრში-პრეჰოსპიტალური გადაუდებელი დახმარება“ და სხვა. ასევე, სკოლაში დასქმებულ ექიმს აქვს სამედიცინო სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება. მათ შორის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის თერაპევტის და უფროსი ექიმის პოზიციაზე. 2022 წლის 21 მარტის ბრ. №41/ნ/01-23/ნ განსაზღვრავს სკოლაში ექიმის დასაქმების ნორმებს, რომლის თამახმად, ექიმი უმაღლესი სამედიცინო განათლებასთან ერთად უნდა ფლობდეს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: „პედიატრია“; „საოჯახო მედიცინა“; „ზოგადი პროფილის ექიმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პედიატრი“. ,საოჯახო მედიცინის“ და ,,შინაგანი მედიცინის“ სწავლის შედეგების შედარებით ჩანს, რომ შინაგანი მედიცინა მოიცავს საოჯახო მედიცინის ზოგად ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ექიმს აქვს საჭირო ცოდნა და უნარები, რაც გათვალისწინებულია სკოლის ექიმისთვის. სკოლაში მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობათა თანაფარდობის სარეკომენდაციო ცხრილის შესაბამისად, სასურველია სკოლას ემსახურებოდეს ორი ექიმი.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.

ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია

2. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესებს. წესის თანახმად, სკოლას ჰყავს მანდატურის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე. შემუშავებულია თამბაქოს აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ,,ინფორმირებულობის უზრუნველყოფის“ მონაცემები. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი, მოსწავლეთა მიერ სკოლის ტერიტორიის ვადაზე ადრე დატოვება დასაშვებია მხოლოდ დირექტორის ან დირექტორის მოადგილისა და დარაჯის წინასწარ ინფორმირების შემთხვევაში. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

   დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკით განსაზღვრული მექანიზმები უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 3.4.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია ,,უსაფრთხო სკოლის“ შექმნის პრინციპები. სკოლა უზრუნველყოფს ისეთი ინსტრუმენტების ამოქმედებას, რომელიც ხელს შეუწყობს დისკრიმინაციისა და ძალადობისგან თავისუფალი სასკოლო გარემოს შექმნას. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბების მიზნით, სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი. სასკოლო კურიკულუმი და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები სკოლაში ქმნის ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო გარემოს. სკოლის სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებული თემები: პიროვნული და მორალური განვითარება, მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერება, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია. სხვადასხვა პროექტების ფარგლებში წარმდგენილი მრავალფეროვანი ნამუშევრები, იძლევა შთაბეჭდილებას რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლის მიმართ დადებითი, ემოციური და მიკუთვნილობის განცდა.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებული 3 დამლაგებლი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების კორპუსებში შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში, რომელთა მარაგებზე პასუხისმგებელია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. სკოლაში არის სველი წერტილები, ცალკე ბიჭების და ცალკე გოგონებისთვის და პერსონალისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ზედამხედველობას უწევს სკოლის ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოს ინფორმაციას და მონიტორინგი გაუწიოს სკოლის შიდა და გარე პერიმენტრის დასუფთავებას, გამოსაყენებელი ხსნარესა, დასუფთავების რეჟიმს, ნარჩენების მართვასა და სხვა სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან დაკავშირებულ რეგულაციებს.

ინდიკატორი 3.4.1.4.დაკმაყოფილებულია

5. სკოლას შემუშავებული აქვს ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები", რომელიც მოიცავს: მონაცემთა დაცვის პრინციპებს, პერსონალური მონაცემების დამუშავებას, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნებს, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვას ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენებისა და ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმისა და ელექტრონული ბაზის წარმოებისას. განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება. განსაზღვრულია მონაცემთა დაცვის მონიტორინგის მექანიზმები. სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და დასაქმებულ პირთა მონაცემების დამუშავებას აღნიშნული წესის შესაბამისად. სკოლაში რეგისტრაციის დღიდან იწყება მოსწავლეთა მონაცემების დამუშავება და გრძელდება მთელი სასწავლო პროცესის მანძილზე. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი-საქმისმწარმოებელი. მასწავლებელთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხებს.

ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. კერძოდ, სკოლის მიერ შემუშავებული „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები" აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა კანონიერი დამუშავების უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდება მისი საქმიანობის პერიოდული მონიტორინგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან/დაცვასთან დაკავშირებით დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს, შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით.

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია

7. სკოლაში ხდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შეფასება. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშია მანდატურის სამსახურის წარმომადგენელიც. სკოლის მანდატურის სამსახური უზრუნველყოფს სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას. მრჩეველთა საბჭოზე ხდება შეფასების შედეგების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრ. N 2-160 დამტკიცებული ,,უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა“
- ბრ. N 1/კ-03 ,,სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“
- MES 9 23 0000832592; 06/067/ 2023 წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს
- სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის N 237 მიწერილობა,
- MES 3 23 0001298797 წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს
- ბრ. N 2-89 დამტკიცებული,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“
- ექიმის პირადი საქმე
- ბრ. N 2-107 ,,საგანგებო შტაბის დამტკიცების შესახებ“
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- ბრ. N 1/კ-53 ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“
- ბრ. N 2-128 დამტკიცებული ,,თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/ შეზღუდვასტან დაკავშირებული წესები“
- ბრ. N 2-98 დამტკიცებული,, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- მასწავლებლთა და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- იჯარის ხელშეკრულება N1; 03/04/2023
- იჯარის ხელშეკრულება N2; 26/06/2023
- იჯარის ხელშეკრულება N3 ; 15/05/2023
- იჯარის ხელსეკრულება N4; 15/05/2023
- სამეურვეო საბჭოს ოქმები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერით, სსიპ ქალაქ თბილისის 171-ე საჯარო სკოლა ფუნქციონირებს ქ. თბილისში, ძოწენიძის ქუჩა N 3, განთავსებულ შენობა-ნაგებობაში. დაზუსტებული ფართობია 10671.00 კვ.მ., ხოლო შენობა-ნაგებობების საერთო ფართია-5396.00 კვ.მ. სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა არსებობის ვადით.
   სკოლის შენობა მოიცავს ოთხსართულიან და ორსართულიან შენობებს, რომლებიც ერთმანეთს გადასასვლელი ხიდით უკავშირდება. ოთხსართულიან შენობებში განთავსებულია 31 საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო (ქიმია, ფიზიკა და ბიოლოგია) ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასი, ექიმის კაბინეტი, რესურსოთხი, ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, მანდატურის ოთახი და ბიჭების, გოგნებისთვის, პერსონალისთვის და სსსმ პირისთვის განკუთვნილი სველი წერტილები. ორსართულიანი შენობაში არის სპორტული დარბაზი, აუზი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა და კვების ბლოკი. სკოლას აქვს ეზო, სადაც მდებარეობს ორი სპორტული მოედანი, მათ შორის ერთი განკუთვნილია ქვიშის ფრენბურთისთვის და გაცემულია იჯარით. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფითა და კარადით. სკოლის ბალანსზეა-1000 მერხი და სკამი. 40-დაფა, 16- პროექტორი, 4-პრინტერი და 4 ქსეროქსის აპარატი. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესი განახორციელოს ორ ცვლაში. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სკოლას ქონება გადაეცა არსებობის ვადით, რაც იძლევა გარანტიას, რომ ავტორიზაციის პერიოდში უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალურ რესურსით.

ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა დასაქმებულების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსებით სარგებლობის პირობებს, მიზნებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ამოცანებს, პრინციპებს და ფუნქციებს. აღნიშნული წესში დეტალურადაა განხილული საბუნებიმეტყველო ლაბორატორიების (ფიზიკა, ქიმია, და ბიოლოგია), კომპიუტერული კლასის, სპორტული ინფრასტრუქტურის, მუსიკის კაბინეტის, რესურსოთახის და სკოლის ბიბლიოთეკის გამოყენების პირობები. ასევე, მატერიალური რესურსის და სასკოლო ინვენტარის დაზიანების შემთხვევები.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია

3. დასკვნის პროექტის თანახმად ,,სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. კერძოდ, შენობის მთავარი შესასვლელი ადაპტირებულია, სკოლაში არის ადაპტირებული სველი წერტილები. პირველ სართულზე განლაგებულია რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. კიბეებისთვის არ არის გათვალისწინებული პანდუსები ან ლიფტი, რაც ვერ უზრუნველყოფს შშმ პირისთვის ხელმისაწვდომი იყოს სკოლაში არსებული ყველა სასწავლო რესურსი. მათ შორის საბუნებისმეტყველო (ქიმია,ფიზიკა და ბიოლოგია) ლაბორატორია, კომპიუტერული კლასი და სხვა.“ **ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს, შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა ხარვეზის გამოსწორების აქტივობა, განსაზღვრა ხარვეზის გამოსწორების პერიოდი 10/11/2024-მდე და ფინანსური მხარდაჭერისთვის MES 2 23 0001593842 წერილით მიმართა სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს. წარმოდგენილი დოკუმენტი გახდა ინდიკატორის საბოლოო შეფასების ცვლილების საფუძველი**

ინდიკატორი 3.5.1.3 მეტწილ შესაბამისობაშია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს დიდი ეზო, სპორტული მოედნები, სადაც შესაძლებელი სპორტული ღონისძიებების ჩატარდეს. სკოლის შენობაში არსებული ნათელი და ფართე დერეფნები საშუალებას იძლევა მრავალფეროვანი ღონისძიებები განხორციელდეს, რაც თვალსაჩინო გახდა ვიზიტის დროს. სკოლის შესასვლელ ფოიეში მიმდინარეობდა საშემოდგომო ღონისძიებისთვის მზადება. ხელოვნების მასწავლებელი ატარებდა შემაჯამებელ გაკვეთილს. დერეფნები გამოყენებულია საგამოფენო სივრცედ.

ინდიკატორი 3.5.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას კურიკულუმის განხორციელებისთვის აქვს შემდეგი მატერიალური და სასწავლო რესურსები: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის (ისტ-ის მიმართულებით), მოწყობილია კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია პროექტორი და ლეპტოპები. ბუნებისმეტყველების გაკვეთილებისთვის განკუთვნილი საბუნებისმეტყველო კლას-ლაბორატორიები შესაბამისი აღჭურვილობით. ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები ტარდება სპორტული დარბაზი ან/და სპორტულ მოედანზე. დაწყებითი საფეხური სპორტის კურიკულუმის განხორციელებისთვის სკოლას აქვს საჭირო სპორტული ინვენტარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საბაზო და საშუალო საფეხურები: საბუნებისმეტყველო მიმართულებით, სკოლას აქვს ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ქიმიის კლასში ლაბორატორიული სამუშაოებისთვის განკუთვნილი სადემონსტრაციო მაგიდა. სამიევე ლაბორატორიას აქვს დამხმარე ოთახები აღჭურვილი სველი წერტილებით. ქიმიური რეაქტივები მარკირებულია და ინახება წესის შესაბამისად. ლაბორატორიაში არის ყველანაირი პირობა, კურიკულუმით გათვალსიწინებული პრაქტიკული სამუშაოს ჩასატარებლად. სპორტის გაკვეთილებისთვის განკუთვნილია სპორტული დარბაზი და მოედანი. სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. გამოკრულია ბიბლიოთეკისთ სარგებლობის წესი, შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკაში არის როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლის ბიბლიოთეკა შედგება რამდენიმე ზონისგან: ბიბლიოთეკარის სამუშაო სივრხე, სადაც არის კომპიუტერი, სამკითხველო ოთახი და წიგნსაცავი. სკოლას აქვს სხვადასხვა სახის თემატური თვალსაჩინოებები: რუკები, პლაკატები, ცხრილები, მოდელები და სხვა წარმოდგენილი რესურსებით სკოლა უზრუნველყოფსდაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმებით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას.

ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია.

დადასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სკოლის აზომვითი ნახაზი
- საგნობრივი კურიკულუმები
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი
- მატერიალრი რესურსის ფლობის მასალები
- ბიბლიოთეკის დებულება
- MES 2 23 0001593842 წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული კლასი. განსაზღვრულია კომპიუტერულ ტექნიკაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პასუხისმგებელი პირი. სკოლის საკუთრებაშია 8 პერსონალური კომპიუტერი და 23 ლეპტოპი. ლეპტოპის დიდი ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლას აქვს 16 პროექტორი, 4 პრინტერი და 4 ქსეროსქსის აპარატი. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით. მასწავლებლებისთვის კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია, როგორც ისტ-ის კაბინეტში, ასევე სამასწავლებლოში, სადაც განთავსებული 5 კომპიუტერი. სკოლას შემუშავეული აქვს ციფრული განვითრების გეგმა და ტექნოლოგიების განვითარების დებულება. წარმოდგენილი დოკუმენტებით განსაზღვრულია სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენებისა და სკოლის ციფრული ინფრასტრუქტურის განვითრების სტრატეგიები.

ინდიკატორი 3.6.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში არის საზიარო სამუშაო სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო და ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკა და შესაძლებელია მისი მიზნობრივი გამოყენება. სკოლას შემუშავებული აქვს ,,მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომელიც არეგულირებს სკოლაში კომპიუტერული ლაბორატორიის მუშაობას და ინტერნეტის მიზნობრივად გამოყენებას. კერძოდ, განსაზღვრავს მომხმარებელის უფლებებს, შეიყვანოს და დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალები, ისარგებლოს ელექტრონული რესურსით და მათი გამოყენებით იმუშაოს ლიტერატურაზე. შესაძლებელია ელ ფოსტით და ვებ/გვერდით სარგებლობა. აღნიშნული წესი ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს ინტერნეტით სარგებლობაზე. კერძოდ, დაუშვებელია კომპიუტერებში რაიმე ფაილის წაშლა, ასევე მისი გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის, დაუშვებელი კომპიუტერის გაუმართავად მუშაობისას, ხარვეზის თვითნებურად გასწორება.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები
- ბრ . 2-94 ,,კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“
- ტექნოლოგიური განვითარების დებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს სკოლაში დოკუმენტბრუნვის პროცესებს. წესი შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და არეგულირებს დოკუმენტაციის მიღების, შესრულების, გაგზავნის, აგრეთვე, ბრძანებების, ხელშეკრულებების და სხვა ტიპის საქმიანი დოკუმენტების აღრიცხვის და მასთან დაკავშირებული საქმიანობის წესებს. კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება შემოსული და გასული კორესპოდენციის, მმართველობითი ხასიათის და კოლეგიური ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების/ოქმების და გაფორმებული ხელშეკრულებების აღრიცხვა. დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას: შემოსული დოკუმენტაცია; გასული დოკუმენტაცია; შიდა დოკუმენტაცია. დოკუმენტების აღრიცხვის მიზნით სკოლაში არსებობს: გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი, მოსწავლეთა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელტან გაფორმებული ხელშეკრულეების სარეგისტრაციო ჟურნალი. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია, აკინძულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და ხელმოწერით. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული („eflow”) და მატერიალური ფორმით. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებელთან ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები, რომლებიც განთავსებულია თაროებზე. მიზანშეწონილია პირადი საქმეები შენახვის დახურულ კარადებში.

   ინდიკატორი 3.6.2.1 დაკმაყოფილებულია.
2. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა („eflow”) საშუალებით. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სისტემა. eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას ასახული აქვს საჭირო ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. კერძოდ, მოსწავლეთა და თანამშრომელთა მონაცემები, ცხრილები, კვალიფიკაციის დამადასურებელი დოკუმენტები და სხვა. საინფორმაციო სისტემა eschool - ში ინფორმაციის დროულ შეტანასა და სიზუსტეზე პასუხისმგებელია ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი,

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაცია. საქმისწარმოების წესის შესაბამისად საქმისმწარმოებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს დოკუმენტებზე რეაგირების ვადების დაცვას. წარმოდგენილი მასალების დათვალიერებით დგინდება რომ, სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის უწყებებთან და აწვდის დროულ უკუკავშირს. კერძოდ, ავსებს თვითშეფასების კითხვარს და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ასევე ხარვეზის გამოსწორების მასალებს. თანამშრომლობს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრთა დროულად აწვდის და დროულად აწვდის საჭირო მოთხოვნილ ინფორმაციას სხვადასხვა მნიშვნელოვან დავალებებზე. სკოლას დირექტორი, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს. სამინისტროს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას და სხვა.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის 171-ე საჯარო სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
- ბრ.N 2-106 ,,სსიპ თბილისის 171 -ე საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი “
- ინკლუზიური განათების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე წლიური ანგარიში
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 4 (ფინანსური საქმიანობის ანგარიში)

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. skolebi.emis.ge გასხნილია, სსიპ თბილისის 171-ე საჯარო სკოლის, ვებგვერდი, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. კერძოდ, საკომუნიკაციოდ მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია: სკოლის ელ.ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მისამართი. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ. სოციალური ქსელშიც სკოლას აქვს თავისი ფეისბუქგვერდი, სადაც განთავსებულია სკოლაში განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია.
   სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 3.6.3.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. კერძოდ, სკოლის ვებ/გვერდზე განთავსებულია ინფორმაციიდან ჩაანს, რომ სკოლაში სწავლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე მიმდინარეობს. ვებგვერდზე განთავსებულია სასკოლო სასწავლო გეგმა. ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგები პირია სკოლის ისტ-ის პედაგოგი, რომელიც უზრუნველყოფს ზუსტ და სანდო ინფორმაციის გავრცელებას.

ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიები, სადაც გაწერილია მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაციის წესები. კერძოდ, მხარეთა უფლება-მოვალეობანი, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი და მშობელთან ურთიერთობის სტრატეგიები (კრებები, Teams-ის ან Zoom-ის პლატფორმა; ელექტრონული ჟურნალები; ყოველდღიური კომენტარები; მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები; ელექტრონული ფოსტა და ტელეფონი. სოციალური ქსელი,), მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთა ურთიერთობის ფორმა და პრინციპები. სკოლისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების აზრი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაში. სკოლის სადამრიგებლო პროგრამის ერთ-ერთი საკითხია მშობელთა ჩართულობა, შემუშავებულია მშობლების კითხვარები. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება შემდგომი საქმიანობის დაგეგმვა.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია

4. skolebi.emis.ge გასხნილია, სსიპ თბილისის 171-ე საჯარო სკოლის, ვებგვერდი, რომელზეც განთავსებული ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები. სკოლის სტრუქტურა, სამოქმედო გეგმა, შინაგანაწესი, საკონტაქტო ინფორმაცია და სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს: სკოლის ფილოსოფიას, სწავლა-სწავლების მიზნებს, ძირითადი მეთოდიკური ორიენტირებს, სასწავლო წლის კალენდარს, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შესფასების სისტემას, საათობრივ ბადეს, საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალს, ციფრულ ტრანსფორმაციას, ინკლუზიურ განათლებას, მოსწავლეთა უფლებების დასცავს სასწავლო პროცესში, ტრანზაქციის მხარდამჭერი აქტივობები და სასკოლო კურიკულუმის აგების პრინციპები. რამდენადაც სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია ფინანსური მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო შესრულების ანგარიში ჯერ სკოლას არა აქვს და შესაბამისად არ არის გამოქვეყნებული.

ინდიკატორი 3.6.3.5 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი
- სკოლის ფეისბუქგვერდი
- მშობელებთან ურთიერთობის დებულება(კომუნიკაციის სტრატეგიები)
- სადაგრიგებლო პროგრამა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის ბიუჯეტი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე. სკოლის დირექტორის წლიური ფინანსური ანგარიშით დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილში. დირექტორის განმარტებით, ბიუჯეტის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.
   სკოლის ბიუჯეტი ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსების შეძენისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების აქტივობების ხარჯებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას.
   ინდიკატორი 3.7.1.1. დაკმაყოფილებულია
2. წარმოდგენილი მასალებით (შესყიდვები წლიური გეგმა, ბაზრის კვლევა, 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, ფინანსური საქმიანობის ანგარიში, სამეურვეო საბჭოს სხდომის ომი და 2023 წლის ბიუჯეტი) დასტურდება, რომ სკოლას აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. მოწოდებული რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.
   ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი
- შესყიდვების წლიური გეგმა
- ბაზრის კვლევის მასალები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- 2023 წლის ბიუჯეტი
- ფინანსური საქმიანობისანგარიში
- სამეურვეო საბჭოს ოქმები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ,,მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები“, დოკუმენტით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებების დაცვის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/ორგანო და დეტალურადა არის გაწერილი მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, სკოლის დირექტორის, მასწავლებლის და სახელმწიფოს ფუნქცია-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოვალეობები მოსწავლეთა უფლებების დაცვაში. ასევე შემუშავებულია ,,ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია", რომელიც მოიცავს, რეგულირების სფეროს და სამართლებრივ საფუძვლებს, ტერმინთა განმარტებას, სკოლის უფლებამოსილებებს, რეფერირების პროცედურების განხორციელებასა და შიდა ინსტრუქციის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრას, ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის გაჩენის სხვადასხვა გარემოებებს, ბავშვზე ძალადობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში განსახორციელებელ ქმედებებს, ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობას, ინფორმაციას „ცხელი ხაზის" შესახებ, ინფორმაციის კონფიდენციალურობას და ბავშვთა ძალადობის გამოვლენისა და შესაბამისი ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულობის შეუსრულებლობის შემთხვევას. სკოლის შინაგანაწესით წარმოდგენილია ინფორმაცია მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის, პასუხისმგებლობის სახეებისა და დისციპლინური წარმოების წესის შესახებ. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი როგორ ხდება მოსწავლის უფლებების დაცვა სხვადასხვა შემთხვევაში, მაგალითად ელ. ჟურნალის წარმოებისას, თიმსის პლატფორმის გამოყენებისას. მოსწავლეთა გარკვეულ უფლებებსა არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც განსაზღვრულია სემესტრული და ექსტერნის გამოცდის ჩატარების და საფეხურის დაძლევის წესები, ინკლუზიური განათლების რეგულაციები, მათ შორის ისგ შემუშავებისა და შინ სწავლების პირობები. დამრიგებლის დებულებით განსაზღვრულია მოსწავლესა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მიეწოდოს ინფორმაცია გაცდენებისა და მოსალოდნელი ექსტერნის გამოცდების შესახებ. სკოლაში, დირექტორის ბრძანების შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის უსაფრთხოების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტებით (დირექტორი წერილი, დამრიგებლის სამსახურებრივი ბარათი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილთა, შრომის, ჯამნრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო ზრუნვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს უროსის სამსახუებრივი ბარათი, მანდატურის მიმართვიანობის ბარათი) დგინდება, რომ სკოლის რეფერირების წესის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის უფლებების დაცვას.

ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლი შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის წესები, ვიდეოთვალთვალის გამაფრთხილებელი ნიშანი და სხვა სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტები. სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით, კლასის დამრიგებელი, მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას განახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ასევე თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებეულია სასკოლო საზოგადოებასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

1. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, მხარეთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობის შესახებ, მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების წესები, სასწავლო დრო, დასვენების დრო და უქმე დღეები. ასევე განსაზღვრულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, დავების გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, დამატებითი პირობები და მხარეთა რეკვიზიტები.

ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრ. N2-246 ,,მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები“ დამტკიცებულია
- სკოლის შინაგანაწესი
- სადამრიგებლო პროგრამა
- მშობელთან/ კანონიერ მეურვესთან გაფორმებლი ხელშეკრულებები
- შემუშავებული ქცევის წესები
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები
- სკოლის ვებგვერდი
- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს ,,მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვენის, სტატუსის შეჩერებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი“ . მოსწავლის ჩარიცხვის დროს სკოლა იცავს ყველა იმ მექანიზმს, რომელიც დადგენილია კანონმდებლობით და დაინტერესებულ პირს განუმარტავს, პირველკლასში მოსწავლის რეგისტრაციის წესებსა და პირობებს, ასევე აწვდის ინფორმაცია კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის თაობაზე. სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების პროპორციულად გადანაწილებას პარალელურ კლასებში. აღნიშნულ ინფორმაციას, ვადების დაცვით, ასახავს eschool.emis.ge-ზე. ვინაიდან, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების სკოლაში რეგისტრაციის ვადები უსწრებს ყველა შემდგომ ვადას, საჯარო სკოლა ცალკე აქვეყნებს ინფორმაციას დაინტერესებული პირებისთვის, რომ მისაღები კონტინგენტის შესაბამისად, სკოლამ დროულად და ეფექტურად დაგეგმოს სასწავლო პროცესი და საჭიროების მიხედვით განათავსოს და მოაწყოს საკლასო ოთახები. აღნიშნულ წესში ასევე გაწერილია II-IX კლასებში და საშუალო საფეხურზე მოსწავლის ჩარიცხვა, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარება და მოსწავლის ჩარიცხვა, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვის ფორმალურ განათლებაში ჩართვა, მოსწავლის სტატუსის შეჩერება და აღდგენა, კლასიდან კლასში გადაყვანა. საფეხურის დაძლევის წესი გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში..

ინდიკატორი 4.1.2.1.დაკმაყოფილებულია

2. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდენა, რომ პირველკლასელთა ჩარიცხვა, მათ შორის სსსმ მოსწავლის, კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. ასევე კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა.

ინდიკატორი 4..1.2.2. დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს მათი უფლებებს და მოვალეობებს (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები, ცვლილებები ე.ს.გ და სხვა). სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ. დამრიგებელი აწვდის ინფორმაცის სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობებისა და პროექტების შესახებ. სკოლა ითვალისწინებს მშობელთა ინტერესებს მეორე უცხო ენის არჩევისას და სთავაზობს არჩევანს ორ ენას შორის (გერმანული და რუსული) საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნორმები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას. სკოლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა.

წარმოდგენილ ინფორმაციზე დაყრდნობით შეიძლება დავადგინოთ, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი 4.1.2.3.დაკმაყოფილებულია

4.სკოლას ებ-გვერდზე გამოქვეყნებული აქვს ინფორმაცია სკოლის შესახებ. დამრიგებლების საშუალებით მშობელს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი შვილისა და სკოლის სერვისების შესახებ. მოსწავლეთა თვითმართველობა უზრუნველყოფს იდეებისა და ინიციატივების გენერირებას სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად. სკოლაში არსებული პროგრამები,სერვისები, აქტივობები იძლევა საშუალებას, რომ მასში ჩაერთოს ყველა მოსწავლე, სურვილის შემთხვევაში, განურჩევლად სქესისა, ეროვნული თუ რელიგიური კუთვნილებისა.

ინდიკატორი 4.1.2.4.დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- N2-95 ბრძანებით დამტკიცებული ,,მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვენის, სტატუსის შეჩერებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი“
- სკოლის შინაგანაწესი
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სადამრიგებლის პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სკოლის ვებგვერდი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:.

1. სკოლას შემუშავებული აქვს ,,მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმი", რომელშიც დეტალურადაა გაწერილი პირველკლასელთა და მობილობით გადმოსული მოსწავლის (მათ შორის უცხოეთიდან) ადაპტაციისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები. სკოლა ადგენს დეზადაპტაციის ნიშნებს და მიმართავს შესაბამის ზომებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ადაპტაციის გაადვილების მიზნით. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღრულია ტრანზაქციის მხარდამჭერი აქტივობები. კერძოდ, საქმისმწარმოებელი შესაბამისი კლასის დამრიგებელს აწვდის ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ, აღიარების საფუძველზე სკოლაში ჩარიცხული მოსწავლის შემთხვევაში, სკოლის საქმისმწარმოებელი აწვდის კლასის დამრიგებელს მოსწავლის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების შესახებ ინფორმაციას კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს; ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას. ზოგადად დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს. წარმოდგენი დოკუმენტებში არ ჩანს სსსმ მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმები, თუმცა გასაუბრების დროს სკოლის დირექტორმა აღნიშნა, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესში ჩართულია ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი და ასისტენტები - რომლებიც სხვადასხვა აქტივობებით ცდილობენ ხელი შეუწყონ მოსწავლეთა სასკოლო გარემოში ადაპტაციას. ახდენენ რთული ქცევის მქონე მოსწავლეების ქცევაზე დაკვირვებას, აკეთებენ დასკვნებს, ჩანაწერებსა და შეიმუშავებენ რთული ქცევის მართვის სტრატეგიებს. საჭიროებისამებრ ხდება ისგ ჯგუფის შეხვედრები მშობლებთან და საგნის მასწავლებლებთან, სადაც ხდება მოსწავლეთა მიღწევებისა და საჭიროებების განხილვა. განიხილება წარმოქმნილ სირთულეების გადაჭრის გზები და ხდება შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა და გაიცემა საჭირო რეკომენდაციები. სასურველია, ადაპტაციის მექანიზმებში გაიწეროს სსსმ მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ღონისძიებები.

ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. ადაპტაციის მექანიზმებით და ტრანზაქციის მხარდამჭერი აქტივობებით სკოლა აცხადებს მზაობა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას. დირექტორს განმარტებით პირველკლასში შემსვლელ მოსწავლეთათვის ეწყობა ღონისძიება. სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა. აღნიშნული ღონისძიების მიზანია მოსწავლეების უკეთ გაცნობა და დაახლოება, ასევე სწავლის დაწყების დღიდან პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნა.

ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას შემუშავებული აქვს დამრიგებლის მუშაობის დებულება, რომელიც განსაზღვრავს კლასის დამრიგებლის მოვალეობებს. კერძოდ, დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიურ თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემების გადაჭრაში, ჰქონდეს შუამავლის როლი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებლებს შორის პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში. რეგულარულად (თვეში მინიმუმ ერთხელ) მიაწოდოს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებებისშესახებ. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებელი მოსწავლეს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმას, სადაც აღნიშნულია, რომ აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით სკოლაში უზრუნველყოფს სემესტრული გამოცდების ჩატარებას.

   დასკვნის სახით შეიძლება იქთვას, რომ სკოლის მიერ შემუშავებული წესები, უზრუნველყოფს, მოსწავლემ სკოლისგან მიიღოს სათანადო კონსულტაცია და მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად .

ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში და უცხადებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. ადმინისტრაციის მხარდაჭერით სკოლაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: „შემოდგომის ფერები“, „ვაჟა-ფშაველა“, „საახალწლო“, „ქართული ენა“, „დედამიწის დღე“, „სკოლის ეზო - ჩემი ეზოა“ და სხვა აქტივობები, პროექტები: „კონსტიტუციის როლი ადამიანის უფლებების დაცვაში“, „ჯანსაღი ცხოვრების წესი“.

ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები. მოსწავლეებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია გამოცხადებული კონკურსებსა და საგანმანათლებლო ღონისძიებების შესახებ. სასკოლო სივრცეში გამოფენი მოსწავლეთა ნამუშევრები. მაგალითად, პროექტი „ადამიანის უფლებების დაცვა - ჩვენი პრიორიტეტია“., პროექტი „ დედამიწის დღე“. პროექტი კულტურული მემკვიდრეობა თემაზე ,,რა განძი გვქონია , რა მხნე , რა მდიდარი, სოციალური პროექტის ,, ვიცხოვროთ სუფთა გარემოში პროექტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

,,პროფესიები“. სკოლას ჰყავს თვითმართველობა. თვითმართველობის ინიციატივით სკოლა მონაწილეობას ღებულობს სპორტულ ღონისძიებებში. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა წახალისების სისტემა.

ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია

6. სადამრიგებლო პროგრამებში და სკოლის მიერ შემუშავებული მშობელთა კითხვარში ჩანს, რომ სკოლა სადამრიგებლო საათის ფარგლებში, მოსწავლეთა უკუკავშირისა და ასევე მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით, აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. მშობლებს აქვთ შესაძლებლობა თავად აირჩიონ მეორე უცხო ენა. მოსწავლეთა და მშობელთა სურვილების გათვალისწინებით სკოლა მუშობს კვების სერვისის არსებობაზე.

   დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა გააუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

   ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმები
- მშობელთა კრების ოქმები
- სადამრიგებლო პროგრამა
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელს უწყობს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას. კერძოდ, საბაზო და საშუალო საფეხურის სადამრიგებლო პროგრამებით გათვალისწინებულია კლასის საათის თემები მოიცავს მოსწავლეს სხვადასხვა პროფესიების გაცნობას. პროფესიულ ორიენტაციის საკითხები ინტეგრირებულია საშუალო საფეხურის კურიკულუმებშიც, კერძოდ, მოქალაქეობაში პროექტული სწავლების ფარგლებში შერჩეულია იყო თემა: ,,პროფესიული განათლება“. პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლები მიიღეს ინფორმაცია, პროფესიული განათლების არსსა და კეთილდღეობაზე, საქართველოში პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის შესახებ და პროფესიული განათლების კუთხით მოთხოვნადი პროფესიებისა და ამ პროფესიებით დასაქმების პერსპექტივის შესახებ. პროექტზე სამუშაოდ მოსწავლეებმა შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა. გეგმაში გაწერილი აქტივობებიდან ჩანს, რომ მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია საქართველოში არსებული პროფესიული სასწავლებლების შესახებ, გაეცვნენ კანონმდებლობას პროფესიული განათლების შესახებ, შექმნეს საიფორმაციო ბუკლეტები საქართველოში არსებული პროფესიული სასწავლებლების შესახებ, გაესაუბრენ შერჩეული პროფესსიის ადამიანებს და სხვა. სკოლის წარმომდგენლების განმარტებით პროექტმა მოსწავლეებში დიდი ინტერესი გამოიწვია. სამომავლოდ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში დაიგეგმება უფრო ფართომაშტაბიანი პროექტი პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით.

   ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია
2. სკოლის სადამრიგებლო პროგრამა მოიცავს მშობელთა ინფორმირების საკიტხებს, დამრიგებლები მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ასევე ეროვნული გამოცდებისა და პროფესიული პროგრამების შესახებ.

   ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. რამდენადაც სკოლა პირველადი ავტირობზაციის რეჟიმშია, პროფესიული და კარიერული დაგეგმვის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შეფასება ჯერ არ მომხდარა. თუმცა, სკოლის დირექტორთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ იგეგმება კითხვარის შემუშავებას, რომელიც დაეხმარება სკოლას სამომავლოდ დაგეგმოს კარიერული წინსვლის და პროფორიენტაციის მომსახურების შეთავაზება. ამ ეტაპზე ინდიკატორი ვერ შეფასდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა
- სკოლის ფეიბიქგვერდი
- სასკოლო პროექტის ,,პროფესიული განათლება“ მასალები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები გაწერილია 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. კერძოდ, ინკლუზიური განათლების პრინციპები, სსსმ მოსწავლის განმარტება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება გადაყვანის წესები, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული იმ აქტოვობების ჩამონათვალი, რომლებიც დაეხმარე სსსმ მოსწავლეს, სკოლაში თავი იგრძნოს დაცულად და უსაფრთხოდ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის მიზანია სკოლაში ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა.

ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარებისთვის სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. ისგ-ჯგუფში გაერთიანებულია პედაგოგები, მშობელი, ექიმი, ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი, დამრიგებელი და საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირის ასისტენტი. ისგ ჯგუფის შეხვედრების შემდეგ იქმნება სხდომის ოქმები. ისგ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის პედაგოგები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები და მშობელი ერთმანეთს უზიარებს მიღწეულ შედეგებს, არსებულ გამოწვევებს და ისახება სამომავლო გეგმები. ინკლუზიურ განთლებაში ჩართული სპეციალისტები პერიოდულად ახორციელებენ სასწავლო პროცესის მონიტორინგს - აწარმოებენ დაკვირვებას გაკვეთილის მიმდინარეობის დროს, რათა განსაზღვრონ რამდენად არიან ჩართულები სსსმ მოსწავლეები საგაკეთილო პროცესში. საჭიროების შემთხვევაში საგნის მასწავლებლებს აძელევენ სიტყვიერ რეკომანდაციებს. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები სკოლის დირექტორს წარუდგენენ წლიურ ანგარიშს, სადაც აღწერილია წლის განმავლობაში მათ მიერ გაწეული სამუშაო. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია სსსმ მოსწავალის სასწავლო პროცესთვის დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- ისგ-ს ნიმუში
- ბრ. 1/კ-63 ,,ინკლუზიური განათლლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“
- ისგ სხდომის ოქმი

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო)***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. არასავალდებულო ხასიათის დამატებითი მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ამ ეტაპზე არ არის შეთავაზებული. სკოლის დირექტორის განმარტებით, იგეგმება კვების სერვისის შეთავაზება, რამდენადაც სასკოლო საზოგადოების გამოკითხვამ აჩვენა ბუფეტის ფუნქციონირების აუცილებლობა.
2. არასავალდებულო ხასიათის დამატებითი მომსახურება არ არის შეთავაზებული.
3. არასავალდებულო ხასიათის დამატებითი მომსახურება არ არის შეთავაზებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე
დაწყებითი საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპ
ავტორიზაციის

---

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ. ქ. თბილისის N 171 საჯარო სკოლის „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. დოკუმენტი განსაზღვრავს: კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს; პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი; კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა (შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება , გადასინჯვა და რევიზია); პროცესში ჩართულ მხარეებს და საზოგადოების ინფორმირების საშუალებებს. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ერთ-ერთი პრინციპი, რომელსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარება, მუდმივმოქმედი პროცესია, რომელშიც მონაწილეობენ მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები, მასწავლებლები და სკოლის დირექცია. აღწერილია თითოეული ჩართული მხარის ფუნქცია-მოვალეობები. სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, სკოლისთვის მნიშვნელოვანია მათი ინფორმირება და უკუკავშირი. რისთვისაც სკოლა გამოიყენებს სხვადასხვა საშუალებებს. კერძოდ, სკოლის ვებგვერდს, ელექტრონული ჟურნალს, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალური მედიას, საჯარო ღონისძიებებს - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ამ ეტაზე კურიკულუმის შემუშავება განხორციელდა საგნობრივ კათედრებზე, რომლებიც შემდეგ გაერთიანდა სხვა კათედრების მიერ შექმნილ კურიკულუმებთან და შეიქმნება სასკოლო კურიკულუმი. დაწყებითი კათედრის მასწავლებლებმა შეხვედრის დროს აღნიშნეს, კურიკულუმების შედგენისას მათ ითანამშრომლეს სკოლის სხვა საფეხურის კათედრებთან, გაითვალისწინეს მათი გამოცდილება და დაწყებითი საფეხურის მშობლების და მოსწავლეების ინტერესები. დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

   ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია
2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით კურიკულუმში ასახულია მოსწავლეთა, მშობელთა, კათედრების/მასწავლებლების და დირექციის ინტერესები. მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ამსახველად შეიძლება მივიჩნოთ ინტერვიუირებისას დაწყებითი საფეხურის კათედრის წევრების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომ ისინი მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გამორკვევის შედეგად ახდენენ სასკოლო სასწავლო გეგმის და ფორმალური თუ არაფორმალური განათლების ღონისძიებების დაგეგმვას. პირველ ეტაპზე დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შედგენის დროს სსიპ ქ. თბილისის N 171 საჯარო სკოლამ გაითვალისწინა სკოლის გასული წლების გამოცდილება და შეიმუშავა 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სკოლის დირექცია აპირებს შეიმუშაოს პროექტი, რის ფარგლებშიც დაწყებითი საფეხურის მშობლები ყოველ პარასკევს, მოირგებენ მასწავლებლის როლს და მოსწავლეებს, კლასის საჭიროებიდან გამომდინარე, გაესაუბრებიან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრიორიტეტული თემების ირგვლივ. ასევე, ინტერვიუირებისას დირექტორმა აღნიშნა, რომ აპირებს სკოლის ეზოში გამოყოს სივრცეები, რომელთაცპირობითად უწოდებს თითოეული კლასის სახელს (რათა მოსწავლეებს გაუჩნდეთ მიკუთვნებულობის განცდა), ხოლო მოსწაავლეები/კლასები თავისისვე გემოვნებით გააფორმებენ აღნიშნულ ტერიტორიებს (დარგავენ მცენარეებს და იზრუნავენ მათზე). მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესების დასადგენად სკოლას აქვს მზაობა ჩაატაროს გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზიზე დაყრდნობით მოახდინონ ცვლილებების შეტანა სასწავლო გეგმაში.

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის,სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო საგნობრივი კათედრები და დირექცია. როგორც აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე სკოლა პირველადი ავტორიაციის რეჟიმიშია. კურიკულუმები უმეტესწილად შეიქმნა სხვადსხვა კათედრის ურთიერთ თანამშრომლობით, აგრეთვე სამინისტროს მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო მასალებით, შესაბამისად სკოლა მზადაა სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ სასკოლო საზოგადოებასთან (მაგ; მშობლებთან და მოსწავლეებთა) აქტიურ თანამშრომლობით შეიტანოს გარკვეული ცვლილებები, ზოგადად, აქტიური ინტერაქცია ჰქონდეთ სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია

4. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, საჭიროა მათი ინფორმირება და უკუკავშირი, რისთვისაც სკოლა გამოიყენებს ისეთ საკომუნიკაციო არხებს როგორიცაა: ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია, ბეჭვდით მასალები. ხოლო, იმისათვის რომ სასკოლო კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს გაუჩნდეთ მიკუთვნებულობის განცდა, სკოლა გამოიყენებს საჯარო ღონისძებებს-ინტერაქტიულ ორმხრივ კომუნიკაციას აუდიტორიასთან/სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დირექციასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო სკოლის ყველა მასწავლებელი და დირექცია, შესაბამისად მათ მიერ ის უკვე გაზიარებულია.

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების/დოკუმენტაციის საშუალებით და ასევე ინტერვიუსას გაცემული პასუხებით , სწავლა-სწავლების პროცესზე პასუხისმგებელნი პირნი ჰოლისტურად გვიქმნინან წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე, რომელშიც გათვალისწინებულია თიტოეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლის ასაკი, ინტერესები და საჭიროებები. იყენებენ რა პროექტული შინაარსის დავალებებს მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავდ მოახდინონ სწავლის კონსტრუირება, მაგ.მართავენ სასკოლო სპექტაკლებს,მე-2 კლასში განახორციელეს პროექტი „ფოლკლორის დღე“, „შემოდგომის ფერები“ სასკოლო პროექტის ფარგლებში „ადამიანთა უფლებების დაცვა ჩვენი პროიორიტეტია“ მოსწავლეებმა მოაწყვეს იმიტირებული სასამართლო ი.ჭავჭავაძის მოთხრობის „სარჩობელაზედ“ ცოდნაზე დაყრდნობით.სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არჩევით საგნებს,კლასგარეშე წრეებს მუსიკაში,ხელოვნებასა და კომპიუტერულ ტექნოლოგიებში,რითაც ხელს უწყობს მოსწავლეებში აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას.

ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია.

2. შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სასწავლო პროცესში გააზრებული და გათვალისწინებულია გლობალური ფუნქციური უნარები,მაკრო ცნებები,სამიზნე ცნებები და შედეგები, რომლებიც მუშავდება კომპლექსური დავალებებითა და პროექტებით.სკოლას სასკოლო-სასწავლო გეგმაში უწერია,რომ „ადამიანის მთელი არსებობა წარმოადგენს სწავლების მუდმივ პროცესს, რომლის შედეგადაც მიიღწევა ცნებების, ცოდნა-უნარების ათვისება და ღირებულებათა სისტემის ფორმირება. ამისათვის უმნიშვნელოვანესი ფორმალური განათლებისა და არაფორმალური სწავლების ინტეგრაცია, რადგანაც ორივე წარმოადგენს ცხოვრების მანძილზე სწავლების შემადგენელ ნაწილს.“ ეს დასტურდება მაგ., მე-2 -მე-4 კლასებში განხორციელებული პროექტებით „ ფოლკლორის დღე“, „შემოდგომის ფერები“ , „ადამიანთა უფლებების დაცვა ჩვენი პროიორიტეტია“„ბავშვთა უფლებები და მოვალეობები“,სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებული წრეების მუშაობის ამსახველი მასალებით. სკოლა ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელში,კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია კომპლექსური დავალებები, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მითითებულია საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ ისინი მზად არიან კიდევ უფრო ინტენსიურად დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები, მოსწავლეებზე ორიენტირებული ფორმალური თუ არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები დაწყებით საფეხურზე

ინდიკატორი 2.1.2.2.შესაბამისობაშია

3. სკოლას სასკოლო- სასწავლო გეგმაში უწერია,რომ „ყველა მოსწავლე არის უნიკალური და განსხვავებული თავისი ინდივიდუალური , ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით და პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას სწავლა-სწავლების დროს“. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ გამოცდილება დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებისა და შეუძლიათ ეფექტური ინტერვენციების განხორციელება, მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია სხვადასხვა სირთულის დავალებები და აქტივობები. მოწოდებულ დოკუმენტაციაში მაგ.ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში,ისგ ჯგუფის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ოქმში,სასკოლო-სასწავლო გეგმაში იკითხება სკოლის ვალდებულება შინ სწავლების რეჟიმისა თუ სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის.

ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია.

4. დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება დასტურდება მოწოდებული რუბრიკებით, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის საფეხურის ფარგლებში ამ ტიპის შეფასების გამოყენებაზე. სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე მოცემულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა. როგორც განმავითარებელი ,ასევე განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება როგორც შუალედურ ,ასევე გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ მოწოდებული რუბრიკების გარდა ,სასწავლო წლის დასრულებამდე,საჭიროებისამებრ დამატებით შექმნიან მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით განმავითარებელი შეფასების და სტანდარტში მოცემული შედეგების ინდიკატორების გამოყენებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს.

ინდიკატორი 2.1.2.4.შესაბამისობაშია

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით- კათედრის, დამრიგებლების, მასწავლებლის თვითშეფასების, შეიძლება ვთქვათ, რომ წინარე გამოცდილება გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. მაგ.,ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარადგენენ ანგარიშებს და მათი ანალიზის საფუძველზე გეგმავენ სამომავლო აქტივობებს.

ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის მეთოდოლოგია
- სასკოლო-სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმი
- ინკლუზიური განათლების პროგრამა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- შეფასების რუბრიკები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ისგ ჯგუფის ოქმი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მრავალმხრივი ფორმით უჭერს მხარს მოსწავლის შემოქმედებით აქტივობებში ჩაბმას, სტიმულირებას ახდენს მათი მხირდან სხვადასხვა კონკურსებში, სოციალურ და საგანმანათლებლო პროექტებში ჩართულობისას, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე რეგიონულ თუ რესპუბლიკურ დონეზე. მასწავლებლებმა შეხვედრის დროს ისაუბრეს მოსწავლეების არაფორმალურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აქტივობებში აქტიურად მონაწილეობის შესახებ სწავლების სამივე საფეხურზე, დაასახელეს წარმატებული მონაწილეობის შემთხვევები და მოპოვებული საჩუქრების შესახებ (მაგ; ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსში მოპოვებული პრიზის შესახებ). სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში არის კათედრების მიერ განხორციელებული სხვადასხვა შემოქმედებითი აქტივობის ამსახველი მასალა (მაგ; საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ განხორციელდა პროექტი ,,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი“ (სამინისტროს მიერ გამოცხადებული კვირეულის ფარგლებში), პროექტი ,,ადამიანის უფლებების დაცვა ჩვენი პრიორიტეტია“, პროექტი ,,ბავშვთა უფლებების დაცვა“ და სხვ). დასახელებულ და სხვა არაფორმალური განათლების აქტივობებში მონაწილეობდნენ როგორც დაწყებითი, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები მათი ინტერესების, საჭიროებებისა და ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. (მაგ; 3 -ე კლასის ,,მე და საზოგადოების“ კურიკულუმში კომპლექსური დავალება - კომიქსის შექმნა ,,ექიმის ერთი სამუშაო დღე“ - ხელს უწყობს მოსწავლეს იაზროვნოს შემოქმედებითად, დაფიქრდეს და ახლებურად გაიაზროს მისთვის ნაცნობი პროფესიის- ექიმის საქმიანობა, შემდეგ კი აღნიშნული პროფესიის რთული საქმიანობა გამოსახოს ამ ასაკის მოსწავლისთვის მისაღები მსუბუქი და შემოქმედებითი ფორმით - კომიქსების საშუალებით. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას ასევე აღნიშნეს,რომ აღიარებენ მოსწავლეს აქტიურ სუბიექტად,რომელმაც თავად უნდა ააგოს ცოდნა და ამისთვის სთავაზობენ პროექტული და კომპლექსური ტიპის დავალებებს,მაგ.მართავენ სასკოლო სპექტაკლებს,მე-2 კლასში განახორციელეს პროექტი „ ფოლკლორის დღე“, „შემოდგომის ფერები“ სასკოლო პროექტის ფარგლებში „ადამიანთა უფლებების დაცვა ჩვენი პროიორიტეტია“ მოსწავლეებმა მოაწყვეს იმიტირებული სასამართლო ი.ჭავჭავაძის მოთხრობის „სახრჩობელაზედ“ ცოდნაზე დაყრდნობით.სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არჩევით საგნებს,კლასგარეშე წრეებს მუსიკაში,ხელოვნებასა და კომპიუტერულ ტექნოლოგიებში,რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

2. დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი მოაზრებულია სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების მიხედვით, რომელიც გულისხმობს ახალი ცოდნის დაშენებას ძველ ცოდნაზე. აღნიშნული საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას, სწორედ მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით იქმნება. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებული იქნა მოსწავლის გამოცდილება როგორც საგნობრივი კონტექსტების მხრივ, ასევე მისი ცხოვრებისეული რეალია. რომელთა წარდგენაც მოიაზრება, რომ მოხდება მოსწავლისთვის ნაცნობი სიტუაციების შეთავაზებით, რათა მათ შეეძლონ პარალელების გავლება სასკოლო სივრცეში ნასწავლსა და რეალურ ცხოვრებაში არსებულ სიტუაციებს შორის.რაც საბოლოოდ აისახება მათ მიერ შექმნილ კომპლექსური დავალებების პროდუქტებში. (მაგ; 5- კლასის ,,ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალება - საინფორმაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ბუკლეტის შექმნა, სადაცმოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია ქართლში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების შესახებ - აღნიშნულ დავალებაში მოსწავლე უააქტიურედება წინარე ცოდნა (,,მე და საზოგადოების“ სასწავლო კურსიდან ნასწავლი მასალა საქართველოში მცხოვრები ეროვნებების თაობაზე, სხვადასხვა ეროვნება, როგორც განსხვავებულობის ერთ-ერთი ფორმა), იხსენებს რა ადრე ნასწავლ მასალას, მოსწავლე ეტაპობრივად ამატებს ახალ ცოდნას, (მაგ; რატომ არის ეროვნული მრავალფეროვნება მნიშვნელოვანი, რატომ არის ის დამახასიათებელი საქართველოსთვის და სხვ.) რომელმაც მას უნდა მისცეს იმის საშუალება, რომ შექმნას საინფორმაციო ბუკლეტი, რითაც საბოლოოდ უკვე შეძლებს გაიაზროს მრავალფეროვნების მნიშვნელობა და გარკვეული ანალოგიები გაავლოს ცხოვრებისეულ რეალიასთან.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

3. დაწყებით საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო წლიური გეგმაზე დაყრდნობით, შეიძელბა დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეებს ეძლევათ ისეთი დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მათი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარების განვითარებას. როგორც კათედრების საქმიანობის ამსახველ დოკუმენტაციაში ჩანს და მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება არის შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების განხორციელების მხარდაჭერა და მონიტორინგი. სწავლის სწავლა ეფექტურად მიმდინარეობს მათ შორის კომპლექსური დავალებების განხორციელების დროსაც, რადგანაც მოსწავლეს უხდება საკუთარი სწავლის ორგანიზება, ამ პროცესში იგი აფიქსირებს მისთვის სასარგებლო აქტივობებს და საკუთარი სწავლის პროცესში ნერგავს მას. დავალების პრეზენტაციის ეტაპზე, მოსწავლე იაზრებს თავისი ნამუშევრის საუკეთესო და გასაუმჯობესებელ მხარეებს. (მაგ; 4 - ე კლასის ,,მე და საზოგადოების“ კურიკულუმში კომპლექსური დავალება - ბუკლეტის დამზადება ბუნებრივი რესურსების დაზოგვაზე - მატრიცის მიხედვით ორიენტირებულია მოსწავლეებში აქტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე, სადაც მოსწავლე აქტუალურ გლობალურ პრობლემას განიხილავს სხვადასხვა სასწავლო სტრატეგიების გამოყენებით, ნაცნობი ცხოვრებისეული კონტექსტების აქტიური გამოყენება ხელს უწყობს სწავლის სწავლას. მასწავლებლებმაც ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ სწავლა-სწავლებისას დიდ ყურადღებას აქცევენ არა მხოლოდ ცოდნის შეძენას,არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას და ამის გათვალისწინებით გეგმავენ განახორციელონ ინსტრუმენტები, რაც გააძლიერებს მოსწავლეებში საკუთარ შემეცნების პროცესის დაგეგმვასა და მონიტორინგის უნარს.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია

4. დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარდა, რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის სამი კატეგორიის რეალიზება.რისი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება კი არის კომპლექსური დავალებები. გასულ სასწავლო წელს ყველა საგანში შესრულდა კომპლექსური დავალებები, რაც გაგრძელდება 2023-24 სასწავლო წელსაც. (მაგ; 6 -ე კლასის ,,ჩვენი საქართველოს” კომპლექსური დავალების დროს - ფოტო კოლაჟის მეშვეობით რაჭული ოდასახლების უნიკალურობის ჩვენება, კულტურული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ღირებულებების შენარჩუნება და დაცვის მნიშვნელობა - წარმოდგენილი ჩარჩო კურიკულუმის მიხედვით მოიცავს მრავალფეროვან რესურსებს, რომელთა გაცნობა და დამუშავება ხდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე დაფუძნებული კითხვების და სასწავლო აქტივობების მეშვეობით). გარდა ამისა, სკოლაში დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის ხორციელდება საგანმანათლებლო და სოციალური პროექტები, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეებში ცოდნის სამივე კატეგორიის გამოვლენის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის განხორციელებული პროექტები მაგ.,„ ფოლკლორის დღე“, „შემოდგომის ფერები“ „ადამიანთა უფლებების დაცვა ჩვენი პროიორიტეტია“„ბავშვთა უფლებები და მოვალეობები“,, რაც გვაფიქრებინებს სკოლის მზაობას ,სასწავლო პროცესში უზრუნველყოს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზება და ურიერთდაკავშირება. მასწავლებლებთან ინტერვიუმაც ცხადყო,რომ ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებაში,ეხმარებიან მათ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება- ორგანიზებაში და სხვადასხვა (საკლასო თუ სასკოლო) აქტივობით აძლევენ თავიანთი ცოდნის ფუნქციურად გამოყენების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებით საფეხურიკულუმი
- თემატური მატრიცები დაწყებით საფეხურზე;
- სკოლაში განხორციელებული არაფორმალური განათლების ამსახველი მასალა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე კათედრებს წარმოდგენილი აქვთ საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების გამოყენებას სასწავლო პროცესში. კურიკულუმების მიხედვით სასწავლო პროცესი მიემართება საგნობრივ ცნებებს, ქვეცნებებს, თემის და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს, საკვანძო კითხვებიკი ეხმარება მოსწავლეს დავალების პროცესში სწორი ორიენტირის შენარჩუნებაში. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, წლევანდელი კურიკულუმის შექმნაში მასწავლებლებმა მაქსიმალურად გამოიყენეს მათთვის ჩატარებული ქოუჩინგის გამოცდილება და სასწავლო თემები ააგეს თითოეული საგნის სამიზნე ცნებების გათვალისწინებით. კათედრებთან შეხვედრის დროს მასწავლებლებს რჩევის სახით მიეცათ მინიშნება, რომ ,,მე და საზოგადოების“ და ,,ჩვენი საქართველოს“ ზოგიერთ თემაში სრულად არ ჩანდა სამიზნე ცნებების რაოდენობა, ასევე, დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კათედრას მიეცა რჩევა, მეექვსე კლასში გამიჯნონ თემები მაგალითად, რიცხვების თემატურ ბლოკში სამ თემად.მასწავლებლებმა გაიზიარეს ეს მინიშნებები და გამოთქვეს მზადყოფნა, რომ გამოესწორებინათ ეს გარემოება. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ კომპლექსური დავალების არჩევისას ცნებების სწორი იერარქიის მიზნით მასწავლებლები უმეტესად მართებულად განსაზღვრავენ ქვეცნებებსა და ქვესაკითხებს.მაგ., კარგად ჩანს ცნებების იერარქია 4- ე კლასის ,,მე და საზოგადოების“ კურიკულუმში მოცემულ კომპლექსურ დავალებაში - ,,მკითხველთა კლუბის“ შექმნა კლასში - კომპლექსური დავალება შექმნილია ,,ახალი სკოლის“ მოდელის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფარგლებში, სადაც შექმნილია კომპლექსური დავალების მატრიცა, რომელშიც იკვეთება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები, რაც მოსწავლეს მისცემს საშუალებას, ჩაერთოს აქტიური ფიქრის რეჟიმში, არამარტო გადმოსცეს რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს წიგნის კითხვამ, არამედ თავად დაგეგმოს რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ მან და მისმა თანატოლებმა უფრო მეტი იკითხონ. კომპლექსური დავალების განხორციელებისას სავსებით შესაძლებელია თანამშრომლობითი სწავლის ელემენტების გამოყენებაც. მასწავლებლების მიერ ხორციელდება მოსწავლეების განმავითარებელი შეფასება, საიდანაც ირკვევა, რომ შეფასება მიმართულია მოსწავლეების მიერ თითოეული საგნობრივი კონტექსტის გამოყენებით სამიზნე ცნებების გააზრებაზე.

ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია

2. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი მასალით ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს არაერთი წრე; ბუნებისმცოდნეობის, ხელოვნების, მუსიკის. სკოლა ყოველმხრივ უწყობს ხელს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას, სასწავლო პროცესში ითვალისწინებს ასაკობრივ ფსიქო - ემოციურ განწყობას. სკოლაში დანერგილია და წარმატებით ხორციელდება ღონისძიებები მაგ. „ფოლკლორის დღე“, „შემოდგომის ფერები“ , „ადამიანთა უფლებების დაცვა ჩვენი პროიორიტეტია“„ბავშვთა უფლებები და მოვალეობები“,, რაც ხელს უწყობს საგნობრივი კონტექსტების პიროვნული პრიზმიდან დანახვას და ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას. სკოლის მასწავლებლებმა საერთო ინტერვიუს დროს აღნიშნეს კონკრეტული არაერთი ღონისძიება, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობამ მნიშვნელოვნად იმოქმედა მოსწავლეების მოტივაციაზე, დაასახელეს წარმატების მაგალითები. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს მოსწავლეების სკოლისადმი მიკუთვნებულობის გაზრდას, აყალიბებს მათ მიზანდასახულობას, აჩვევს გაუმკლავდნენ სტრესულ სიტუაციებს. დასახელებულ ღონისძიებებში თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულია სხვადასხვა საგნობრივი კათედრა. დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებულ ფაქტორებს კომპლექსური დავალებების შერჩევის ეტაპზე.(მაგ; 5-ე კლასის ,,ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალება - ადიშის ოთხთავის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვის შესახებ სტატიის მომზადება - მოსწავლეს დააფიქრებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელობაზე, გაიაზრებს რა ტიპის უარყოფითი ზემოქმედება ხდება კულტურულ მემკვიდრეობაზე, რა ფორმებით შეიძლება კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, რა შესაძლებლობები შეიძლება გააჩნდეს პირადად მას და მის თანატოლებს, რაც დაეხმარება მას პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაში).

ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია

2.დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა მიმართულია მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებაზე. ზოგადად სკოლა ზრუნავს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე, რაშიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს განმავითარებელ შეფასებას. სკოლის მასწავლებლები ცდილობენ დაანახონ მოსწავლეს თავიანთი გასაუმჯობესებელი მხარეები და დაეხმარონ კონსტრუქტივისტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პრინციპებით განვითარებაში. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს და კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, კათედრებზე მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმებს : ე.წ. შედეგების მიღწევების ტაქსონომია, მოსწავლის განმავითარებელი კომენტარი, შემაჯამებელი დავალების უკუკავშირი, ზეპირი კომენტარები . კათედრებს შემუშავებული აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს სხვადასხვა აქტივობაში, შესასრულებელი დავალების სხვადასხვა ასპექტის წარმოდგენას, მოსწავლის თვითორგანიზების უნარის განვითარებას, ეს რუბრიკები შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლების სამივე საფეხურზე. კათედრების მიერ მოწოდებულ მასალებში არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია საგნობრივი კონტექსტის ფარგლებში სამიზნე ცნებების გააზრების დონეზე. მეექვსე კლასში თემაში ,,თუშეთი“ შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები). ასევე მოწოდებულია მესამე კლასში საგანი ,,მე და საზოგადოება“ კომპლექსური დავალებისთვის შექმნილი ,,ექიმის ერთი სამუშაო დღე“ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ითვალისწინებს საგნობრივი კონტექსტების ფარგლებში მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გააზრების დონეს. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შეეცდებიან შეფასება გამოიყენონ როგორც მოსწავლის ფსიქოლოგიური, სოციალური, კულტურული განვითარების ინსტრუმენტი, რომელიც დაანახებს მას ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და არა მხოლოდ როგორც ფაქტობრივი ცოდნის ინსტრუმენტი. მასწავლებლებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ სამომავლო გამოწვევა არის სასწავლო პროცესში თემის ფარგლებში შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკების სისტემატური გამოყენება, შემდგომი განვითარება და წარმატებული დანერგვა.

ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია

4. დაწყებით საფეხურზე კათედრებს წარმოდგენილი აქვთ შეფასების სხვადასხვა რუბრიკები : კომპლექსური დავალებისთვის შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მაგ., საგანში ,,მე და საზოგადოება“, განმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკა მეექვსე კლასის ,,ჩვენი საქართველოს“ თემისათვის ,,თუშეთი“, რომლებიც შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (ითვალისწინებს სამიზნე ცნებების გააზრების დონეს საგნობრივი კონტექსტის ფარგლებში), აგრეთვე შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მასწავლებლებს შექმნილი აქვთ სხვადასხვა აქტივობებზე მორგებული ზოგადი რუბრიკები - რომლებიც ნათლად აჩვენებს შეფასების პრინციპებს, მოსწავლისთვის ნათელია, ჩართულობისა და ცოდნის გადმოცემის რა შემთხვევაში რა ნიშნით შეფასდება. კათედრის მიერ მოწოდებული რუბრიკები არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. თუმცა, სამომავლოდ სასურველია დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსწავლეთა შეფასების უფრო მრავალფეროვანი მეთოდები (მაგ; მასწავლებლებმა იზრუნონ მოსწავლეთა პორტფოლიოების შექმნაზე, უფრო აქტიურად იქნას გამოყენებული მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმები).

ინდიკატორი 2.2.2.4 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5 სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სიტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ სსიპ- ქ. თბილისის N 171 საჯარო სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და ხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია, ხოლო მოსწავლის შეფასება კი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს : ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალეობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი ასევე გვეუბნება, თუ რა პროცედურებს მოიცავს მოსწავლის შეფასების ვერიფიკაცია; როგორ მოხდება შეფასების სისტემის სანდოობის, გამჭირვალეობის, სამართლიანობის და ობიექტურობის შემოწმება. სკოლა აღნიშნული დოკუმნეტით გვეუბნება, რომ ვერიფიკაცია სკოლაში განხორციელდება შერჩევითი პრინციპით და რომ ვერიფიკაციის პროცესი უპირველეს ყოვლისა იწყება ვერიფიკაციის გეგმის შედგენით, შემდეგ კი ხდება ვერიფიკატორების შერჩევა და ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი. გვეუბნება თუ რას მოიცავს ვერიფიკაციის დასკვნითი ეტაპი და როგორ მოხდება მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციიის წესის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა.

ინდიკატორი 2.2.2.5 შესაბამისობაშია

6 სკოლაში დაცული არის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წარმოდგენილი 2023-24 სასწავლო წლის გეგმა გვეუბნება, რომ მტკიცებულებები შენახული იქნება 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე;
- თემატური მატრიცები დაწყებით საფეხურზე;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაწყებით საფეხურზე;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების ფურცელი.
- სსიპ- ქ. თბილისის N 171 საჯარო სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თბილისის N171 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესში მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს,როგორც აუცილებელ პირობას პოზიტიური კომუნიკაციისა,ქმნის დირექტორი,რომელიც ახალისებს მოქმედების თავისუფლებას,სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობასა და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში.სასკოლო-სასწავლო გეგმაშიც მითითებულია,რომ „სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სასკოლო სივრცეში მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე“. ამის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეთა მიერ/მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მეორე უცხოური ენის არჩევის ფაქტი მე5 კლასში (წარმოდგენილია მეორე უცხოური ენის შერჩევის მშობელთა ოქმი). ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებისთვის შექმნილია განვითარების თანაბარი შესაძლებლობა, მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით - ინდივიდუალური მიდგომის სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას არა მხოლოდ ერთი კათედრის წევრები , არამედ სხვა კათედრების წარმომადგენლებიც .ნებისმიერი პრობლემა თუ გამოწვევა გუნდური მიდგომით იძლევა. ამას ადასტურებს ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზიარების ოქმები და რეფლექსიები, სკოლაში განხორციელებული არაფორმალური თუ ფორმალური განათლების აქტივობები,მაგ.,პროექტები- „ფოლკლორის დღე“, „შემოდგომის ფერები“, „ადამიანთა უფლებების დაცვა ჩვენი პროიორიტეტია“„ბავშვთა უფლებები და მოვალეობები“, რომლებიც გამიზნულია მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული წინსვლისთვის. სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათი, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობა არის პოზიტიური და მხარდაჭერაზე ორიენტირებული. იმას, რომ სკოლაში დაცულია მოსწავლის ყველა ფუნდამენტური უფლება, ასევე ადასტურებს სკოლის შინაგანაწესი. დაცულია მოსწავლეების არჩევანის უფლება, მაგ; მეორე უცხო ენის არჩევის, აგრეთვე არჩევითი საგნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დროს. მოსწავლეებისა და მშობლების მოთხოვნით სკოლაში ისწავლება მესამე უცხო ენა - გერმანული. სკოლა ყოველმხრივ ცდილობს მხარდაჭერა აღმოუჩინოს სსსმ და შშმ მოსწავლეებს. სკოლა მხარდაჭერას უქმნის დამწყებ მასწავლებლებს. სკოლის მასწავლებლებს შორის ჩვეული პრაქტიკაა ურთიერთდახმარება და თანამშრომლობა. გასაუბრების პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში არსებული პოზიტიური გარემო მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მოსწავლეების წარმატებებს (გამარჯვებები სხვადასხვა კონკურსში.

ინდიკატორი 2.2.3.1 შესაბამისობაშია

2. სკოლას წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მაგ, სასკოლო-სასწავლო გეგმაში უწერია, რომ სკოლის მისიაა თავისუფალი ადამიანის აღზრდა თავისუფალ გარემოში, ინტელექტუალური, მოაზროვნე, კრეატიული და ლოგიკური აზროვნების მქონე კანონმორჩილი, ჰარმონიულად განვითარებული, კონკურენტუნარიანი, ადაპტაციის უნარის მქონე, ეროვნული ინტერესების გამტარებელი, ტოლერანტი, საზოგადოებრივად აქტიური, დემოკრატიული პრინციპების მქონე მოსწავლეები მოამზადომ მომავალი გამოწვევებისათვის. სკოლას დაწყებით საფეხურზე განსაზღვრული აქვს აქტივობები და დავალებები, რომლებიც მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესს წარმოაჩენს. მაგალითად, მე-4 კლასში ჩატარებული პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი „ორი გზა“. ინტერვიუირებისას პედაგოგებმა ისაუბრეს თავიანთ გამოცდილებაზე, პრაქტიკული მაგალითების დამოწმებით აღწერეს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.სკოლას აქვს მზაობა, რომ მოსწავლეებს შეუქმნას განვითარებაზე ორიენტირებული გარემო,რასაც სკოლა აღწევს მიზანმიმართული აქტივობებით. მასწავლებლებთან შეხვედრისას გაირკვა , რომ სკოლა განსაკუთრებით ზრუნავს სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერაზე და ქმნის მათთვის ისგ-ებს. სკოლის პედაგოგებს აქვთ სწორი ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ სასწავლო პროცესის ცენტრალური ფიგურა არის მოსწავლე. მათი მხარდაჭერა მაგ; ყველა მასწავლებელი ახდენს შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, სადაც გამოკვეთს მოსწავლის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებში იკვეთება მოსწავლეთა საჭიროებები, გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით ხორციელდება პროექტები, რომლებიც ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. აღწერილ საქმიანობაში ჩართულია სკოლი ყველა კათედრის მასწავლებლები, რომლებიც დამატებით ახორციელებენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და უკუკავშირების მიცემას.

ინდიკატორი 2.2.3.2 შესაბამისობაშია

3. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო თემის წევრებს შორის თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაციის შესაძლებლობა რაც გამოიხატება რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობის განხორციელებით. მაგ; სკოლის მასწავლებლების თანამშრომლობის გაზრდის მიზნით კათედრებს შედგენილი აქვთ ურთიერთდასწრების განრიგი. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, გეგმავენ საერთო აქტივობებს. (მაგ; არაფორმალური განათლების აქტივობებს). როგორც მასწავლებლებთან საუბრისას გაირკვა, სკოლაში სამასწავლებლოს გარდა კიდევ არის სივრცე, სადაც მასწავლებლებს / მასწავლებელთა ჯგუფს შეუძლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გამართონ შეხვედრა მათთვის საინტერესო საკითხებზე, ეს ყოველივე ცალსახად იკითხება სკოლის შინაგანაწესში, კათედრის სხდომის თუ სამუშაო შეხვედრის ოქმებში. რაც გვაჩვენებს, რომ ურთიერთდასწრების შემდეგ მასწავლებლები აანალიზებენ შედეგებს, ზრუნავენ ერთმანეთის პროფესიულ წინსვლაზე. სკოლაში მოქმედებს „ კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. მკაფიოა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

ინდიკატორი 2.2.3.3 შესაბამისობაშია

4 ყველა კათედრის მასწავლებლები იზიარებენ და საკუთარი საქმიანობით უზრუნველყოფენ სკოლისა და კლასის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას. სკოლაში პოზიტიური კლიმატის არსებობის დამადასტურებელი ფაქტორებია მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის არსებული პოზიტიური ურთიერთობა, სკოლის თანამშრომლებს შორის თანამშრომლობის კულტურა. პოზიტიური კლიმატის შექმნას ხელს უწყობს როგორც ოფიციალური, ასევე არაფორმალური განათლების აქტივობები, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართულები ყველა კათედრა. როგორც მასწავლებლები შეხვედრის დროს აღნიშნავდნენ, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თავს გრძნობს უსაფრთხო და კეთილგანწყობილ გარემოში. კლასის დამრიგებლები ცდილობენ საკლასო ოთახების ორიგინალურ გაფორმებაზე, ხოლო საგნის მასწავლებლები სასწავლო პროცესის რესურსებით გამრავალფეროვნებაზე.

ინდიკატორი 2.2.3.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრების სამოქმედო გეგმები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- არაფორმალური განათლების ამსახველი დოკუმენტაცია;
- საგნობრივი კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- საპროექტო და საკლუბო მუშაობის ანგარიშები;
- მეორე უცხოური ენის შერჩევის მშობელთა ოქმი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი., სადაც ჩამოთვლილია ის მექანიზმები, თუ როგორ მოახერხებენ მონიტორინგსა და შეფასებას. კათედრებზე დაგეგმილია დიაგნოსტიკური შეფასებების განხორციელება, შემაჯამებლისა და დიაგნოსტიკური წერების ანალიზები. მასწავლებლები თანამშრომლობენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ერთმანეთთან შემუშავებული კურიკულუმებისა და ჩატარებული აქტივობების ეფექტიანობის შეფასებაზე. მასწავლებლებთან გამოკითხვის დროს გამოიკვეთა, რომ ხდება გაკვეთლებზე ურთიერთდასწრების პროცესში გამოვლენილი ხარვეზებისა და ხელისშემშლელი ფაქტორების გაანალიზება და შეფასება. მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გაზიარებული იქნება კათედრების, შემდეგ კი - სკოლის, მშობლისა და მოსწავლის დონეზე. წარმოდგენილი მეთოდოლოგიით სკოლა აცხადებს მზაობას, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

2. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტყველებს რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. საგნის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. პედაგოგთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას, აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ კოლეგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, აქვთ ურთიერთდასწრების-„კრიტკული მეგობრის“ პრაქტიკაც.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკაყოფილებულია

3.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში იკვეთება სკოლის მზაობა, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განხორციელდეს სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის, გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად და სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის. პირველადი ავტორიზაციის პირობებში ინდიკატორი **ვერ ფასდება**

სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებს სკოლა მონიტორინგის და შეფასების პროცესში, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს, ვინ/რომელი სტრუქტურული ერთეულები/ჯგუფები განახორციელებენ შეფასებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში ამ დროისთვის დამკვიდრებულია სასწავლო პროცესის შეფასების აპრობირებული მეთოდები. კერძოდ, სკოლაში შექმნილია ხარისხის მხარდაჭერის ჯგუფი, მოწოდებულ მასალებში არის ჯგუფის მიერ გასულ სასწავლო წელს განხორციელებული გაკვეთილებზე დასწრების განრიგი და გაწეული საქმიანობის ანალიზი, დოკუმენტებიდან ჩანს რომ ყურადღება ექცევა რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას. მაგ; შემაჯამებლების ფორმებსა და მათ ანალიზს, კომპლექსური დავალებების, როგორც სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებას. (ხარისხის განვითარების ჯგუფის სხდომის ოქმი N2 29.05.2023 წ) კათედრების ფარგლებში ფუნქციონირებს ,,კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რაც დასტურდება მოწოდებული ოქმების და გაწეული საქმიანობის ამსახველი მასალით (მაგ; საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი N4 და სამოქალაქო განათლების და გეოგრაფიის მასწავლებლების მიერ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების ამსახველი მასალა). სასწავლო პროცესის შეფასება გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვითაც. მასწავლებლები აღნიშნავენ რომ სასწავლო პროცესის შეფასების აპრობირებული მეთოდებია მასწავლებლების თვითშეფასება, დაგეგმილი საქმიანობის SWOT ანალიზი და სხვ, რაც აღრმავებს თანამშრომლობის ხარისხს, დინამიურს ხდის სასწავლო პროცესს, იძლევა კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც თავადაც შეიძლება განვიხილოთ, როგორც სასწავლო პროცესის შეფასების მნიშვნელოვანი წყარო. გაგრძელდება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის მრავალმხრივი მონიტორინგი.

ინდიკატორი 2.3.2.1 შესაბამისობაშია

2. მასწავლებლებთან შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ პირველ ეტაპზე სასწავლო პროცესის დაკვირვების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იქნება შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სკოლას შემუშავებული აქვს ის მთავარი აქცენტები, რაზეც ყურადღება გამახვილდება. მოწოდებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ აქცენტები სწორად არის დასმული და მიემართება მოსწავლის მხრიდან სწავლის პროცესში საკუთარი საქმიანობის მონიტორინგის უკეთ წარმართვაზე, რაც გულისხმობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინფორმაციის მოძიებას, გაანალიზებას, საპრეზენტაციოდ მომზადებას. მოსწავლის მიერ სწორად წარმართული საქმიანობა განსაზღვრავს მის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, საკითხის მრავალფეროვნად გაშუქებას და ა.შ. სასწავლო პროცესის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონტექსტად მოიაზრება არაფორმალური განათლება, სკოლაში ყველა საფეხურზე ხორციელდება სასწავლო საგანმანათლებლო პროექტები სხვადასხვა საგნობრივი, სახელოვნებო და სპორტული მიმართულებით. ამასთანავე სკოლას მოაზრებული აქვს რომ დამკვიდრდეს მოსწავლის და მასწავლებლის პორტფოლიოს წარმოების პრაქტიკა, რომლებიც ასევე გახდება სასწავლო პროცესის როგორც ამსახველი, ასევე შეფასებისთვის გამიზნული ინსტრუმენტი. რჩევის სახით სამომავლოდ სასურველია კიდევ უფრო გაიზარდოს კონტექსტების მიმართულებები (მაგ; მშობლების როლის გაძლიერება), ასევე სასურველია შემუშავდეს უფრო დაკონკრეტებული მოქმედებების პაკეტი, სადაც მითითებული იქნება სასწავლო პროცესის შეფასების პროცედურები, მათ შორის, მრავალი კონტექსტის გათვალისწინების კომპონენტი (მაგ; მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაფასებლად გათვალისწინებული იქნება, შესრულებული საშინაო დავალებები, მოსწავლეთა ჩართულობა არაფორმალურ განათლებაში, კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობა). ეს შეიძლება დაემატოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტსაც, ან გამოიცეს ცალკე დოკუმენტად (მაგ; მცირე ზომის ბუკლეტი სასწავლო პროცესის შეფასების მეთოდოლოგიაზე).

ინდიკატორი 2.3.2.2 შესაბამისობაშია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს თემატური ერთეულის შესაბამისი მატრიცის შეფასების რუბრიკა, რაც დაგეგმილი თემატური ერთეულის კვლევას გულისხმობს და სწავლა-სწავლების პროცესში სწავლების ხარისხის ამაღლებას უწყობს ხელს. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს კათედრის ოქმი N1, საიდანაც ჩანს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის აქტივობები. ასევე, წარმოდგენილია კათედრის ოქმი N4, საიდანაც ჩანს განხორციელებული პროექტული მუშაობის შეჯამება სკოლაში, კერძოდ, სკოლას განხორციელებული აქვს პროექტები: „ჩვენი ენა ქართული“, „შემოდგომის ფერები“, „დედამიწა ჩვენი სახლია“ და სხვა, რაც გვაფიქრებინებს, რომ სკოლა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციას აგროვებს არა მარტო ფორმალური, არამედ არაფორმალური განათლების გზითაც. სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება. შფასების ინსტრუმენტის გამოყენებით, რაც გულისხმობს დიაგნოსტიკური წერების ჩატარებას და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე საგნობრივ კურიკულუმებში ცვლილებების შეტანას. სკოლის ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებელად აუცილებელია შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური, კონტექსტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მქონე დავალებების გამოყენება. ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის მასწავლებლები გეგმავენ, შეიმუშავონ მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.3 შესაბამისობაშია

4. სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, დაგენერირებული დიაგნოსტიკური ტესტი. ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას, რაც გულისხმობს როგორც საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტებს, ასევე შემაჯამებელ შეფასებას. კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. სკოლას ყველა კლასისთვის აქვს წარმოდგენილი კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. განხორციელებული პროექტები გვაფიქრებინებს, რომ სკოლა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციას აგროვებს არა მარტო ფორმალური, არამედ არაფორმალური განათლების გზითაც. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ინტერვიურების პროცესში სკოლის მასწავლებლებმა აღწერეს სკოლის მიერ შერჩეული პრიორიტეტული თემის „ადამიანის უფლებების დაცვა ჩვენი პრიორიტეტია“ პროექტის განხორციელების აქტივობები, დეტალურად ისაუბრეს ამ პროექტის განხორციელების პროცესში სხვადასხვა კათედრების ინტეგრირებაზე, მოსწავლეთა შეფასებაზე და სხვა. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი ოქმის ფორმა
- ,,კრიტიკული მეგობრის" ურთიერთდასწრების ამსახველი მასალა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგთა ინტერვიურების პროცესიდან და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის გათვალიწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გადაიხედება/მოხდება მისი გადასინჯვა საგნობრივ კათედრებზე. საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ მანამდე შექმნილი კურიკულუმს და შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას, რომლის საფუძველზეც მოხდება გადამუშავება. ყოველივე ამაზე დაყრდნობით შეეცდებიან შექმნან კურიკულუმის საუკეთესო მოდელები.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, ასევე პედაგოგოებთან საუბრისას მკაფიოდ იკვეთება, რომ საგნობრივ კათედრაზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები, რომელიც პასუხობს მესამე თაობის ესგ-ის მოთხოვნებს. საგნობრივ მეთოდოლოგიურ ორიენტირებს. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და საგნობრივი მიმართულების კათედრის წევრი პედაგოგოები მუდმივად განახორციელებენ კურიკულუმების გადახედვის პროცესს. გაზირების არეალი ჯერ კათედრების დონეზე მოხდება, შემდეგ სკოლის დონეზე იგეგმება. საგნობრივი მიმართულების კათედრები გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და უზრუნველყოფენ მონიტორინგისა და შეფასების შედეგების მონაცემების ასახვას.

ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება;
- კათედრების სხდომის ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე
საბაზო საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპ
ავტორიზაციის

---

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. განსაზღვრავს: კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს; პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი; კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა (შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება , გადასინჯვა და რევიზია); პროცესში ჩართულ მხარეებს და საზოგადოების ინფორმირების საშუალებებს. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ერთ-ერთი პრინციპი, რომელსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარება, მუდმივმოქმედი პროცესია, რომელშიც მონაწილეობენ მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები, მასწავლებლები და სკოლის დირექცია. აღწერილია თითოეული ჩართული მხარის ფუნქცია-მოვალეობები. სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, სკოლისთვის მნიშვნელოვანია მათი ინფორმირება და უკუკავშირი. რისთვისაც სკოლა გამოიყენებს სხვადასხვა საშუალებებს. კერძოდ, სკოლის ვებგვერდს, ელექტრონული ჟურნალს, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალური მედიას, საჯარო ღონისძიებებს - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ამ ეტაზე კურიკულუმის შემუშავება განხორციელდა საგნობრივ კათედრებზე, რომლებიც შემდეგ გაერთიანდა სხვა კათედრების მიერ შექმნილ კურიკულუმებთან და შეიქმნება სასკოლო კურიკულუმი. საბაზო საფეხურის კათედრის მასწავლებლებმა შეხვედრის დროს აღნიშნეს, კურიკულუმების შედგენისას მათ ითანამშრომლეს სკოლის სხვა საფეხურის კათედრებთან, გაითვალისწინეს მათი გამოცდილება და საბაზო საფეხურის მშობლების და მოსწავლეების ინტერესები. დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია

2 წარმოდგენილი მასალებისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით კურიკულუმში ასახულია მოსწავლეთა, მშობელთა, კათედრების/მასწავლებლების და დირექციის ინტერესები. მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების ამსახველად შეიძლება მივიჩნოთ ინტერვიუირებისას საბაზო საფეხურის კათედრის წევრების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომ ისინი მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გამორკვევის შედეგად ახდენენ სასკოლო სასწავლო გეგმის და ფორმალური თუ არაფორმალური განათლების ღონისძიებების დაგეგმვას. პირველ ეტაპზე საბაზო საფეხურის კურიკულუმების შედგენის დროს სსიპ ქ. თბილისის N

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

171 საჯარო სკოლამ გაითვალისწინა სკოლის გასული წლების გამოცდილება და შეიმუშავა 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სკოლის დირექცია აპირებს შეიმუშაოს პროექტი, რის ფარგლებშიც დაწყებითი საფეხურის მშობლები ყოველ პარასკევს, მოირგებენ მასწავლებლის როლს და მოსწავლეებს, კლასის საჭიროებიდან გამომდინარე, გაესაუბრებიან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრიორიტეტული თემების ირგვლივ. ასევე, ინტერვიუირებისას დირექტორმა აღნიშნა, რომ აპირებს სკოლის ეზოში გამოყოს სივრცეები, რომელთაცპირობითად უწოდებს თითოეული კლასის სახელს (რათა მოსწავლეებს გაუჩნდეთ მიკუთვნებულობის განცდა), ხოლო მოსწაავლეები/კლასები თავისისვე გემოვნებით გააფორმებენ აღნიშნულ ტერიტორიებს (დარგავენ მცენარეებს და იზრუნავენ მათზე). მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესების დასადგენად სკოლას აქვს მზაობა ჩაატაროს გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზიზე დაყრდნობით მოახდინონ ცვლილებების შეტანა სასწავლო გეგმაში.

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის,სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო საგნობრივი კათედრები და დირექცია. როგორც აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე სკოლა პირველადი ავტორიაციის რეჟიმიშია. კურიკულუმები უმეტესწილად შეიქმნა სხვადსხვა კათედრის ურთიერთ თანამშრომლობით, აგრეთვე სამინისტროს მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო მასალებით, შესაბამისად სკოლა მზადაა სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ სასკოლო საზოგადოებასთან (მაგ; მშობლებთან და მოსწავლეებთა) აქტიურ თანამშრომლობით შეიტანოს გარკვეული ცვლილებები, ზოგადად, აქტიური ინტერაქცია ჰქონდეთ სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია

4. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, საჭიროა მათი ინფორმირება და უკუკავშირი, რისთვისაც სკოლა გამოიყენებს ისეთ საკომუნიკაციო არხებს როგორიცაა: ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია, ბეჭვდით მასალები. ხოლო, იმისათვის რომ სასკოლო კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს გაუჩნდეთმიკუთვნებულობის განცდა, სკოლა გამოიყენებს საჯარო ღონისძებებს-ინტერაქტიულ ორმხრივ კომუნიკაციას აუდიტორიასთან/სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან თუ დირექციასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო სკოლის ყველა მასწავლებელი და დირექცია, შესაბამისად მათ მიერ ის უკვე გაზიარებულია.

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების/დოკუმენტაციის საშუალებით და ასევე ინტერვიუსას გაცემული პასუხებით , სწავლა-სწავლების პროცესზე პასუხისმგებელნი პირნი ჰოლისტურად გვიქმნინან წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე, რომელშიც გათვალისწინებულია თიტოეული მოსწავლის ასაკი, ინტერესები და საჭიროებები. იყენებენ რა პროექტული შინაარსის დავალებებს მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავდ მოახდინონ სწავლის კონსტრუირება, დავალებებს,მაგ.მართავენ სასკოლო სპექტაკლებს,მე-9 კლასში სასკოლო პროექტის ფარგლებში „ადამიანთა უფლებების დაცვა ჩვენი პრიორიტეტია“ , მოსწავლეებმა მოაწყვეს იმიტირებული სასამართლო ი.ჭავჭავაძის მოთხრობის „სარჩობელაზედ“ ცოდნაზე დაყრდნობით, მონაწილეობენ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის პროექტში „სარეკლამო აბრების შეფასება და დახვეწა“,აგროვებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინფორმაციას ცოცხალ მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებზე და და განათავსებენ მედასივრცეში „ვიმეტყველოთ და ვწეროთ სწორად“.სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არჩევით საგნებს,კლასგარეშე წრეებს მუსიკაში,ხელოვნებასა და კომპიუტერულ ტექნოლოგიებში,რითაც ხელს უწყობს მოსწავლეებში აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას.

ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია.

2. შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სასწავლო პროცესში გააზრებული და გათვალისწინებულია გლობალური ფუნქციური უნარები,მაკრო ცნებები,სამიზნე ცნებები და შედეგები, რომლებიც მუშავდება კომპლექსური დავალებებითა და პროექტებით.სკოლას სასკოლო-სასწავლო გეგმაში უწერია,რომ „ადამიანის მთელი არსებობა წარმოადგენს სწავლების მუდმივ პროცესს, რომლის შედეგადაც მიიღწევა ცნებების, ცოდნა-უნარების ათვისება და ღირებულებათა სისტემის ფორმირება. ამისათვის უმნიშვნელოვანესი ფორმალური განათლებისა და არაფორმალური სწავლების ინტეგრაცია, რადგანაც ორივე წარმოადგენს ცხოვრების მანძილზე სწავლების შემადგენელ ნაწილს.“ეს დასტურდება, მაგ.სასკოლო სპექტაკლებით,მე-9 კლასში სასკოლო პროექტის ფარგლებში „ადამიანთა უფლებების დაცვა ჩვენი პრიორიტეტია“, მოწყობილი იმიტირებული სასამართლოთი ი.ჭავჭავაძის მოთხრობის „სარჩობელაზედ“ ცოდნაზე დაყრდნობით, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის პროექტში „სარეკლამო აბრების შეფასება და დახვეწა“ მონაწილეობით, ცოცხალ მეტყველებაში დაშვებული შეცდომების შეგროვებით და მედასივრცეში განთავსებით „ვიმეტყველოთ და ვწეროთ სწორად“,სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მოსწავლეთა აქტივობების ამსახველი მასალებით. სკოლა იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში,კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია კომპლექსური დავალებები, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მითითებულია საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ ისინი მზად არიან კიდევ უფრო ინტენსიურად დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები,მოსწავლეებზე ორიენტირებული ფორმალური თუ არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები საბაზო საფეხურზე .

ინდიკატორი 2.1.2.2.შესაბამისობაშია

3. სკოლას სასკოლო- სასწავლო გეგმაში უწერია,რომ „ყველა მოსწავლე არის უნიკალური და განსხვავებული თავისი ინდივიდუალური , ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით და პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას სწავლა-სწავლების დროს“. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებისა და შეუძლიათ ეფექტური ინტერვენციების განხორციელება, მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია სხვადასხვა სირთულის დავალებები და აქტივობები. მოწოდებულ დოკუმენტაციაში მაგ.ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში,ისგ ჯგუფის ოქმში,სასკოლო-სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გეგმაში იკითხება სკოლის ვალდებულება შინ სწავლების რეჟიმისა თუ სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის.

ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია.

4. საბაზოსაფეხურზე სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება დასტურდება მოწოდებული რუბრიკებით, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის საფეხურის ფარგლებში ამ ტიპის შეფასების გამოყენებაზე. სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე მოცემულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა. როგორც განმავითარებელი ,ასევე განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება როგორც შუალედურ ,ასევე გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ მოწოდებული რუბრიკების გარდა ,სასწავლო წლის დასრულებამდე,საჭიროებისამებრ დამატებით შექმნიან მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით განმავითარებელი შეფასების და სტანდარტში მოცემული შედეგების ინდიკატორების გამოყენებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს.

ინდიკატორი 2.1.2.4.შესაბამისობაშია

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით: კათედრის,დამრიგებლების,მასწავლებლის თვითშეფასების, შეიძლება ვთქვათ,რომ წინარე გამოცდილება გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. მაგ.,ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარადგენენ ანგარიშებს და მათი ანალიზის საფუძველზე გეგმავენ სამომავლო აქტივობებს.

ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის მეთოდოლოგია
- სასკოლო-სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ინკლუზიური განათლების პროგრამა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- შეფასების რუბრიკები;
- ისგ ჯგუფის ოქმი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლა მრავალმხრივი ფორმით უჭერს მხარს მოსწავლის შემოქმედებით აქტივობებში ჩაბმას, სტიმულირებას ახდენს მათი მხირდან სხვადასხვა კონკურსებში, სოციალურ და საგანმანათლებლო პროექტებში ჩართულობისას, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე რეგიონულ თუ რესპუბლიკურ დონეზე. მასწავლებლებმა შეხვედრის დროს ისაუბრეს მოსწავლეების არაფორმალურ აქტივობებში აქტიურად მონაწილეობის შესახებ სწავლების სამივე საფეხურზე, დაასახელეს წარმატებული მონაწილეობის შემთხვევები და მოპოვებული საჩუქრების შესახებ (მაგ; ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსში მოპოვებული პრიზის შესახებ). სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში არის კათედრების მიერ განხორციელებული სხვადასხვა შემოქმედებითი აქტივობის ამსახველი მასალა(მაგ; 8 -ე კლასის სამოქალაქო განათლების კურიკულუმში კომპლექსური დავალება - მოხალისეობრივი აქტივობის ამსახველი დღიურის წარმოება - მიმართვის წერილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ინფასტრუქტურის განყოფილებას - -ხელს უწყობს მოსწავლეს იაზროვნოს შემოქმედებითად დაფიქრდეს თავის შესაძლებლობებსა და ინტერესებზე, ჩამოიყალიბოს მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება თავისი აქტიურობით მიაღწიოს შედეგს სხვადასხვა სტრუქტურებთან კომუნიკაციის გზით.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

2. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი მოაზრებულია სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების მიხედვით, რომელიც გულისხმობს ახალი ცოდნის დაშენებას ძველ ცოდნაზე. აღნიშნული საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას, სწორედ მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით იქმნება. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებული იქნა მოსწავლის გამოცდილება როგორც საგნობრივი კონტექსტების მხრივ, ასევე მისი ცხოვრებისეული რეალია. რომელთა წარდგენაც მოიაზრება, რომ მოხდება მოსწავლისთვის ნაცნობი სიტუაციების შეთავაზებით, რათა მათ შეეძლონ პარალელების გავლება სასკოლო სივრცეში ნასწავლსა და რეალურ ცხოვრებაში არსებულ სიტუაციებს შორის.რაც საბოლოოდ აისახება მათ მიერ შექმნილ კომპლექსური დავალებების პროდუქტებში. (მაგ; 9- კლასის ისტორიის კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალება-არგუმენტირებული ესეს დაწერა ერეკლე II ის მოღვაწეობის შესახებ, როგორც მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე-მოსწავლე ააქტიურებს წინარე ცოდნას (როგორ და რა პირობებში დაიშალა საქართველოს ერთიანი სამეფო, როგორ განვითარდა საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის ურთიერთობები, გაიაზრებს გლობალური მოვლენების ფონზე საქართველოში მიმდინარე ისტორიულ პროცესებს) გაიაზრებს გლობალური მოვლენების გავლენას საქართველოს სახელმწიფოს ისტორიულ განვითარებაზე), იხსენებს რა ადრე ნასწავლ მასალას, მოსწავლე ეტაპობრივად ამატებს ახალ ცოდნას, რომელმაც მას უნდა მისცეს იმის საშუალება, რომ შექმნას არგუმენტირებული ესე, რომელშიც გაიაზრებს გვიანი შუასაუკუნეების მსოფლიო პოლიტიკურ მოვლენებს, დამატებით მოსწავლე გარკვეულ ანალოგიებს დაამყარებს თანამედროვე გლობალურ მოვლენებთანაც.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. საბაზო საფეხურის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო წლიური გეგმაზე დაყრდნობით, შეიძელბა დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეებს ეძლევათ ისეთი დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მათი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარების განვითარებას. როგორც კათედრების საქმიანობის ამსახველ დოკუმენტაციაში ჩანს და მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება არის შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების განხორციელების მხარდაჭერა და მონიტორინგი. სწავლის სწავლა ეფექტურად მიმდინარეობს მათ შორის კომპლექსური დავალებების განხორციელების დროსაც, რადგანაც მოსწავლეს უხდება საკუთარი სწავლის ორგანიზება, ამ პროცესში იგი აფიქსირებს მისთვის სასარგებლო აქტივობებს და საკუთარი სწავლის პროცესში ნერგავს მას. დავალების პრეზენტაციის ეტაპზე, მოსწავლე იაზრებს თავისი ნამუშევრის საუკეთესო და გასაუმჯობესებელ მხარეებს.(მაგ; 8- კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში კომპლექსური დავალება - საგაზეთო სტატიის მომზადება ამაზონის ტყეების აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებით - მატრიცის მიხედვით ორიენტირებულია მოსწავლეებში აქტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე, სადაც მოსწავლე აქტუალურ გლობალურ პრობლემას განიხილავს სხვადასხვა სასწავლო სტრატეგიების გამოყენებით, ცხოვრებისეული კონტექსტის აქტიური გამოყენება ხელს შეუწყობს სწავლის სწავლას . მომავალი სასწავლო წლიდან კათედრებზე შემუშავებული იქნება ინსტრუმენტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში საკუთარ შემეცნების პროცესის დაგეგმვასა და მონიტორინგს. იგივე მიდგომით მუშაობს სხვა საგნობრივი კათედრებიც. მაგ., -ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში საბაზო საფეხურზე შუალედურ მიზნად განსაზღვრული აქვთ კომპლექსური დავალებები,რომელთა განხორციელების პროცესში აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტურ უნარებზე.მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას ისაუბრეს განხორციელებული პროექტების,მაგ., .მაგ.სასკოლო სპექტაკლების შესახებ ,მე-9 კლასში სასკოლო პროექტის ფარგლებში „ადამიანთა უფლებების დაცვა ჩვენი პრიორიტეტია“ ,მოწყობილი იმიტირებულ სასამართლოზე ი.ჭავჭავაძის მოთხრობის „სარჩობელაზედ“ ცოდნაზე დაყრდნობით, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის პროექტში „სარეკლამო აბრების შეფასება და დახვეწა“ მონაწილეობაზე, ცოცხალ მეტყველებაში დაშვებული შეცდომების შეგროვებასა და მედასივრცეშიგანთავსებაზე „ვიმეტყველოთ და ვწეროთ სწორად“,რაც დასტურდება სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მოსწავლეთა აქტივობების ამსახველი მასალებით.სკოლას მოწოდებული აქვს აქტივობების დამადასტურებელი მასალები, განმავითარებელი შეფასებები,რომლებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილებულია სწავლის სწავლაზე.მასწავლებლებმაც ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ სწავლა-სწავლებისას დიდ ყურადღებას აქცევენ არა მხოლოდ ცოდნის შეძენას,არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას და ამის გათვალისწინებით გეგმავენ და ახორციელებენ კურიკულუმს.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია

4. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარდა, რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის სამი კატეგორიის რეალიზება.რისი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება კი არის კომპლექსური დავალებები. გასულ სასწავლო წელს ყველა საგანში შესრულდა კომპლექსური დავალებები, რაც გაგრძელდება 2023-24 სასწავლო(მაგ; 9-ე კლასის სამოქალაქო განათლების კომპლექსური დავალების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დროს - საგაზეთო სტატია სახელწოდებით ,,ხელისუფლების დანაწილება და ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხი“ - წარმოდგენილი მატრიცის მიხედვით მოიცავს მრავალფეროვან რესურსებს, რომელთა გაცნობა და დამუშავება ხდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე დაფუძნებული კითხვების და სასწავლო აქტივობების მეშვეობით). გარდა ამისა, სკოლაში საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის ხორციელდება საგანმანათლებლო და სოციალური პროექტები, მაგ..სასკოლო სპექტაკლებს,მე-9 კლასში სასკოლო პროექტის ფარგლებში „ადამიანთა უფლებების დაცვა ჩვენი პრიორიტეტია“ ,აწყობენ იმიტირებულ სასამართლოს ი.ჭავჭავაძის მოთხრობის „სარჩობელაზედ“ ცოდნაზე დაყრდნობით, მონაწილეობენ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის პროექტში „სარეკლამო აბრების შეფასება და დახვეწა“ , ცოცხალ მეტყველებაში დაშვებული შეცდომებს აგროვებენ და განათავსებენ მედასივრცეში „ვიმეტყველოთ და ვწეროთ სწორად“ რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეებში ცოდნის სამივე კატეგორიის გამოვლენის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

5. საბაზო საფეხურზე მასწავლებლებს მყარად აქვთ გაცნობიერებული რომ ცოდნის შეძენა არ ხდება ერთი საგნის ფარგლებში, შესაბამისად სასწავლო პროცესში მოაზრებულია იმგვარი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეს დაამყარებინებს საგნობრივ კავშირებს. ამ მიზნით კათედრა მოიაზრებს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, სასკოლო პროექტებს, არაფორმალური განათლების აქტივობებს. (მაგ; პროექტი ,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი“ ისტორიის, ხელოვნების, სამოქალაქო განათლების ელემენტებს). მასწავლებლები ცოდნის ორგანიზების და ურთიერთადაკავშირების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად მიაჩნიათ კომპლექსური დავალებები. (მაგ; 8-კლასის ისტორიის კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალების - დიდგორის ბრძოლის მონაწილე ფრანგი რაინდის დღიურის შექმნა-მოსწავლე შექმნის შემოქმედებით პროდუქტს, სადაც გამოიყენებს როგორც წინარე შეძენილ ცოდნას (მაგ; ჯვაროსნული ომების მიზეზები და შედეგები), ასევე გაიაქტიურებს გაკვეთილებზე შეძენილ ცოდნას და 11-ე-13-ე საუკუნეებში მიმდინარე მოვლენებს შეხედონ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხითაც, ამასთანავე საკითხი იძლევა თანამედროვე მოვლენებთან დაკავშირების და ცოდნის ტრანსფერის კარგ შესაძლებლობებს. საგნობრივი კავშირების დამყარების პროცესში ყურადღება გამახვილდება მოსწავლეთა არსებულ ცოდნაზე, გათვალისწინებული იქნება მათი ინტერესები. ამასთანავე მოსწავლეები ჩართულები არიან არაფორმალური განათლების აქტივობებში (პროექტები, კლუბები ...), რითიც ხელი შეეწყობა მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საბაზო საფეხურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- თემატური მატრიცები
- სკოლაში განხორციელებული არაფორმალური განათლების ამსახველი მასალა.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე კათედრებს წარმოდგენილი აქვთ საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების გამოყენებას სასწავლო პროცესში. კურიკულუმების მიხედვით სასწავლო პროცესი მიემართება საგნობრივ ცნებებს, ქვეცნებებს, თემის და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს, საკვანძო კითხვებიკი ეხმარება მოსწავლეს დავალების პროცესში სწორი ორიენტირის შენარჩუნებაში. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, წლევანდელი კურიკულუმის შექმნაში მასწავლებლებმა მაქსიმალურად გამოიყენეს მათთვის ჩატარებული ქოუჩინგის გამოცდილება და სასწავლო თემები ააგეს თითოეული საგნის სამიზნე ცნებების გათვალისწინებით. კომპლექსური დავალების არჩევისას ცნებების სწორი იერარქიის მიზნით მასწავლებლები უმეტესად მართებულად განსაზღვრავენ ქვეცნებებსა და ქვესაკითხებს.მაგ., კარგად ჩანს ცნებების იერარქია 7- ე კლასის ისტორიის კურიკულუმში მოცემულ კომპლექსურ დავალებაში - სტატიის შექმნა თრიალეთის კულტურის შესახებ - კომპლექსური დავალება შექმნილია ,,ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში, სადაც შექმნილია კომპლექსური დავალების მატრიცა, რომელშიც იკვეთება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები, რაც მოსწავლეს მისცემს საშუალებას, ჩაერთოს აქტიური ფიქრის რეჟიმში, არამარტო გადმოსცეს რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს წიგნის კითხვამ, არამედ თავად დაგეგმოს რა შეიძლება გაკეთდეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

იმისათვის, რომ მან და მისმა თანატოლებმა უფრო მეტი იკითხონ. კომპლექსური დავალების განხორციელებისას სავსებით შესაძლებელია თანამშრომლობითი სწავლის ელემენტების გამოყენებაც. მასწავლებლების მიერ ხორციელდება მოსწავლეების განმავითარებელი შეფასება, საიდანაც ირკვევა, რომ შეფასება მიმართულია მოსწავლეების მიერ თითოეული საგნობრივი კონტექსტის გამოყენებით სამიზნე ცნებების გააზრებაზე.

ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია

2.სკოლა ყოველმხრივ უწყობს ხელს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას, სასწავლო პროცესში ითვალისწინებს ასაკობრივ ფსიქო - ემოციურ განწყობას. სკოლაში დანერგილია და წარმატებით ხორციელდება ღონისძიებები მაგ. „ფოლკლორის დღე“, „შემოდგომის ფერები“ , „ადამიანთა უფლებების დაცვა ჩვენი პროიორიტეტია“„ბავშვთა უფლებები და მოვალეობები“, რაც ხელს უწყობს საგნობრივი კონტექსტების პიროვნული პრიზმიდან დანახვას და ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას.

სკოლის მასწავლებლებმა საერთო ინტერვიუს დროს აღნიშნეს კონკრეტული არაერთი ღონისძიება, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობამ მნიშვნელოვნად იმოქმედა მოსწავლეების მოტივაციაზე, დაასახელეს წარმატების მაგალითები. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს მოსწავლეების სკოლისადმი მიკუთვნებულობის გაზრდას, აყალიბებს მათ მიზანდასახულობას, აჩვევს გაუმკლავდნენ სტრესულ სიტუაციებს. დასახელებულ ღონისძიებებში თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულია სხვადასხვა საგნობრივი კათედრა. საბაზო საფეხურზე მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებულ ფაქტორებს კომპლექსური დავალებების შერჩევის ეტაპზე. მაგ; (მე-7კლასის სამოქალაქო განათლების კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალება - წერილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს სპეციალურად გამოყოფილ საექსპერტო კომისიას- მოსწავლეს დააფიქრებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელობაზე, გაიაზრებს რა ტიპის უარყოფითი ზემოქმედება ხდება კულტურულ მემკვიდრეობაზე, რა ფორმებით შეიძლება კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, რა შესაძლებლობები შეიძლება გააჩნდეს პირადად მას და მის თანატოლებს, რაც დაეხმარება მას პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაში)

ინდიკატორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია

3. საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემა მიმართულია მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებაზე. ზოგადად სკოლა ზრუნავს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე, რაშიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს განმავითარებელ შეფასებას. სკოლის მასწავლებლები ცდილობენ დაანახონ მოსწავლეს თავიანთი გასაუმჯობესებელი მხარეები და დაეხმარონ კონსტრუქტივისტული პრინიციებით განვითარებაში. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს და კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, კათედრებზე მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმებს : ე.წ. შედეგების მიღწევების ტაქსონომია, მოსწავლის განმავითარებელი კომენტარი, შემაჯამებელი დავალების უკუკავშირი, ზეპირი კომენტარები . კათედრებს შემუშავებული აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს სხვადასხვა აქტივობაში, შესასრულებელი დავალების სხვადასხვა ასპექტის წარმოდგენას, მოსწავლის თვითორგანიზების უნარის განვითარებას, ეს რუბრიკები შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლების სამივე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საფეხურზე. კათედრების მიერ მოწოდებულ მასალებში არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია საგნობრივი კონტექსტის ფარგლებში სამიზნე ცნებების გააზრების დონეზე. მაგ; მე-9 კლასის სამოქალაქო განათლებაში შექმნილი კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა და მე-9 კლასის ისტორიაში წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ითვალისწინებს საგნობრივი კონტექსტების ფარგლებში მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გააზრების დონეს.მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შეეცდებიან შეფასება გამოიყენონ როგორც მოსწავლის ფსიქოლოგიური, სოციალური, კულტურული განვითარების ინსტრუმენტი, რომელიც დაანახებს მას ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და არა მხოლოდ როგორც ფაქტობრივი ცოდნის ინსტრუმენტი. მასწავლებლებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ სამომავლო გამოწვევა არის სასწავლო პროცესში თემის ფარგლებში შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკების სისტემატური გამოყენება, შემდგომი განვითარება და წარმატებული დანერგვა.

ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია

4. მეცნიერებების საბაზო საფეხურზე კათედრას წარმოდგენილი აქვს შეფასების სხვადასხვა რუბრიკები : მათ შორის, შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა მე-8 კლასის გეოგრაფიის საგანში, რომელიც დამიზნებულია საგნობრივი კონტექსტების მიხედვით საგნობრივი სტანდარტის შედეგებზე გასვლაზე, აგრეთვე სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (ითვალისწინებს სამიზნე ცნებების გააზრების დონეს საგნობრივი კონტექსტის ფარგლებში), აგრეთვე მოწოდებულია შედეგების სოლო ტაქსონომიის მიხედვით შეფასებული მოსწავლის ნამუშევარი, სხვადასხვა აქტივობებზე მორგებული ზოგადი რუბრიკები - რომლებიც ნათლად აჩვენებს შეფასების პრინციპებს, მოსწავლისთვის ნათელია, ჩართულობის, მოტივაციის და ცოდნის გადმოცემის რა შემთხვევაში რა ნიშნით შეფასდება. ამასთანავე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ მოწოდებულია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ინდიკატორების მიხედვით საგნობრივი კონტექსტების მეშვეობით სამიზნე ცნებების გააზრებაზეა ორიენტირებული. კათედრის მიერ მოწოდებული რუბრიკები არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სამომავლოდ სასურველია დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსწავლეთა შეფასების უფრო მრავალფეროვანი მეთოდები (მაგ; მასწავლებლებმა იზრუნონ მოსწავლეთა პორტფოლიოების შექმნაზე, უფრო აქტიურად იქნას გამოყენებული მოსწავლეთა თვითშეფასების აქტიური ფორმები).

ინდიკატორი 2.2.2.4 შესაბამისობაშია

5. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სიტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ სსიპ- ქ. თბილისის N 171 საჯარო სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და ხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია, ხოლო მოსწავლის შეფასება კი ეფუძნება შემდეგ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პრინციპებს : ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალეობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი ასევე გვეუბნება, თუ რა პროცედურებს მოიცავს მოსწავლის შეფასების ვერიფიკაცია; როგორ მოხდება შეფასების სისტემის სანდოობის, გამჭირვალეობის, სამართლიანობის და ობიექტურობის შემოწმება. სკოლა აღნიშნული დოკუმნეტით გვეუბნება, რომ ვერიფიკაცია სკოლაში განხორციელდება შერჩევითი პრინციპით და რომ ვერიფიკაციის პროცესი უპირველეს ყოვლისა იწყება ვერიფიკაციის გეგმის შედგენით, შემდეგ კი ხდება ვერიფიკატორების შერჩევა და ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი. გვეუბნება თუ რას მოიცავს ვერიფიკაციის დასკვნითი ეტაპი და როგორ მოხდება მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა.

ინდიკატორი 2.2.2.5 შესაბამისობაშია

6. სკოლაში დაცული არის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წარმოდგენილი 2023-24 სასწავლო წლის გეგმა გვეუბნება, რომ მტკიცებულებები შენახული იქნება 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები საბაზო საფეხურზე;
- თემატური მატრიცები საბაზო საფეხურზე;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაწყებით საფეხურზე;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების ფურცელი.
- სსიპ- ქ. თბილისის N 171 საჯარო სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.თბილისის N171 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესში მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს,როგორც აუცილებელ პირობას პოზიტიური კომუნიკაციისა,ქმნის დირექტორი,რომელიც ახალისებს მოქმედების თავისუფლებას,სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობასა და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში.სასკოლო-სასწავლო გეგმაშიც მითითებულია,რომ „სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სასკოლო სივრცეში მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე“. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მოსწავლეებისთვის შექმნილია განვითარების თანაბარი შესაძლებლობა, მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით - ინდივიდუალური მიდგომის სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას არა მხოლოდ ერთი კათედრის წევრები , არამედ სხვა კათედრების წარმომადგენლებიც .ნებისმიერი პრობლემა თუ გამოწვევა გუნდური მიდგომით იძლევა. ამას ადასტურებს ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზიარების ოქმები და რეფლექსიები, სკოლაში განხორციელებული არაფორმალური თუ ფორმალური განათლების აქტივობები,მაგ.,პროექტები მე-9 კლასში სასკოლო პროექტის ფარგლებში „ადამიანთა უფლებების დაცვა ჩვენი პრიორიტეტია“ ,აწყობენ იმიტირებულ სასამართლოს ი.ჭავჭავაძის მოთხრობის „სარჩობელაზედ“ ცოდნაზე დაყრდნობით, მონაწილეობენ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის პროექტში „სარეკლამო აბრების შეფასება და დახვეწა“ , ცოცხალ მეტყველებაში დაშვებული შეცდომებს აგროვებენ და განათავსებენ მედასივრცეში „ვიმეტყველოთ და ვწეროთ სწორად“, რომლებიც გამიზნულია მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული წინსვლისთვის. სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათი, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობა არის პოზიტიური და მხარდაჭერაზე ორიენტირებული. სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათი, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობა არის პოზიტიური და მხარდაჭერაზე ორიენტირებული. იმას, რომ სკოლაში დაცულია მოსწავლის ყველა ფუნდამენტური უფლება, ასევე ადასტურებს სკოლის შინაგანაწესი. დაცულია მოსწავლეების არჩევანის უფლება, მაგ; მეორე უცხო ენის არჩევის, აგრეთვე არჩევითი საგნების დროს. მოსწავლეებისა და მშობლების მოთხოვნით სკოლაში ისწავლება მესამე უცხო ენა - გერმანული. სკოლა ყოველმხრივ ცდილობს მხარდაჭერა აღმოუჩინოს სსსმ და შშმ მოსწავლეებს. სკოლა მხარდაჭერას უქმნის დამწყებ მასწავლებლებს. სკოლის მასწავლებლებს შორის ჩვეული პრაქტიკაა ურთიერთდახმარება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თანამშრომლობა. გასაუბრების პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში არსებული პოზიტიური გარემო მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მოსწავლეების წარმატებებს (გამარჯვებები სხვადასხვა კონკურსში.

ინდიკატორი 2.2.3.1 შესაბამისობაშია

2. სკოლას წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მაგ, სასკოლო-სასწავლო გეგმაში უწერია, რომ სკოლის მისიაა თავისუფალი ადამიანის აღზრდა თავისუფალ გარემოში, ინტელექტუალური, მოაზროვნე, კრეატიული და ლოგიკური აზროვნების მქონე კანონმორჩილი, ჰარმონიულად განვითარებული, კონკურენტუნარიანი, ადაპტაციის უნარის მქონე, ეროვნული ინტერესების გამტარებელი, ტოლერანტი, საზოგადოებრივად აქტიური, დემოკრატიული პრინციპების მქონე მოსწავლეები მოამზადომ მომავალი გამოწვევებისათვის.

სკოლას საშუალო საფეხურზე განსაზღვრული აქვს აქტივობები და დავალებები, რომლებიც მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესს წარმოაჩენს. მაგ.მე-4 კლასში ჩატარებული პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი „ორი გზა“.მასწავლებლების რეფლექსიის ფორმებიც წარმოაჩენს ამ პროცესს .გარდა ამისა,ინტერვიუირებისას პედაგოგებმა ისაუბრეს თავიანთ გამოცდილებაზე, პრაქტიკული მაგალითების დამოწმებით აღწერეს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.სკოლას აქვს მზაობა, რომ მოსწავლეებს შეუქმნას განვითარებაზე ორიენტირებული გარემო,რასაც სკოლა აღწევს მიზანმიმართული აქტივობებით. მასწავლებლებთან შეხვედრისას გაირკვა , რომ სკოლა განსაკუთრებით ზრუნავს სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერაზე დდა ქმნის მათთვის ისგ-ებს. სკოლის პედაგოგებს აქვთ სწორი ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ სასწავლო პროცესის ცენტრალური ფიგურა არის მოსწავლე. მათი მხარდაჭერა მაგ; ყველა მასწავლებელი ახდენს შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, სადაც გამოკვეთს მოსწავლის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებში იკვეთება მოსწავლეთა საჭიროებები, გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით ხორციელდება პროექტები, რომლებიც ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. აღწერილ საქმიანობაში ჩართულია სკოლი ყველა კათედრის მასწავლებლები, რომლებიც დამატებით ახორციელებენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და უკუკავშირების მიცემას.

ინდიკატორი **2.2.3.2 შესაბამისობაშია**

3. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო თემის წევრებს შორის თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაციის შესაძლებლობა რაც გამოიხატება რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობის განხორციელებით. მაგ; სკოლის მასწავლებლების თანამშრომლობის გაზრდის მიზნით კათედრებს შედგენილი აქვთ ურთიერთდასწრების განრიგი. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, გეგმავენ საერთო აქტივობებს. (მაგ; არაფორმალური განათლების აქტივობებს). როგორც მასწავლებლებთან საუბრისას გაირკვა, სკოლაში სამასწავლებლოს გარდა კიდევ არის სივრცე, სადაც მასწავლებლებს / მასწავლებელთა ჯგუფს შეუძლია გამართონ შეხვედრა მათთვის საინტერესო საკითხებზე, ეს ყოველივე ცალსახად იკითხება სკოლის შინაგანაწესში,კათედრის სხდომის თუ სამუშაო შეხვედრის ოქმებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რაც გვაჩვენებს, რომ ურთიერთდასწრების შემდეგ მასწავლებლები აანალიზებენ შედეგებს, ზრუნავენ ერთმანეთის პროფესიულ წინსვლაზე. სკოლაში მოქმედებს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“. დასკვნის სახით შეიძლება, ითქვას, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას.

ინდიკატორი **2.2.3.3 შესაბამისობაშია**

4. ყველა კათედრის მასწავლებლები იზიარებენ და საკუთარი საქმიანობით უზრუნველყოფენ სკოლისა და კლასის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას. სკოლაში პოზიტიური კლიმატის არსებობის დამადასტურებელი ფაქტორებია მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის არსებული პოზიტიური ურთიერთობა, სკოლის თანამშრომლებს შორის თანამშრომლობის კულტურა. პოზიტიური კლიმატის შექმნას ხელს უწყობს როგორც ოფიციალური, ასევე არაფორმალური განათლების აქტივობები, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართულები ყველა კათედრა. როგორც მასწავლებლები შეხვედრის დროს აღნიშნავდნენ, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თავს გრძნობს უსაფრთხო და კეთილგანწყობილ გარემოში. კლასის დამრიგებლები ცდილობენ საკლასო ოთახების ორიგინალურ გაფორმებაზე, ხოლო საგნის მასწავლებლები სასწავლო პროცესის რესურსებით გამრავალფეროვნებაზე.

ინდიკატორი 2.2.3.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრების სამოქმედო გეგმები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- არაფორმალური განათლების ამსახველი დოკუმენტაცია;
- საგნობრივი კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საპროექტო და საკლუბო მუშაობის ანგარიშები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი., სადაც ჩამოთვლილია ის მექანიზმები, თუ როგორ მოახერხებენ მონიტორინგსა და შეფასებას. კათედრებზე დაგეგმილია დიაგნოსტიკური შეფასებების განხორციელება, შემაჯამებლისა და დიაგნოსტიკური წერების ანალიზები. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან შემუშავებული კურიკულუმებისა და ჩატარებული აქტივობების ეფექტიანობის შეფასებაზე. მასწავლებლებთან გამოკითხვის დროს გამოიკვეთა, რომ ხდება გაკვეთლებზე ურთიერთდასწრების პროცესში გამოვლენილი ხარვეზებისა და ხელისშემშლელი ფაქტორების გაანალიზება და შეფასება. მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გაზიარებული იქნება კათედრების, შემდეგ კი - სკოლის, მშობლისა და მოსწავლის დონეზე. წარმოდგენილი მეთოდოლოგიით სკოლა აცხადებს მზაობას, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.
2. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტყველებს რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. საგნის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. პედაგოგთა პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას, აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ კოლეგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, აქვთ ურთიერთდასწრების-„კრიტკული მეგობრის“ პრაქტიკაც.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკაყოფილებულია

3.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში იკვეთება სკოლის მზაობა, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განხორციელდეს სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის, გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად და სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის. პირველადი ავტორიზაციის პირობებში ინდიკატორი **ვერ ფასდება**

სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებს სკოლა მონიტორინგის და შეფასების პროცესში, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს, ვინ/რომელი სტრუქტურული ერთეულები/ჯგუფები განახორციელებენ შეფასებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში ამ დროისთვის დამკვიდრებულია სასწავლო პროცესის შეფასების აპრობირებული მეთოდები. კერძოდ, სკოლაში შექმნილია ხარისხის მხარდაჭერის ჯგუფი, მოწოდებულ მასალებში არის ჯგუფის მიერ გასულ სასწავლო წელს განხორციელებული გაკვეთილებზე დასწრების განრიგი და გაწეული საქმიანობის ანალიზი, დოკუმენტებიდან ჩანს რომ ყურადღება ექცევა რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას. მაგ; შემაჯამებლების ფორმებსა და მათ ანალიზს, კომპლექსური დავალებების, როგორც სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებას. (ხარისხის განვითარების ჯგუფის სხდომის ოქმი N2 29.05.2023 წ) კათედრების ფარგლებში ფუნქციონირებს ,,კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი, რაც დასტურდება მოწოდებული ოქმების და გაწეული საქმიანობის ამსახველი მასალით (მაგ; საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი N4 და სამოქალაქო განათლების და გეოგრაფიის მასწავლებლების მიერ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების ამსახველი მასალა). სასწავლო პროცესის შეფასება გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვითაც. მასწავლებლები აღნიშნავენ რომ სასწავლო პროცესის შეფასების აპრობირებული მეთოდებია მასწავლებლების თვითშეფასება, დაგეგმილი საქმიანობის SWOT ანალიზი და სხვა, რაც აღრმავებს თანამშრომლობის ხარისხს, დინამიურს ხდის სასწავლო პროცესს, იძლევა კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც თავადაც შეიძლება განვიხილოთ, როგორც სასწავლო პროცესის შეფასების მნიშვნელოვანი წყარო. გაგრძელდება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის მრავალმხრივი მონიტორინგი.

ინდიკატორი 2.3.2.1 შესაბამისობაშია

2. მასწავლებლებთან შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ პირველ ეტაპზე სასწავლო პროცესის დაკვირვების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იქნება შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სკოლას შემუშავებული აქვს ის მთავარი აქცენტები, რაზეც ყურადღება გამახვილდება. მოწოდებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ აქცენტები სწორად არის დასმული და მიემართება მოსწავლის მხრიდან სწავლის პროცესში საკუთარი საქმიანობის მონიტორინგის უკეთ წარმართვაზე, რაც გულისხმობს ინფორმაციის მოძიებას, გაანალიზებას, საპრეზენტაციოდ მომზადებას. მოსწავლის მიერ სწორად წარმართული საქმიანობა განსაზღვრავს მის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, საკითხის მრავალფეროვნად გაშუქებას და ა.შ. სასწავლო პროცესის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონტექსტად მოიაზრება არაფორმალური განათლება, სკოლაში ყველა საფეხურზე ხორციელდება სასწავლო საგანმანათლებლო პროექტები სხვადასხვა საგნობრივი, სახელოვნებო და სპორტული მიმართულებით. ამასთანავე სკოლას მოაზრებული აქვს რომ დამკვიდრდეს მოსწავლის და მასწავლებლის პორტფოლიოს წარმოების პრაქტიკა, რომლებიც ასევე გახდება სასწავლო პროცესის როგორც ამსახველი, ასევე შეფასებისთვის გამიზნული ინსტრუმენტი. რჩევის სახით სამომავლოდ სასურველია კიდევ უფრო გაიზარდოს კონტექსტების მიმართულებები (მაგ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მშობლების როლის გაძლიერება), ასევე სასურველია შემუშავდეს უფრო დაკონკრეტებული მოქმედებების პაკეტი, სადაც მითითებული იქნება სასწავლო პროცესის შეფასების პროცედურები, მათ შორის, მრავალი კონტექსტის გათვალისწინების კომპონენტი (მაგ; მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაფასებლად გათვალისწინებული იქნება, შესრულებული საშინაო დავალებები, მოსწავლეთა ჩართულობა არაფორმალურ განათლებაში, კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობა). ეს შეიძლება დაემატოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტსაც, ან გამოიცეს ცალკე დოკუმენტად (მაგ; მცირე ზომის ბუკლეტი სასწავლო პროცესის შეფასების მეთოდოლოგიაზე).

ინდიკატორი 2.3.2.2 შესაბამისობაშია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს თემატური ერთეულის შესაბამისი მატრიცის შეფასების რუბრიკა, რაც დაგეგმილი თემატური ერთეულის კვლევას გულისხმობს და სწავლა-სწავლების პროცესში სწავლების ხარისხის ამაღლებას უწყობს ხელს. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს კათედრის ოქმი N1, საიდანაც ჩანს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის აქტივობები. ასევე, წარმოდგენილია კათედრის ოქმი N4, საიდანაც ჩანს განხორციელებული პროექტული მუშაობის შეჯამება სკოლაში, კერძოდ, სკოლას განხორციელებული აქვს პროექტები: „ჩვენი ენა ქართული“, „შემოდგომის ფერები“, „დედამიწა ჩვენი სახლია“ და სხვა, რაც გვაფიქრებინებს, რომ სკოლა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციას აგროვებს არა მარტო ფორმალური, არამედ არაფორმალური განათლების გზითაც. სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება. შფასების ინსტრუმენტის გამოყენებით, რაც გულისხმობს დიაგნოსტიკური წერების ჩატარებას და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე საგნობრივ კურიკულუმებში ცვლილებების შეტანას. სკოლის ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებელად აუცილებელია შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება. ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის მასწავლებლები გეგმავენ, შეიმუშავონ მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.3 შესაბამისობაშია

4. სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაგენერირებული დიაგნოსტიკური ტესტი. ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას, რაც გულისხმობს როგორც საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტებს, ასევე შემაჯამებელ შეფასებას. კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. სკოლას ყველა კლასისთვის აქვს წარმოდგენილი კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. განხირციელებული პროექტები გვაფიქრებინებს, რომ სკოლა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციას აგროვებს არა მარტო ფორმალური, არამედ არაფორმალური განათლების გზითაც. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ინტერვიურების პროცესში სკოლის მასწავლებლებმა აღწერეს სკოლის მიერ შერჩეული პრიორიტეტული თემის „ადამიანის უფლებების დაცვა ჩვენი პრიორიტეტია“ პროექტის განხორციელების აქტივობები, დეტალურად ისაუბრეს ამ პროექტის განხორციელების პროცესში სხვადასხვა კათედრების ინტეგრირებაზე, მოსწავლეთა შეფასებაზე და სხვა. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი ოქმის ფორმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ,,კრიტიკული მეგობრის“ ურთიერთდასწრების ამსახველი მასალა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგთა ინტერვიურების პროცესიდან და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის გათვალიწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გადაიხედება/მოხდება მისი გადასინჯვა საგნობრივ კათედრებზე. საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ მანამდე შექმნილი კურიკულუმს და შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კრიტერიუმებს, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას, რომლის საფუძველზეც მოხდება გადამუშავება. ყოველივე ამაზე დაყრდნობით შეეცდებიან შექმნან კურიკულუმის საუკეთესო მოდელები.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, ასევე პედაგოგებთან საუბრისას მკაფიოდ იკვეთება, რომ საგნობრივ კათედრაზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები, რომელიც პასუხობს მესამე თაობის ესგ-ის მოთხოვნებს. საგნობრივ მეთოდოლოგიურ ორიენტირებს. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და საგნობრივი მიმართულების კათედრის წევრი პედაგოგები მუდმივად განახორციელებენ კურიკულუმების გადახედვის პროცესს. გაზირების არეალი ჯერ კათედრების დონეზე მოხდება, შემდეგ სკოლის დონეზე იგეგმება. საგნობრივი მიმართულების კათედრები გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და უზრუნველყოფენ მონიტორინგისა და შეფასების შედეგების მონაცემების ასახვას.

ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება;
- კათედრების სხდომის ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე
საშუალო საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპ
ავტორიზაციის

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ განსაზღვრავს: კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს; პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი; კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა (შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება , გადასინჯვა და რევიზია); პროცესში ჩართულ მხარეებს და საზოგადოების ინფორმირების საშუალებებს. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ერთ-ერთი პრინციპი, რომელსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარება, მუდმივმოქმედი პროცესია, რომელშიც მონაწილეობენ მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები, მასწავლებლები და სკოლის დირექცია. აღწერილია თითოეული ჩართული მხარის ფუნქცია-მოვალეობები. სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, სკოლისთვის მნიშვნელოვანია მათი ინფორმირება და უკუკავშირი. რისთვისაც სკოლა გამოიყენებს სხვადასხვა საშუალებებს. კერძოდ, სკოლის ვებგვერდს, ელექტრონული ჟურნალს, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალური მედიას, საჯარო ღონისძიებებს - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ამ ეტაზე კურიკულუმის შემუშავება განხორციელდა საგნობრივ კათედრებზე, რომლებიც შემდეგ გაერთიანდა სხვა კათედრების მიერ შექმნილ კურიკულუმებთან და შეიქმნება სასკოლო კურიკულუმი. საშუალო საფეხურის კათედრის მასწავლებლებმა შეხვედრის დროს აღნიშნეს, კურიკულუმების შედგენისას მათ ითანამშრომლეს სკოლის სხვა საფეხურის კათედრებთან, გაითვალისწინეს მათი გამოცდილება
   დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია

2. წარმოდგენილი მასალებისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით კურიკულუმში ასახულია მოსწავლეთა, მშობელთა, კათედრების/მასწავლებლების და დირექციის ინტერესები. მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების ამსახველად შეიძლება მივიჩნოთ ინტერვიუირებისას საშუალო საფეხურის კათედრის წევრების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომ ისინი მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გამორკვევის შედეგად ახდენენ სასკოლო სასწავლო გეგმის და ფორმალური თუ არაფორმალური განათლების ღონისძიებების დაგეგმვას. პირველ ეტაპზე საშუალო საფეხურის კურიკულუმების შედგენის დროს სსიპ ქ. თბილისის N 171 საჯარო სკოლამ გაითვალისწინა სკოლის გასული წლების გამოცდილება და შეიმუშავა 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. ინტერვიუირებისას დირექტორმა აღნიშნა, რომ აპირებს სკოლის ეზოში გამოყოს სივრცეები, რომელთაც პირობითად უწოდებს თითოეული კლასის სახელს (რათა მოსწავლეებს გაუჩნდეთ მიკუთვნებულობის განცდა), ხოლო მოსწაავლეები/კლასები თავისისვე გემოვნებით გააფორმებენ აღნიშნულ ტერიტორიებს (დარგავენ მცენარეებს და იზრუნავენ მათზე). მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესების დასადგენად სკოლას აქვს მზაობა ჩაატაროს გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზიზე დაყრდნობით მოახდინონ ცვლილებების შეტანა სასწავლო გეგმაში.

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის,სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო საგნობრივი კათედრები და დირექცია. კურიკულუმები უმეტესწილად შეიქმნა სხვადსხვა კათედრის ურთიერთ თანამშრომლობით, აგრეთვე სამინისტროს მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო მასალებით, შესაბამისად სკოლა მზადაა სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ სასკოლო საზოგადოებასთან (მაგ; მშობლებთან და მოსწავლეებთა) აქტიურ თანამშრომლობით შეიტანოს გარკვეული ცვლილებები, ზოგადად, აქტიური ინტერაქცია ჰქონდეთ სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია

4. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, საჭიროა მათი ინფორმირება და უკუკავშირი, რისთვისაც სკოლა გამოიყენებს ისეთ საკომუნიკაციო არხებს როგორიცაა: ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია, ბეჭვდით მასალები. ხოლო, იმისათვის რომ სასკოლო კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს გაუჩნდეთმიკუთვნებულობის განცდა, სკოლა გამოიყენებს საჯარო ღონისძებებს-ინტერაქტიულ ორმხრივ კომუნიკაციას აუდიტორიასთან/სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან თუ დირექციასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო სკოლის ყველა მასწავლებელი და დირექცია, შესაბამისად მათ მიერ ის უკვე გაზიარებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების/დოკუმენტაციის საშუალებით და ასევე ინტერვიუსას გაცემული პასუხებით , სწავლა-სწავლების პროცესზე პასუხისმგებელნი პირნი ჰოლისტურად გვიქმნინან წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე, რომელშიც გათვალისწინებულია თიტოეული მოსწავლის ასაკი, ინტერესები და საჭიროებები. იყენებენ რა პროექტული შინაარსის დავალებებს მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავდ მოახდინონ სწავლის კონსტრუირება, დავალებებს,მაგ., მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტში „პროფესიები“,მე-10-კლასელები აკეთებენ პრეზენტაციებს და აცნობენ საბაზო საფეხურის მოსწავლეებს კლასგარეშე საკითხავ მხატვრულ ლიტერატურას ,ატარებენ გამოკითხვას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შერჩეულ ტექსტს ამუშავებენ,დგამენ სასკოლო სპექტაკლებს, სცენიდან კითხულობენ ვაჟას „სტუმარ-მასპინძელს“ , მართავენ იმიტირებულ სასამართლო პროცესებს,მონაწილეობენ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის პროექტში „სარეკლამო აბრების შეფასება და დახვეწა“,აგროვებენ ინფორმაციას ცოცხალ მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებზე და და განათავსებენ მედიასივრცეში „ვიმეტყველოთ და ვწეროთ სწორად“სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არჩევით საგნებს,კლასგარეშე წრეებს მუსიკაში,ხელოვნებასა და კომპიუტერულ ტექნოლოგიებში,რითაც ხელს უწყობს მოსწავლეებში აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას.

ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია.

2. შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სასწავლო პროცესში გააზრებული და გათვალისწინებულია გლობალური ფუნქციური უნარები,მაკრო ცნებები,სამიზნე ცნებები და შედეგები, რომლებიც მუშავდება კომპლექსური დავალებებითა და პროექტებით.სკოლას სასკოლო-სასწავლო გეგმაში უწერია,რომ „ადამიანის მთელი არსებობა წარმოადგენს სწავლების მუდმივ პროცესს, რომლის შედეგადაც მიიღწევა ცნებების, ცოდნა-უნარების ათვისება და ღირებულებათა სისტემის ფორმირება. ამისათვის უმნიშვნელოვანესი ფორმალური განათლებისა და არაფორმალური სწავლების ინტეგრაცია, რადგანაც ორივე წარმოადგენს ცხოვრების მანძილზე სწავლების შემადგენელ ნაწილს.“ეს დასტურდება სხვადასხვა პროექტებთ/აქტივობებით. მაგ.საშუალო საფეხურის მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტში „პროფესიები“,მე-10-კლასელები აკეთებენ პრეზენტაციებს და აცნობენ საბაზო საფეხურის მოსწავლეებს კლასგარეშე საკითხავ მხატვრულ ლიტერატურას ,ატარებენ გამოკითხვას და შერჩეულ ტექსტს ამუშავებენ,დგამენ სასკოლო სპექტაკლებს, სცენიდან კითხულობენ ვაჟას „სტუმარ-მასპინძელს“ , მართავენ იმიტირებულ სასამართლო პროცესებს,მონაწილეობენ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის პროექტში „სარეკლამო აბრების შეფასება და დახვეწა“,აგროვებენ ინფორმაციას ცოცხალ მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებზე და და განათავსებენ მედიასივრცეში „ვიმეტყველოთ და ვწეროთ სწორად“; სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მოსწავლეთა აქტივობების ამსახველი მასალებით. სკოლა იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია კომპლექსური დავალებები, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მითითებულია საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ ისინი მზად არიან კიდევ უფრო ინტენსიურად დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები, მოსწავლეებზე ორიენტირებული ფორმალური თუ არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობებi.

ინდიკატორი 2.1.2.2.შესაბამისობაშია

3. სკოლას სასკოლო- სასწავლო გეგმაში უწერია,რომ „ყველა მოსწავლე არის უნიკალური და განსხვავებული თავისი ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით , ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით და პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას სწავლა-სწავლების დროს“. ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვს დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით მუშაობის გამოცდილება და შეუძლიათ ეფექტური ინტერვენციების განხორციელება, მოსწავლეებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეთავაზებულია სხვადასხვა სირთულის დავალებები და აქტივობები. მოწოდებულ დოკუმენტაციაში მაგ.ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში, ისგ ჯგუფის ოქმში, სასკოლო-სასწავლო გეგმაში იკითხება სკოლის ვალდებულება შინ სწავლების რეჟიმისა თუ სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის.

ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია.

4. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება დასტურდება მოწოდებული რუბრიკებით, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის საფეხურის ფარგლებში ამ ტიპის შეფასების გამოყენებაზე. სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე მოცემულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა. როგორც განმავითარებელი ,ასევე განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება როგორც შუალედურ ,ასევე გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ მოწოდებული რუბრიკების გარდა ,სასწავლო წლის დასრულებამდე,საჭიროებისამებრ დამატებით შექმნიან მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით განმავითარებელი შეფასების და სტანდარტში მოცემული შედეგების ინდიკატორების გამოყენებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს.

ინდიკატორი 2.1.2.4. შესაბამისობაშია

5.სკოლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით- კათედრის,დამრიგებლების,მასწავლებლის თვითშეფასების, შეიძლება ვთქვათ,რომ წინარე გამოცდილება გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. მაგ.,ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარადგენენ ანგარიშებს და მათი ანალიზის საფუძველზე გეგმავენ სამომავლო აქტივობებს.

ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის მეთოდოლოგია
- სასკოლო-სასწავლო გეგმა
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ინკლუზიური განათლების პროგრამა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- შეფასების რუბრიკები;
- ისგ ჯგუფის ოქმი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლა მრავალმხრივი ფორმით უჭერს მხარს მოსწავლის შემოქმედებით აქტივობებში ჩაბმას, სტიმულირებას ახდენს მათი მხირდან სხვადასხვა კონკურსებში, სოციალურ და საგანმანათლებლო პროექტებში ჩართულობისას, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე რეგიონულ თუ რესპუბლიკურ დონეზე. მასწავლებლებმა შეხვედრის დროს ისაუბრეს მოსწავლეების არაფორმალურ აქტივობებში აქტიურად მონაწილეობის შესახებ. სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში არის კათედრების მიერ განხორციელებული სხვადასხვა შემოქმედებითი აქტივობის ამსახველი მასალა. საშუალო საფეხურის კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. (მაგ; 10 -ე კლასის სამოქალაქო განათლების კურიკულუმში კომპლექსური დავალება - დროის ხაზზე დამიანის უფლებების განვითარების პროცესის წარმოდგენა ხელს უწყობს მოსწავლეს იაზროვნოს შემოქმედებითად, დაფიქრდეს ადამიანის უფლებების განვითარების ისტორიულ პროცესზე, გამოყოს მნიშვნელოვანი მიღწევები, ჩამოიყალიბოს მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება გამოიყენოს მიღებული ცოდნა და საკუთარი აქტიურობით მიაღწიოს შედეგს თავისი და სხვისი უფლებების დასაცავად. სხვადასხვა სტრუქტურებთან კომუნიკაციის გზით.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

2. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი მოაზრებულია სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების მიხედვით, რომელიც გულისხმობს ახალი ცოდნის დაშენებას ძველ ცოდნაზე. აღნიშნული საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას, სწორედ მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით იქმნება. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებული იქნა მოსწავლის გამოცდილება როგორც საგნობრივი კონტექსტების მხრივ, ასევე მისი ცხოვრებისეული რეალია. რომელთა წარდგენაც მოიაზრება, რომ მოხდება მოსწავლისთვის ნაცნობი სიტუაციების შეთავაზებით, რათა მათ შეეძლონ პარალელების გავლება სასკოლო სივრცეში ნასწავლსა და რეალურ ცხოვრებაში არსებულ სიტუაციებს შორის.რაც საბოლოოდ აისახება მათ მიერ შექმნილ კომპლექსური დავალებების პროდუქტებში. (მაგ; 10 - ე კლასის ისტორიის კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალება - საბავშვო ჟურნალისთვის კომიქსის შექმნა პრეისტორიული ეპოქის შესახებ - - მოსწავლე ააქტიურებს წინარე ცოდნას (მე- 7- კლასის ისტორიის სასწავლო კურსში ნასწავლ მასალას), ხელახლა გაიაზრებს საქართველოს, როგორც პრეისტორიის შესწავლისთვის უმნიშვნელოვანეს არეალს, იხსენებს რა ადრე ნასწავლ მასალას, მოსწავლე ეტაპობრივად ამატებს ახალ ცოდნას, რომელმაც მას უნდა მისცეს იმის საშუალება, რომ შექმნას კომიქსების სია, რომელშიც გაიაზრებს კაცობრიობის უძველეს წარსულს საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო წლიური გეგმაზე დაყრდნობით, შეიძელბა დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეებს ეძლევათ ისეთი დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარების განვითარებას. როგორც კათედრების საქმიანობის ამსახველ დოკუმენტაციაში ჩანს და მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება არის შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების განხორციელების მხარდაჭერა და მონიტორინგი. სწავლის სწავლა კი ეფექტურად მიმდინარეობს მათ შორის კომპლექსური დავალებების განხორციელების დროსაც, რადგანაც მოსწავლეს უხდება საკუთარი სწავლის ორგანიზება, ამ პროცესში იგი აფიქსირებს მისთვის სასარგებლო აქტივობებს და საკუთარი სწავლის პროცესში ნერგავს მას. დავალების პრეზენტაციის ეტაპზე, მოსწავლე იაზრებს თავისი ნამუშევრის საუკეთესო და გასაუმჯობესებელ მხარეებს. (მაგ; 10 - ე კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში კომპლექსური დავალება - სოფლის მეურნეობა საქართველოში პროექტის გეგმის შემუშავება ვერტიკალური სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის - ორიენტირებულია მოსწავლეებში აქტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე, სადაც მოსწავლეა ქტუალურ გლობალურ პრობლემას განიხილავს ორიგინალური ხედვით და სხვადასხვა სასწავლო სტრატეგიების გამოყენებით, ცხოვრებისეული კონტექსტის აქტიური გამოყენება, კი ხელს შეუწყობს სწავლის სწავლას . მომავალი სასწავლო წლიდან კათედრებზე შემუშავებული იქნება ინსტრუმენტები, რომლებიც მოსწავლეებში განავითარებს საკუთარ შემეცნების პროცესის დაგეგმვასა და მონიტორინგს. იგივე მიდგომით მუშაობს სხვა საგნობრივი კათედრებიც. მაგ. სახელმწიფო ენის ფარგლებში საშუალო საფეხურის მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტში „პროფესიები“, მე-10-კლასელები აკეთებენ პრეზენტაციებს. აცნობენ მოსწავლეებს კლასგარეშე საკითხავ მხატვრულ ლიტერატურას, ატარებენ გამოკითხვას და შერჩეულ ტექსტს ამუშავებენ, დგამენ სასკოლო სპექტაკლებს, სცენიდან კითხულობენ ვაჟას „სტუმარ-მასპინძელს“ , მართავენ იმიტირებულ სასამართლო პროცესებს,მონაწილეობენ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის პროექტში „სარეკლამო აბრების შეფასება და დახვეწა“,აგროვებენ ინფორმაციას ცოცხალ მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებზე და და განათავსებენ მედიასივრცეში „ვიმეტყველოთ და ვწეროთ სწორად“. სკოლას მოწოდებული აქვს დამადასტურებელი მასალები, განმავითარებელი შეფასებები,რომლებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილებულია სწავლის სწავლაზე.მასწავლებლებმაც ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ სწავლა-სწავლებისას დიდ ყურადღებას აქცევენ არა მხოლოდ ცოდნის შეძენას,არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას და ამის გათვალისწინებით გეგმავენ და ახორციელებენ კურიკულუმს.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია

4. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარდა, რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის სამი კატეგორიის რეალიზება. რისი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება კი არის კომპლექსური დავალებები. საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ხორციელდება საგანმანათლებლო და სოციალური პროექტები, მაგ., „პროფესიები“, ,მონაწილეობენ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის პროექტში „სარეკლამო აბრების შეფასება და დახვეწა“, აგროვებენ ინფორმაციას ცოცხალ მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებზე და და განათავსებენ მედიასივრცეში „ვიმეტყველოთ და ვწეროთ სწორად“, რომლებიც ორიენტირებულია როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფაქტობრივ, ასევე პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე, მოწოდებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებშიც გათვალისწინებულია ცოდნის სამივე კატეგორია.რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეებში ცოდნის სამივე კატეგორიის გამოვლენის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

5. საშუალო საფეხურზე მასწავლებლებს მყარად აქვთ გაცნობიერებული რომ ცოდნის შეძენა არ ხდება ერთი საგნის ფარგლებში, შესაბამისად სასწავლო პროცესში მოაზრებულია იმგვარი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეს დაამყარებინებს საგნობრივ კავშირებს. ამ მიზნით კათედრა მოიაზრებს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, სასკოლო პროექტებს, არაფორმალური განათლების აქტივობებს. (მაგ; პროექტი ,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი“ ისტორიის, ხელოვნების, სამოქალაქო განათლების ელემენტებს). მასწავლებლები ცოდნის ორგანიზების და ურთიერთადაკავშირების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად მიაჩნიათ კომპლექსური დავალებები. (მაგ; 11-ე კლასის სამოქალაქო განათლების კომპლექსური დავალების დროს - დაწერეთ ესე , რომელშიც პოლიტიკოსების პიროვნული მახასიათებლებისა და საქმიანობის ანალიზის საფუძველზე განიხილავთ პოლიტიკური ლიდერის როლს ლოკალური\გლობალური საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაში. ამასთანავე მოსწავლეები ჩართულები არიან არაფორმალური განათლების აქტივობებში (პროექტები, კლუბები ...), რითიც ხელი შეეწყობა მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- თემატური მატრიცები
- სკოლაში განხორციელებული არაფორმალური განათლების ამსახველი მასალა.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე კათედრებს წარმოდგენილი აქვთ საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების გამოყენებას სასწავლო პროცესში. კურიკულუმების მიხედვით სასწავლო პროცესი მიემართება საგნობრივ ცნებებს, ქვეცნებებს, თემის და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს, საკვანძო კითხვებიკი ეხმარება მოსწავლეს დავალების პროცესში სწორი ორიენტირის შენარჩუნებაში. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, წლევანდელი კურიკულუმის შექმნაში მასწავლებლებმა მაქსიმალურად გამოიყენეს მათთვის ჩატარებული ქოუჩინგის გამოცდილება და სასწავლო თემები ააგეს თითოეული საგნის სამიზნე ცნებების გათვალისწინებით. მათემატიკის კათედრას მიეცა რჩევა, საშუალო საფეხურის კურიკულუმისთვის კომპლექსური დავალებები შეარჩიონ math.ge მათემატიკის საიტიდან, სადაც განთავსებულია დამატებითი რესურსი „მათემატიკის სახელმძღვანელო“ მიმართულებების მიხედვით. მასწავლებლებმა გაიზიარეს ეს მინიშნებები და გამოთქვეს მზადყოფნა, რომ გამოესწორებინათ ეს გარემოება. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ კომპლექსური დავალების არჩევისას ცნებების სწორი იერარქიის მიზნით მასწავლებლები უმეტესად მართებულად განსაზღვრავენ ქვეცნებებსა და ქვესაკითხებს. მაგ., კარგად ჩანს ცნებების იერარქია 11- ე კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში მოცემულ კომპლექსურ დავალებაში - პრეზენტაციის მომზადება ისპანის ჭაობების უნიკალურობის შესახებ - კომპლექსური დავალება შექმნილია,,ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში, სადაც შექმნილია კომპლექსური დავალების მატრიცა, რომელშიც იკვეთება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები, რაც მოსწავლეს მისცემს საშუალებას, ჩაერთოს აქტიური ფიქრის რეჟიმში, არამარტო გადმოსცეს რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს წიგნის კითხვამ, არამედ თავად დაგეგმოს რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ მან და მისმა თანატოლებმა უფრო მეტი იკითხონ. კომპლექსური დავალების განხორციელებისას სავსებით შესაძლებელია თანამშრომლობითი სწავლის ელემენტების გამოყენებაც. მასწავლებლების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხორციელდება მოსწავლეების განმავითარებელი შეფასება, საიდანაც ირკვევა, რომ შეფასება მიმართულია მოსწავლეების მიერ თითოეული საგნობრივი კონტექსტის გამოყენებით სამიზნე ცნებების გააზრებაზე.

ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია

2.სკოლა უწყობს ხელს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას, სასწავლო პროცესში ითვალისწინებს ასაკობრივ ფსიქო - ემოციურ განწყობას. სკოლის მასწავლებლებმა საერთო ინტერვიუს დროს აღნიშნეს კონკრეტული არაერთი ღონისძიება, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობამ მნიშვნელოვნად იმოქმედა მოსწავლეების მოტივაციაზე, დაასახელეს წარმატების მაგალითები. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს მოსწავლეების სკოლისადმი მიკუთვნებულობის გაზრდას, აყალიბებს მათ მიზანდასახულობას, აჩვევს გაუმკლავდნენ სტრესულ სიტუაციებს. დასახელებულ ღონისძიებებში თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულია სხვადასხვა საგნობრივი კათედრა. საშუალო საფეხურზე მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებულ ფაქტორებს კომპლექსური დავალების (11-ე კლასის სამოქალაქო განათლების კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალება - მოამზადეთ მიმართვის ტექსტი (250-300 სიტყვა) შვილებისთვის \ახალგაზრდებისათვის ,რომელშიც ავტორი საკუთარ და სხვათა გამოცდილებაზე დაყრდნობით ისაუბრებს ინტერპრენერობის შესახებ - მოსწავლეს დააფიქრებს კულტურული კარიერული დაგეგმვის მნიშვნელობაზე, გაიაზრებს რა მოქმედებებმა შეიძლება ხელი შეუწყოს მის წარმატებას, რა უნარების გამომუშავება იქნება წარმატების მომტანი, რა შესაძლებლობები შეიძლება გააჩნდეს პირადად მას და მის თანატოლებს, რაც დაეხმარება მას პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაში). მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოირკვა, რომ სამოქალაქო განათლების 10 და 11 კლასებში შერჩეული აქვთ განსახორციელებელი პროექტები შესაბამისი თემებით (მაგ; 10-ე კლასში განსახორციელებელი პროექტი ეძღვნება ქალთა უფლებებს), რომლებსაც ამ კონკრეტულ მომენტში ჯერ კიდევ არ აქვს საბოლოო სახე, შერჩეული პროექტები განხორციელდება მიმდინარე სასწავლო წელს.

ინდიაკტორი 2.2.2.2 შესაბამისობაშია

3. საშუალო საფეხურზე შეფასების სისტემა მიმართულია მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებაზე. ზოგადად სკოლა ზრუნავს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე, რაშიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს განმავითარებელ შეფასებას. სკოლის მასწავლებლები ცდილობენ დაანახონ მოსწავლეს თავიანთი გასაუმჯობესებელი მხარეები და დაეხმარონ კონსტრუქტივისტული პრინიცებით განვითარებაში. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს და კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, კათედრებზე მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმებს : ე.წ. შედეგების მიღწევების ტაქსონომია, მოსწავლის განმავითარებელი კომენტარი, შემაჯამებელი დავალების უკუკავშირი, ზეპირი კომენტარები . კათედრებს შემუშავებული აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს სხვადასხვა აქტივობაში, შესასრულებელი დავალების სხვადასხვა ასპექტის წარმოდგენას, მოსწავლის თვითორგანიზების უნარის განვითარებას, ეს რუბრიკები შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლების სამივე საფეხურზე. კათედრების მიერ მოწოდებულ მასალებში არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ორიენტირებულია საგნობრივი კონტექსტის ფარგლებში სამიზნე ცნებების გააზრების დონეზე. წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ითვალისწინებს საგნობრივი კონტექსტების ფარგლებში მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გააზრების დონეს.მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შეეცდებიან შეფასება გამოიყენონ როგორც მოსწავლის ფსიქოლოგიური, სოციალური, კულტურული განვითარების ინსტრუმენტი, რომელიც დაანახებს მას ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და არა მხოლოდ როგორც ფაქტობრივი ცოდნის ინსტრუმენტი. მასწავლებლებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ სამომავლო გამოწვევა არის სასწავლო პროცესში თემის ფარგლებში შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკების სისტემატური გამოყენება, შემდგომი განვითარება და წარმატებული დანერგვა.

ინდიკატორი 2.2.2.3 შესაბამისობაშია

4.საშუალო საფეხურზე კათედრებს წარმოდგენილი აქვთ შეფასების სხვადასხვა რუბრიკები : მათ შორის, შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკები, რომელიც დამიზნებულია საგნობრივი კონტექსტების მიხედვით საგნობრივი სტანდარტის შედეგებზე გასვლაზე, აგრეთვე სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (ითვალისწინებს სამიზნე ცნებების გააზრების დონეს საგნობრივი კონტექსტის ფარგლებში), აგრეთვე მოწოდებულია შედეგების შედეგების მიღწევების ტაქსონომიის მიხედვით შეფასებული მოსწავლის ნამუშევარი, სხვადასხვა აქტივობებზე მორგებული ზოგადი რუბრიკები - რომლებიც ნათლად აჩვენებს შეფასების პრინციპებს, მოსწავლისთვის ნათელია, ჩართულობის, მოტივაციის და ცოდნის გადმოცემის რა შემთხვევაში რა ნიშნით შეფასდება. ამასთანავე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ მოწოდებულია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ინდიკატორების მიხედვით საგნობრივი კონტექსტების მეშვეობით სამიზნე ცნებების გააზრებაზეა ორიენტირებული. კათედრის მიერ მოწოდებული რუბრიკები არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სამომავლოდ სასურველია დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსწავლეთა შეფასების უფრო მრავალფეროვანი მეთოდები (მაგ; მასწავლებლებმა იზრუნონ მოსწავლეთა პორტფოლიოების შექმნაზე, უფრო აქტიურად იქნას გამოყენებული მოსწავლეთა თვითშეფასების აქტიური ფორმები).

ინდიკატორი 2.2.2.4 შესაბამისობაშია

5. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სიტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ სსიპ- ქ. თბილისის N 171 საჯარო სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და ხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია, ხოლო მოსწავლის შეფასება კი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს : ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალეობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი ასევე გვეუბნება, თუ რა პროცედურებს მოიცავს მოსწავლის შეფასების ვერიფიკაცია; როგორ მოხდება შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სისტემის სანდოობის, გამჭირვალეობის, სამართლიანობის და ობიექტურობის შემოწმება. სკოლა აღნიშნული დოკუმენტით გვეუბნება, რომ ვერიფიკაცია სკოლაში განხორციელდება შერჩევითი პრინციპით და რომ ვერიფიკაციის პროცესი უპირველეს ყოვლისა იწყება ვერიფიკაციის გეგმის შედგენით, შემდეგ კი ხდება ვერიფიკატორების შერჩევა და ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი. გვეუბნება თუ რას მოიცავს ვერიფიკაციის დასკვნითი ეტაპი და როგორ მოხდება მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა.

ინდიკატორი 2.2.2.5 შესაბამისობაშია

6. სკოლაში დაცული არის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წარმოდგენილი 2023-24 სასწავლო წლის გეგმა გვეუბნება, რომ მტკიცებულებები შენახული იქნება 3 წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები საშუალო საფეხურზე;
- თემატური მატრიცები საშუალო საფეხურზე;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაწყებით საფეხურზე;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების ფურცელი.
- სსიპ- ქ. თბილისის N 171 საჯარო სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თბილისის N171 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესში მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს,როგორც აუცილებელ პირობას პოზიტიური კომუნიკაციისა,ქმნის დირექტორი,რომელიც ახალისებს მოქმედების თავისუფლებას,სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობასა და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში.სასკოლო-სასწავლო გეგმაშიც მითითებულია,რომ „სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სასკოლო სივრცეში მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე“. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებისთვის შექმნილია განვითარების თანაბარი შესაძლებლობა, მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით - ინდივიდუალური მიდგომის სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას არა მხოლოდ ერთი კათედრის წევრები, არამედ სხვა კათედრების წარმომადგენლებიც. ნებისმიერი პრობლემა თუ გამოწვევა გუნდური მიდგომით იძლევა. ამას ადასტურებს ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზიარების ოქმები და რეფლექსიები. სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათი, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობა არის პოზიტიური და მხარდაჭერაზე ორიენტირებული. იმას, რომ სკოლაში დაცულია მოსწავლის ყველა ფუნდამენტური უფლება, ასევე ადასტურებს სკოლის შინაგანაწესი. დაცულია მოსწავლეების არჩევანის უფლება, მაგ; მეორე უცხო ენის არჩევის, აგრეთვე არჩევითი საგნების დროს. სკოლა ყოველმხრივ ცდილობს მხარდაჭერა აღმოუჩინოს სსსმ და შშმ მოსწავლეებს. სკოლა მხარდაჭერას უქმნის დამწყებ მასწავლებლებს. სკოლის მასწავლებლებს შორის ჩვეული პრაქტიკაა ურთიერთდახნმარება და თანამშრომლობა. გასაუბრების პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში არსებული პოზიტიური გარემო მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მოსწავლეების წარმატებებს (გამარჯვებები სხვადასხვა კონკურსში.

ინდიკატორი 2.2.3.1 შესაბამისობაშია

2. სკოლას წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მაგ, სასკოლო-სასწავლო გეგმაში უწერია, რომ სკოლის მისიაა თავისუფალი ადამიანის აღზრდა თავისუფალ გარემოში, ინტელექტუალური, მოაზროვნე, კრეატიული და ლოგიკური აზროვნების მქონე კანონმორჩილი, ჰარმონიულად განვითარებული, კონკურენტუნარიანი, ადაპტაციის უნარის მქონე, ეროვნული ინტერესების გამტარებელი, ტოლერანტი, საზოგადოებრივად აქტიური, დემოკრატიული პრინციპების მქონე მოსწავლეები მოამზადომ მომავალი გამოწვევებისათვის. სკოლას საშუალო საფეხურზე განსაზღვრული აქვს აქტივობები და დავალებები, რომლებიც მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესს წარმოაჩენს. მასწავლებლების რეფლექსიის ფორმებიც წარმოაჩენს ამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესს. გარდა ამისა, ინტერვიუირებისას პედაგოგებმა ისაუბრეს თავიანთ გამოცდილებაზე, პრაქტიკული მაგალითების დამოწმებით აღწერეს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სკოლას აქვს მზაობა, რომ მოსწავლეებს შეუქმნას განვითარებაზე ორიენტირებული გარემო. ამას გვაფიქრებინებს სკოლაში გამართული პროცესები ფორმალური თუ არაფორმარული აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში მრავალმხრივი ინტელექტის განვითარებას და მათს სამომავლო წარმატებულ ინტეგრაციას.

ინდიკატორი 2.2.3.2 შესაბამისობაშია

3.სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო თემის წევრებს შორის თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაციის შესაძლებლობა რაც გამოიხატება რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობის განხორციელებით. მაგ; სკოლის მასწავლებლების თანამშრომლობის გაზრდის მიზნით კათედრებს შედგენილი აქვთ ურთიერთდასწრების განრიგი. როგორც მასწავლებლებთან საუბრისას გაირკვა, სკოლაში სამასწავლებლოს გარდა კიდევ არის სივრცე, სადაც მასწავლებლებს / მასწავლებელთა ჯგუფს შეუძლია გამართონ შეხვედრა მათთვის საინტერესო საკითხებზე, ეს ყოველივე ცალსახად იკითხება სკოლის შინაგანაწესში, კათედრის სხდომის თუ სამუშაო შეხვედრის ოქმებში. რაც გვაჩვენებს, რომ ურთიერთდასწრების შემდეგ მასწავლებლები აანალიზებენ შედეგებს, ზრუნავენ ერთმანეთის პროფესიულ წინსვლაზე.

ინდიკატორი 2.2.3.3 შესაბამისობაშია

4. ყველა კათედრის მასწავლებლები იზიარებენ და საკუთარი საქმიანობით უზრუნველყოფენ სკოლისა და კლასის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას. სკოლაში პოზიტიური კლიმატის არსებობის დამადასტურებელი ფაქტორებია მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის არსებული პოზიტიური ურთიერთობა, სკოლის თანამშრომლებს შორის თანამშრომლობის კულტურა. პოზიტიური კლიმატის შექმნას ხელს უწყობს როგორც ოფიციალური, ასევე არაფორმალური განათლების აქტივობები, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართულები ყველა კათედრა. როგორც მასწავლებლები შეხვედრის დროს აღნიშნავდნენ, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თავს გრძნობს უსაფრთხო და კეთილგანწყობილ გარემოში. კლასის დამრიგებლები ცდილობენ საკლასო ოთახების ორიგინალურ გაფორმებაზე, ხოლო საგნის მასწავლებლები სასწავლო პროცესის რესურსებით გამრავალფეროვნებაზე.

ინდიკატორი 2.2.3.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრების სამოქმედო გეგმები;
- სკოლის შინაგანაწესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- არაფორმალური განათლების ამსახველი დოკუმენტაცია;
- საგნობრივი კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საპროექტო და საკლუბო მუშაობის ანგარიშები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი., სადაც ჩამოთვლილია ის მექანიზმები, თუ როგორ მოახერხებენ მონიტორინგსა და შეფასებას. კათედრებზე დაგეგმილია დიაგნოსტიკური შეფასებების განხორციელება, შემაჯამებლისა და დიაგნოსტიკური წერების ანალიზები. მასწავლებლები თანამშრომლობენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ერთმანეთთან შემუშავებული კურიკულუმებისა და ჩატარებული აქტივობების ეფექტიანობის შეფასებაზე. მასწავლებლებთან გამოკითხვის დროს გამოიკვეთა, რომ ხდება გაკვეთლებზე ურთიერთდასწრების პროცესში გამოვლენილი ხარვეზებისა და ხელისშემშლელი ფაქტორების გაანალიზება და შეფასება. მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გაზიარებული იქნება კათედრების, შემდეგ კი - სკოლის, მშობლისა და მოსწავლის დონეზე. წარმოდგენილი მეთოდოლოგიით სკოლა აცხადებს მზაობას, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

2. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტყველებს რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. საგნის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. პედაგოგთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას, აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ კოლეგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, აქვთ ურთიერთდასწრების-„კრიტკული მეგობრის“ პრაქტიკაც.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკაყოფილებულია

3.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში იკვეთება სკოლის მზაობა, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განხორციელდეს სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის, გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად და სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის. პირველადი ავტორიზაციის პირობებში ინდიკატორი **ვერ ფასდება**

სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებს სკოლა მონიტორინგის და შეფასების პროცესში, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს, ვინ/რომელი სტრუქტურული ერთეულები/ჯგუფები განახორციელებენ შეფასებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში ამ დროისთვის დამკვიდრებულია სასწავლო პროცესის შეფასების აპრობირებული მეთოდები. კერძოდ, სკოლაში შექმნილია ხარისხის მხარდაჭერის ჯგუფი, მოწოდებულ მასალებში არის ჯგუფის მიერ გასულ სასწავლო წელს განხორციელებული გაკვეთილებზე დასწრების განრიგი და გაწეული საქმიანობის ანალიზი, დოკუმენტებიდან ჩანს რომ ყურადღება ექცევა რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას. მაგ; შემაჯამებლების ფორმებსა და მათ ანალიზს, კომპლექსური დავალებების, როგორც სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებას. (ხარისხის განვითარების ჯგუფის სხდომის ოქმი N2 29.05.2023 წ) კათედრების ფარგლებში ფუნქციონირებს ,,კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რაც დასტურდება მოწოდებული ოქმების და გაწეული საქმიანობის ამსახველი მასალით (მაგ; საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი N4 და სამოქალაქო განათლების და გეოგრაფიის მასწავლებლების მიერ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების ამსახველი მასალა). სასწავლო პროცესის შეფასება გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვითაც. მასწავლებლები აღნიშნავენ რომ სასწავლო პროცესის შეფასების აპრობირებული მეთოდებია მასწავლებლების თვითშეფასება, დაგეგმილი საქმიანობის SWOT ანალიზი და სხვ, რაც აღრმავებს თანამშრომლობის ხარისხს, დინამიურს ხდის სასწავლო პროცესს, იძლევა კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც თავადაც შეიძლება განვიხილოთ, როგორც სასწავლო პროცესის შეფასების მნიშვნელოვანი წყარო. გაგრძელდება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის მრავალმხრივი მონიტორინგი.

ინდიკატორი 2.3.2.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. მასწავლებლებთან შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ პირველ ეტაპზე სასწავლო პროცესის დაკვირვების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იქნება შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სკოლას შემუშავებული აქვს ის მთავარი აქცენტები, რაზეც ყურადღება გამახვილდება. მოწოდებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ აქცენტები სწორად არის დასმული და მიემართება მოსწავლის მხრიდან სწავლის პროცესში საკუთარი საქმიანობის მონიტორინგის უკეთ წარმართვაზე, რაც გულისხმობს ინფორმაციის მოძიებას, გაანალიზებას, საპრეზენტაციოდ მომზადებას. მოსწავლის მიერ სწორად წარმართული საქმიანობა განსაზღვრავს მის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, საკითხის მრავალფეროვნად გაშუქებას და ა.შ. სასწავლო პროცესის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონტექსტად მოიაზრება არაფორმალური განათლება, სკოლაში ყველა საფეხურზე ხორციელდება სასწავლო საგანმანათლებლო პროექტები სხვადასხვა საგნობრივი, სახელოვნებო და სპორტული მიმართულებით. ამასთანავე სკოლას მოაზრებული აქვს რომ დამკვიდრდეს მოსწავლის და მასწავლებლის პორტფოლიოს წარმოების პრაქტიკა, რომლებიც ასევე გახდება სასწავლო პროცესის როგორც ამსახველი, ასევე შეფასებისთვის გამიზნული ინსტრუმენტი. რჩევის სახით სამომავლოდ სასურველია კიდევ უფრო გაიზარდოს კონტექსტების მიმართულებები (მაგ; მშობლების როლის გაძლიერება), ასევე სასურველია შემუშავდეს უფრო დაკონკრეტებული მოქმედებების პაკეტი, სადაც მითითებული იქნება სასწავლო პროცესის შეფასების პროცედურები, მათ შორის, მრავალი კონტექსტის გათვალისწინების კომპონენტი (მაგ; მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაფასებლად გათვალისწინებული იქნება, შესრულებული საშინაო დავალებები, მოსწავლეთა ჩართულობა არაფორმალურ განათლებაში, კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობა). ეს შეიძლება დაემატოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტსაც, ან გამოიცეს ცალკე დოკუმენტად (მაგ; მცირე ზომის ბუკლეტი სასწავლო პროცესის შეფასების მეთოდოლოგიაზე).

ინდიკატორი 2.3.2.2 შესაბამისობაშია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს თემატური ერთეულის შესაბამისი მატრიცის შეფასების რუბრიკა, რაც დაგეგმილი თემატური ერთეულის კვლევას გულისხმობს და სწავლა-სწავლების პროცესში სწავლების ხარისხის ამაღლებას უწყობს ხელს. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს კათედრის ოქმი N1, საიდანაც ჩანს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის აქტივობები. ასევე, წარმოდგენილია კათედრის ოქმები, საიდანაც ჩანს განხორციელებული პროექტული მუშაობის შეჯამება სკოლაში. სკოლა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციას აგროვებს არა მარტო ფორმალური, არამედ არაფორმალური განათლების გზითაც. სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება. შფასების ინსტრუმენტის გამოყენებით, რაც გულისხმობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დიაგნოსტიკური წერების ჩატარებას და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე საგნობრივ კურიკულუმებში ცვლილებების შეტანას. სკოლის ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებელად აუცილებელია შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება. ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის მასწავლებლები გეგმავენ, შეიმუშავონ მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.3 შესაბამისობაშია

4. სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, დაგენერირებული დიაგნოსტიკური ტესტი. ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას, რაც გულისხმობს როგორც საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტებს, ასევე შემაჯამებელ შეფასებას. კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. სკოლას ყველა კლასისთვის აქვს წარმოდგენილი კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. განხირციელებული პროექტები გვაფიქრებინებს, რომ სკოლა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციას აგროვებს არა მარტო ფორმალური, არამედ არაფორმალური განათლების გზითაც. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ინტერვიურების პროცესში სკოლის მასწავლებლებმა აღწერეს სკოლის მიერ შერჩეული პრიორიტეტული თემის „ადამიანის უფლებების დაცვა ჩვენი პრიორიტეტია“ პროექტის განხორციელების აქტივობები, დეტალურად ისაუბრეს ამ პროექტის განხორციელების პროცესში სხვადასხვა კათედრების ინტეგრირებაზე, მოსწავლეთა შეფასებაზე და სხვა. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი ოქმის ფორმა
- ,,კრიტიკული მეგობრის" ურთიერთდასწრების ამსახველი მასალა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. პედაგოგთა ინტერვიურების პროცესიდან და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის გათვალიწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გადაიხედება/მოხდება მისი გადასინჯვა საგნობრივ კათედრებზე. საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ მანამდე შექმნილი კურიკულუმს და შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას, რომლის საფუძველზეც მოხდება გადამუშავება. ყოველივე ამაზე დაყრდნობით შეეცდებიან შექმნან კურიკულუმის საუკეთესო მოდელები.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, ასევე პედაგოგოებთან საუბრისას მკაფიოდ იკვეთება, რომ საგნობრივ კათედრაზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები, რომელიც პასუხობს მესამე თაობის ესგ-ის მოთხოვნებს. საგნობრივ მეთოდოლოგიურ ორიენტირებს. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და საგნობრივი მიმართულების კათედრის წევრი პედაგოგოები მუდმივად განახორციელებენ კურიკულუმების გადახედვის პროცესს. გაზირების არეალი ჯერ კათედრების დონეზე მოხდება, შემდეგ სკოლის დონეზე იგეგმება. საგნობრივი მიმართულების კათედრები გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და უზრუნველყოფენ მონიტორინგისა და შეფასების შედეგების მონაცემების ასახვას.

ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება;
- კათედრების სხდომის ოქმები;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ჯგუფის თავჯდომარის ხელმოწერა----

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი .....

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, ---

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, ---

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, --

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, ---

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, ---

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, -- ზ. ფაფავანი



სპორტის საგნობრივი ექსპერტი,--



ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,

თარიღი

04.12. 2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---